ლიტერატურული გაზეთი

№13 30 ოქტომბერი - 12 ნოემბერი 2009 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით ფასი 50 თეთრი

ჩანაწერები

ემზარ
კვიტაიშვილი

II-III

პოეზია

ვახტანგ
ჯავახაძე

IV-V

გიგი
სულაკაური

VII

ვაჟა
ხორნაული

VIII

კატო
ჯავახიშვილი

IX

პროზა

აკა
მორჩილაძე

VI

ინტერვიუ

კახმეგ
კუდავა

XII-XIII

თარგმანი

სიუზან
ზონტაგი

XIV-XV

დაგროვების მარჯვე ხერხი

11.02.1997. წუხელ, სიმარტოვისგან გაბეზრებულმა და გათანგულმა, ასეთი რამე მოვიფიქრე, ცხადია, ჯერჯერობით, ძნელად განსახორციელებელი: წარმოსახვის უნარით დაჯილდოებულმა, პოეტური ბუნების ადამიანმა (მერწმუნეთ, ჩემს თავზე მეტად სხვებს, ჩემზე ბევრად ნიჭიერ პიროვნებებს ვგულისხმობ) კომპიუტერის მახსოვრობის ყუთის მსგავსად, მთელი ცხოვრების მანძილზე სხეულში (უპირატესად, რა თქმა უნდა ტვინში) აგროვოს სხვადასხვა შთაბეჭდილებებისა და შემთხვევათა გამო წარმოქმნილი ლექსები (შიგადაშიგ მოზრდილი პროზაული ნაკვეთებიც). ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ, როგორ ათავსებს ნიადაგ მოუსვენარი ფუტკარი სანთლის პაწია დანაყოფებში, ფიჭაში, უგემრიელეს თაფლს და მუქად ჟღინთავს. ფიჭური წესით მოპოვებულ პოეტურ ქმნილებათა საარაკო მოთმინებით დამგროვებელმა მხოლოდ თვითონ უნდა იცოდეს მათი არსებობა და ავ-კარგი. ცდას დაქვემდებარებულმა შემოქმედმა, ხანში როცა შევა, დაახლოებით სამოცი წლისამ, წინასწარ მკაცრად შერჩეული და დათარიღებული ეს ლექსები ერთბაშად, შრიალით უნდა ჩამოყაროს (ბანკში ხომ ყოფილხართ და მოლარის კაბინაში მოთავსებული, კუპიურების დამთვლელი ელექტრონული ხელსაწყო ხომ გინახავთ? აი, ისე!) და ერთ წიგნად შეკრას, უთუოდ მიმზიდველი სურათის მხილველნი გავხდებით, გაირკვევა, რა საუნჯისთვისაც მოგვიყრია თავი.

რაღა დაგიმალოთ და ბოლო შვიდი-რვა წელიწადია, მეც, დაახლოებით, ასე ვიქცევი, მაგრამ დასაშლელად გამზადებულ სხეულს, ტვინს, იქ ჩაბუდებულ და უკვე დაქვეითებულ მეხსიერებას ვერ ვენდობი, სხვადასხვა (მეტწილად, ასფურცლიან) ფერადყდიან რვეულებში ვიწერ არათანაბარი ღირებულების ლექსებს, სიზმრებს, დღიურებს და ყუთში ვინახავ.

შეძლებული პატრონი და გულშემატკივარი რომ მომეძევებოდეს და ეს ლექსები, დინჯად, გემოვნებით შერჩეული და დალაგებული, წიგნად გამომაცემინა, არ გამოვიდოდა ხელაღებით დასაწუნებელი, ურიგო კრებული. ასეა თუ ისე, ამ უმადური სამუშაოსათვის მე თვითონ უნდა მოვიცალო. კიდევ სამომავლოდ გადადება აღარ შეიძლება - სხვა არც თავს შეიწუხებს და ვერც გააკეთებს იმაგვარად, როგორც მე მინდა (საეჭვო კია, ეს მოძალებული სურვილი ავისრულო).

გული მწყდება, რომ ამდენ წყვეტებაში ზოგიერთი ძველი ჩანაწერი თუ დღიური აღარ ჩანს, ცალკეულ ფურცლებზე გაბნეული, დამეფანტა. ნაწილის აღდგენა შემიძლია და შევეცდები, როგორმე გავაცოცხლო, უფრო მნიშვნელოვანი შემთხვევები მოვიგონო. რაღაცეები ნამდვილად გამომრჩება.

ჩემი გადახურებული, ხშირად ბოლავარდნილი ტვინი მართლაც კიბერნეტიკულ მანქანასავით მუშაობს, მიკვირს, აქამდე რომ არ გამოიფიტა და გაცვდა, თუმცაღა მეხსიერება საგრძნობლად შემისუსტდა, ალაგ-ალაგ გადაბმული წყვეტილები გაჩნდა; თუ რამე მაშინვე არ ჩავიწერე, თვალს მიეფარება და მერე კარგა ხანს ვწვალობ. კეფას ჩაფრენილი წნევაც საქმეს მიჭივრებს. მიუხედავად ხანდაზმულობისა, ბევრი რამე მაქვს მოსასწრები; მთავარი წიგნები ჯერ კიდევ არ დამიწერია და რას ვუნახავ ამ გახრეკილ თავს, ვერ გამიგია. რაც არ უნდა მოხდეს, დაგუბებულ სათქმელს სადინარი უნდა მივცე, თავს მოვერიო. დროს რამენაირად გამოვძებნი. იმედი მაქვს, უფალიც მისებურად შემეწევა, არ ინებებს ჩემს დაჩაგვრას. მისთვისაც ასე აჯობებს.

15.02.1997. გამახსენდა ჩემი მოუსვენარი, აფუთფუთებული სიყმაწვილე, სოფლად რომ გავატარე. ამის მიზეზი, ბიძგის მომცემი იყო ალბერ კამიუს მშვენიერი, პატარაობის მოგონებებზე დამყარებული, დაუმთავრებელი რომანის - „პირველი ადამიანის“ კითხვა (ხელნაწერი დიდ ფრაგ მწერალს ჩანთაში ედო, კატასტროფის, ხესთან შეჯახების დროს ჩანთა მანქანიდან გადაუვარდა. წლების მერე, ის ფურცლები დაალაგა, გაშიფრა და გამოსცა კამიუს ქალიშვილმა). უბრალოდ გამოცემული წიგნის თხელ გარეკანზე ფებურთის მოთამაშეთა ფოტოა აღბეჭდილი.

ემზარ კვიტაიშვილი

დღიური

წიგნიდან — „რძაწითელის მტევანი“

იმ ზაფხულს, რომლის შემდგომ აღარც ვიცი, რამდენი ხანია გასული, ცამეტი-თოთხმეტი წლის ბიჭები ჩვენი სოფლიდან, ფეხბურთის სათამაშოდ, შესაჯიბრებლად წავედით შუხუთში. თან ახალი ბურთი მიგვქონდა. გამალებული მივიწევდით წინ, ქარს ვასწრებდით. სხვანაირი აზარტით, ჟინით ვიყავით შეპყრობილები. ერთმა იცოდა, წინასწარ იყო მოწინააღმდეგეებთან მოლაპარაკებული, სადაც უნდა მივსულყავით და ბოლოს მივადექით გაშლილ მინდორს, მოედანს. იქაურები გველოდნენ და მალევე დავიწყეთ შეჯიბრი. იმათ გუნდში ორი თუ სამი წვერულვაშიანი, დაკაცებული ოყლაყი იყო და აშკარად დაგვჯაბნეს. თხუთმეტ წუთში ორი ბურთი რომ გაგვიტანეს, ზედმეტად, შეუფერებლად ჩათვალეს პირზე რძეშეუმშრალ ბალღებთან თამაში და რომელიღაც ბოროტმა, ტუტუცმა, ბურთი დანით დაფუშა, ბალახში მოისროლა. ამან გული მოგვიკლა, დავიბოღმეთ, მაგრამ რაღას ვიზამდით, დანაღვლიანებულები შინ გამოვბრუნდით.

ჩემი იმდღევანდელი შთაბეჭდილებებიდან ეს სულაც არ იყო მთავარი. იქეთობისას, როცა ჯერ კიდევ სათამაშოდ მივდიოდით, ერთი, ტრიფოლიატის ღობით მოზღუდული, ეზოს განაპირას, მსხმოიარე მსხლის ხე დავინახე, გზისკენ ტოტებგადმოშვერილი, ყვითელი, ოქროგარეული, წარმოუდგენლად ლამაზი, მოკლეყუნწიანი ნაყოფით დახუნძლული. იმ ჯიშისა არსად არაფერი მენახა. ხილის (მსხლის, ვაშლის, ატმის, გარგარის, ქლიავის...) სიყვარული ძვალ-რბილში მაქვს გამჯდარი, დანახვა ჩაკბეჩაზე არანაკლებ სიამოვნებას მგვრის). დავიხარე და ფაციფუცით ავკრიფე ქვები. მწვანე ფოთლებში საკმაოდ მაღლა ელავდა ის მოუხელთებელი ოქრო. ეზოში, ბედად არავინ ჩანდა, თორემ ამდენს ვერ გავბედავდი. ზედიზედ სამჯერ თუ ოთხჯერ ვესროლე მაცდურად გადმოზნექილ ტოტს და ვერაფრით ვერ მოვარტყი, ყველა ავაცდინე. ჩემდა უნებურად შევშინდი, ამ უცხო კუთხეში მარტო არ დავრჩე-მეთქი და წინ წასულ ბიჭებს გამოვეკიდე, დავეწიე. აუხდენელ ოცნებასავით ჩამრჩა ყრმობის დღეებივით კრიალა ხსოვნაში ის მუჭისტოლა, ოქროსფერი, სიწითლეგადაკრული მსხლები. მართლა რაღაც სხვანაირად ბრწყინავდა და მიზიდავდა, მერე აღარსად მინახავს, თორემ უეჭველად ვიცნობდი. ხანდახან იმასაც ვფიქრობ (ცხადია, ვაჭარბებ, ღრუბლებში დავცურავ) ის მსხლები რომ ჩამომეყარა და ამეკრიფა, ჩემი ცხოვრება სულ სხვა გზით წარიმართებოდა, ხასიათიც გამომეცვლებოდა, უფრო თვინიერი და გაწონასწორებული ვიქნებოდი. რაღა დროსია!.. დაგვიანებული სინანული ვის წადგომია?!

ხშირად ხდება - ახლო გეჩვენება დასახული მიზანი. გგონია, საწადელს ხელით მივწვდებიო, მაგრამ ტყუვდები, იმედგაცრუებული და მხრებჩამოყრილი რჩები. დღემდე მელანდება მზენასხურები, აშრიალებულ ფოთლებში თვალისმომჭრელად მანათობელი, წვენდათაფლული მსხლები, ცაში გამოკიდული რომ დავტოვე და მახვედრებს - მთელი ჩემი ცხოვრება აუხდენელ, აწკრიალებულ სურვილთა, გულდაწყვეტათა გრძელი, გაუთავებელი მწკრივია.

17.02.1997. ხომ ვიცი, პიტალო სისულელეა ამის გაფიქრება, მაგრამ მომიარა ასეთმა გიჟურმა სურვილმა (ცხადია, აუსრულებელმა) - რა იქნება, თეთრად გასუდრულ, თუნუქის დამრეც სახურავზე ჩავცურდე სრულიად შიშველი და ბეჭებით ხრაშუნა თოვლი გადავგლისო, დავტკეპნო. დიდი მარჩიელობა არაა საჭირო, რა კარგი რამეც დამემართებოდა ამის ჩამდენს. თუკი ძირს, ეზოში, არ მოვადენდი ტყაპანს (სულ ცოტა, ყველაზე ნაკლები, ფილტვების კრუპოზული ანთება გარანტირებული მექნებოდა). რამდენია რუსეთის ჩრდილოეთში, სხვაგანაც, მრგვალად ამოჭრილ, წერაქვით ამოტეხილ ყინულში ტიტვლები რომ ჩადიან და ასეთ მდინარეში ბანაობენ, ანკესობენ კიდევაც, თევზები ამოჰყავთ. ამის წარმოდგენაზედაც მზარავს, ტანში მბურძგლავს, თეთრი ეკლები მესობა და აუტანლად მჩხვლეტს.

ალბათ გალიგვებულ მიცვალებულებს ვერ აკლებს ვერაფერს ფრჩხილების წამძრობი სუსხი და ყინვა. თუმცა ესეც ვერ მამშვიდებს. მეჩვენება, რომ სულის ამოხდომის, გაფიჩხვის შემდეგაც გამთოშავს სიცივე და, მე უბედური, ცოცხლებზე არანაკლები ტანჯვით შევიგრძნობ ამ ჯოჯოხეთურ საშინელებას.

ვგონებ არც არი საჭირო იმის აღნიშვნა, რომ ზაფხულობით ასე გონისწამართმევად არ მეშინია. ხშირად მინატრია, მზით გადანათებულ მინდორში თვალდახუჭული ვიწვე და დაუსრულებელ ნეტარებას ვეძლეოდე. დასიცხული როცა ხარ, შეგიძლია იოლად გაგრილდე - ან ნიავი დაუბერავს ან მაცოცხლებელ ჩრდილს მოძებნი, წყაროშიაც ჩაჰყოფ ხელებს...

ჩემი გოლეული

22.02.1997. ადრეც მქონია მსგავსი, მეტად საამო განცდა. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ თვის შემადგენელი დღეები (ამის წარმოსახვა არ გახლავთ ძნელი) ფიჭის მუქად გაჟღენთილი ფირფიტის პატარა-პატარა დანაყოფებია და ყოველი მათგანი საკუთარი არსებიდან გამოწურული თაფლის წვეთებით (ლექსებით) უნდა ამოვავსო, მაგრამ წინასწარ შეიძლება იმის თქმა - ეს თაფლი მუდამ ტკბილი, გულ-ყელის დამაამებელი და ნუგბარი ვერ იქნება, ზოგჯერ მომწაროც გაერევა, თვითონ ცხოვრების დარად.

ზოგი თაფლი (იელისა) მაწყინარია, სიკვდილის პირამდე მიგიყვანს. ამის არაერთი შემთხვევაა აღნუსხული ძველთაგანვე (ძირითადი წყაროა ქსენოფონტეს „ანაბაზისი“, მართალი, უტყუარი წიგნი). ათას რამეზე თვალებდაფაციცებულს შემიმჩნევია - ფიჭის დანაყოფებს ფორმით ფრიად წააგავს (ბადროსებურ სიმრგვალეს არ უნდა მივაქციოთ ყურადღება) მზესუმზირას თესლამოცლილი თავი, ერთი ციდა ორმოებით სიმეტრიულად დაშავწერტილებული, თუმცა ეს არ არის მთავარი იმ აზრის გამოსახატავად, რასაც მე ვაპირებ.

ფიჭის (იგივე დღეების) ზოგიერთი დანაყოფი, ჩემი ნაფიქრალის ნაყოფით, შეიძლება ბოლომდე ვერ შევავსო ანდა სულაც ცარიელი დამრჩეს, მაგრამ ამაზე ვერ ვიდარდებ, აქედანვე უნდა შევურიგდე. ლექსის თითიდან გამოწოვა არ ვარგა, უმწეობის, გამოფიტვის მიმანიშნებელია, სწორედ ეს მტანჯველი აზრი აწვალებდა ტრაგიკული ბედის შემოქმედს, ტიციან ტაბიძეს, როცა დაღუპვამდე ოთხიოდე წლით ადრე წერდა:

მჯერა, გულშიაც გამკრავს წელკავი
და ლექსი თვითონ ამოდუღდება.
ხბო რომ აწვალებს რძეგამშრალ
ძროხას,
პოეტს და მკითხველს ეს არ უხდება!..

მე მრავლად, შემაწუხებლად დამიგროვდა უფერო, სისხლისგან დაცლილი, არაფრისმთქმელი სტრიქონები. კაცმა რომ თქვას, იმათ გადახაზვას და გადაყრას რა თავი უტკივა. ამასთანავე ესეც საფიქრებელია - ზოგს შეიძლება ის მოეწონოს, რაც მე დასახევი და გადასაგდები მგონია. ერთობ მერყევი ბუნება მაქვს და ჩემი ნდობა ძნელია. ერთი კია - ამდენ ბურბუშელაში, ბურდაში, ნამდვილის გამორჩევა მიჭირს. ერთ-ერთი მიზეზი ესეცაა, რომ ათი წელია, ლექსების კრებულის შედგენასა და წიგნის გამოცემას საშველი ვერაფრით დავაყენე. ვიღაც-ვიღაცეები, მარიფათით, სიმარჯვით გამორჩეულნი, ზედიზედ უშვებენ ბეხვერა ტომეულებს. უფალმა ყველას ხელი მოუმართოს.

23.02.1997. მონაზონი იმპერატორი ქალის შეკვეთილ (იცოცხლეთ, იმ დალოცვილს ჰქონია ალღო და გემოვნება!), გენიოსად შერაცხილი სეფექალის, მურასაკი სიკიბუს დაწერილ სწორუპოვარ, უძველეს, ათი საუკუნის წინანდელ იაპონურ

რომანში - „გენძი-მონოგატარი“ - არის ერთ-ერთ მთავარ ესთეტიკურ ფორმულად ქცეული უაღრესად პოეტური და ღრმა გამოთქმა - „საგანთა ნაღვლიანი მომხიბლაობა“. ყოველივე მშვენიერის დახვეწილი შეგრძნების გარდა, მასში აშკარადაა გამოხატული წუხილი სილამაზის მოსალოდნელ, გარდაუვალ ჭკნობაზე, საერთოდ, ბუნებაში, სამყაროში ყოველივეს არამდგრადობაზე. ეს განცდა ყველა ნამდვილი ხელოვანის თანამდევი და მწუხარების მომგვრელია. დიდ ფერმწერთა ნახელავ პორტრეტებში (მეტწილად ქალებისაში), თვალებიდან გამოსჭვივის უძირო ნაღველი, რაც მხატვრის მღელვარებასა და სინანულს უფრო წარმოაჩენს, ვიდრე მოდელისას.

პოეზიაშიც უთვალავჯერაა გამოთქმული წუხილი მშვენიერების ჭკნობა-წარმავლობაზე. მაგალითების მოხმობა მსოფლიო და ქართული პოეზიიდანაც დაუსრულებლად შეიძლება. ეს იმ თვისებათაგანია, ხელოვნებას, პოეზიას უხვად რომ ასაზრდოებს და ამა თუ იმ ქმნილებაში განსხეულებული, მწუხარე იერთან ერთად, წარუდინებელ მომხიბლაობასაც ანიჭებს. ამის ნათელსაყოფად, რუსთაველის ერთი, სევდანარევი, სტრიქონიც იკმარებს: „ზამთარი ვარდთა გაახმობს, ფურცელნი ჩამოსცვივიან...“

დღეს დავინახე (შვიდი-რვა წლის შემდეგ) საბურთალოს ბაზრის წინ მცხოვრები ქალი, ადრე ვარდები რომ უყვაოდა სახეზე და აცეცხლებული თვალებიც სხვანაირად უციმციმებდა, ახლა კი ჩვრებივით ჩამოკიდებოდა ლოყები და თვალთა შუქიც ისე ჩანავლებოდა, ძალაუნებურად გვერდზე გავიხედე, პირი ავარიდე. ბრიალა წითელი პალტო კი მაინც ეცვა, ისევ კოხტაობდა. ადრე მბეჭდაობით (განსაცვიფრებელი პროფესიონალი იყო, ტყვიამფრქვევივით აკაკანებდა კლავიშებს) ცოტაოდენ ფულს შოულობდა და ექსტრასენსობასაც ეწეოდა. ჩემს მახსოვრობაში ბევრი მშვენიერი, აყვავილებული ქალი ჩაქრა, ქუთუთოებზე მოწოლილი ვნებისაგან დაიცალა, გამოშრა და მათი ასეთ სავალალო ყოფაში ხილვა ცუდ გუნებაზე მაყენებს, ხასიათს მიშხამავს. აქ მაინცდამაინც ხელშესახებად, სახიერად ვერ გადმოვეცი ჩემი გულისტკივილი ამ მოვლენის გამო და ალბათ სხვა დროს მომიწევს თავის შეწუხება - მეტი სიმძაფრისა და სინანულის გამოჩენა.

ჰორტენზია

25.02.1997. ადრეული ბავშვობიდანვე სხვანაირად მესახება ჰორტენზიის ფართოფოთლოვანი, ნაირფერად გადანათებული ბუჩქი; თვითოეული გატკეცილი ყვავილი ისე მკაფიოდაა გამოკვეთილი, ჯვრის ტუზის ემბლემა გეგონება, მაგრამ უფრო დიდ და მომრგვალო ფონზეა გაფანტული, თანაც, შავის ნაცვლად, ცისფრად ან ვარდისფრად არის გადაღებილი, თუ მზესა და წვიმაში არ გამოხუნდა, სიცინცხალე არ დაკარგა. ნათქვამის კიდევ უფრო დაზუსტებაც შეიძლება. აღქმის გასაადვილებლად დავხედოთ ჯვრის ტუზს; კერძოდ, ფიგურას. ესაა ღერძზე შემდგარი და განშტოებული სამი, მოსაწყვეტად გამზადებული წვიმის წვეთისა თუ ცრემლის მოყვანილობის ნაწიბური. ჰორტენზიის ერთ სიბრტყეზე განლაგებული, შედარებით, მოზრდილი ყვავილი ხუთი ნაწილისგან შესდგება (იასამნისა, როცა გაშლას იწყებს, ოთხად გადაიხსნება ხოლმე და თვითეული შეშუპებულ მინიატურულ

ქუთუთოს გავს). ჰორტენზიის აღწერას და მასთან დაკავშირებულ შედარებებს ასე ბუნდოვნად ვერ დავამთავრებ. არის კიდევ ერთი, არც მთლად სასიამოვნო, მაგრამ უეჭველი მსგავსება; ზოგჯერ იგი მამალი ინდაურის გადალურჯებულ, ხორკლიან თავსაც გაგახსენებს.

საბოლოოდ, მაინც მიძნელდება თქმა, რატომ მიზიდავს ასე ეს უსუნო, ბევრით არაფრით გამორჩეული ყვავილი. ამის უმთავრესი მიზეზი ალბათ ზემოთ ნახსენები ბავშვობისდროინდელი შთაბეჭდილებაა. მაგონდება ჩვენი კეთილი მეზობლების, დიდი ხნიდან გაგურულებული უკრაინელების (სახელები დედმამიშვილებს, ეტყობა, ტრადიციის გამო, სლავური ჰქონდათ), სამბურების მშვენიერი, ორსართულიანი სახლი და თვალის საამებლად გაშენებული, მწვანეში ჩაფლული ეზო. იმ დილით, სწორედ მათი მხრიდან, საშინელი კივილი, შეცხადება გაისმა. მამიდაჩემმა, ანეტამ, ჩამჭიდა ხელი და ზემოთ, სამბურებისკენ გამაქანა. ოჯახის ყველაზე ახალგაზრდა წევრი მომკვდარიყო, ჟენია, ბრმა ნაწლავის გართულებას გადაჰყოლოდა. მაშინ კარგად არც ვიცოდი, რა იყო სიკვდილი. იქ მისულებს ეზო ხალხით გადაჭედილი დაგვხვდა. ჟენიას უფროს დას, თმაგაშლილს და ლოყებდახოკილს, ელამ სონიას (რუსულის მასწავლებელი იყო, ძალზე კულტურული ადამიანი), იქეთ-აქეთ, მკლავებზე ეკიდა ორი ქალი და ვერ აკავებდა. იდგა გულისწამღები გნიასი. მეორე და, ლამაზი, შავგვრემანი, ლიდა, კვიტაიშვილების რძალი (ქმარი, მთელი ლანჩხუთის საამაყო ვაჟკაცი რუბენ კვიტაიშვილი ოცდაჩვიმეტში დაუხვრიტეს) იმ დღეს არ მომხვედრია თვალში. მათი ერთადერთი ძმა, მამაჩემის სიყრმის მეგობარი, პროფესიით ექიმი, ვალოდია ბიძია (იმაზე ცალკე მაქვს დასაწერი) მაშინ ფრონტზე იყო და რას ჩამოვიდოდა.

ყველაზე გასაკვირი ის გახლდათ, ამ შეცხადებას გლოვად, საშინელებად არც აღვიქვამდი, თეატრალური სანახაობა მეგონა და ეზოს განაპირა ნაძვებისკენ ვიყურებოდი, უფრო კი ჰორტენზიის მწვანედ გაფოფრილი, ალაგ-ალაგ ცისფრად აალებული ბუჩქები მტაცებდა მზერას. სამუდამოდ გამომყვა და აღარ შორდება ის დღე ჩემს აფორიაქებულ წარმოსახვას; აღდგენას, გაცოცხლებას მთხოვს. სადღაც კი მაქვს ნაწყვეტ-ნაწყვეტად ჩაწერილი, მაგრამ უკმარისობის გრძნობა მაწვალებს, არ მეხსნება.

მოგვიანებით, ჩვენს საოჯახო ალბომში მამიდაჩემმა საწყალი ჟენიას სურათი მაჩვენა. მსუქანი, სასიამოვნო გარეგნობის ახალგაზრდა ქალი შემებრალა. ოდნავ ელამი ჩანდა. სახეც არ ჰქონდა მთლად ქართული, მაგრამ მის საერთო ეშხიან იერს ეს ვერაფერს აკლებდა. ძალიან უხდებოდა შავი, დატალღული თმა. ერთმა ნათესავმა, ანგელოზური ბუნების შინაბერა ქალმა, ამჟამად საკმაოდ მოხუცებულმა, მითხრა - ჟენიას საფლავი მისმა შეყვარებულმა, საქმრომ გაუკეთაო. ამან კიდევ უფრო დამწყვიტა გული. სურვილი გამჩენია, თუ კიდევ არსებობს, ჟამთასვლას ჯერ არ წაუშლია, იმ ობოლ საფლავზე ჰორტენზიის ბუჩქი იყოს დარგული და ისე ენთოს, როგორც იმ შორეულ, ავბედით დილას მის ეზოში ლურჯად ბრდღვიალებდა.

გვიანდელი მინაწერი:

12.12.2008. გენიალური ესპანელ პოეტი ხუან რამონ ხიმენესი პროზაული მინიატურების ერთ ციკლში ხატავს მადრიდის მცხოვრებთ, ნაირგვარ, სხვადასხვა ხელობის, ასაკისა და მიდრეკილებების ადამიანებს. მათ შორისაა მოხუცი კაცი, ყვავილების მომშენებელი და გამყიდველი, ვისაც თავს ერჩია ბუნების ეს უნაზესი ქმნილებები. მან ერთ ცოლ-ქმარს მიჰყიდა ქოთანში ჩარგული პატარა ჰორტენზია და თითქმის ყოველდღე აკითხავდა იმ ოჯახს, რათა თავისი თვალით ენახა, როგორ უვლიდნენ მის ნაამაგარ მცენარეს. დარწმუნდა, რომ მის ჰორტენზიას, უგულოთა ხელში მოხვედრილს, ძველი მზრუნველობა აკლდა. ზედმეტი მიკითხვით, იმათაც აბეზრებდა თავს და ბოლოს, ადრე ასე ნასათუთარი ყვავილი უკან წაიღო, დაიბრუნა. სულ არ გამკვირვებია იმ ახირებული ბერიკაცის საქციელი - სცოდნია სილამაზის, სინატიფის ფასი. ჩემს თავზე ამის თქმა შემიძლია - არ ყოფილა დღემდე შემთხვევა, სადმე ჰორტენზიის ბუჩქი დამენახოს და არ შევჩერებულიყავ. არ მივფერებოდი (ერთი ალერსიანი თავისუფალი ლექსიც მაქვს მასზე დაწერილი). არც სამომავლოდ მოხდება - მის მომნუსხველ, გადატკეცილ სილურჯეს გვერდით გულგრილად ჩავუარო.

05.10.1986. რამოდენაა, ერთი შეხედვით, რა მშვიდი და მომთმენია, ამავე დროს, უსასრულობაში კისრისტეხით გავარდნილი, თავბრუდამხვევად დაბზრიალებული დედამიწა, რომელსაც ალაგ-ალაგ სიცხისგან ალმური ასდის, ჩაზნექილ თავსა და ბოლოში ყინულის სალტეები აქვს შემოჭერილი, ყოველ წამს შავი, თეთრი, მეწამული, ათასნაირად ფერებშეზავებული ღრუბლებით არის გარსშემორტყმული. მზერაშემოუწვდენელ სივრცეში გაჭრილი, თვითონ ასე თავქუდმოგლეჯილი გარბის, წამითაც ვერ ჩერდება ერთ ადგილზე და შენ რას დაგტოვებს უძრავს, გაუტოკებელს, ნირშეუცვლელს? არადა, შეიძლება გარინდება, შენს ირგვლივ შემოჯარული საოცრების დინჯად ცქერა, მყუდრო ფიქრებში საათობით ჩაძირვა.

ერთი წამით წარმოვიდგინოთ - ჩვენი წარმომშობი მიწის ვეება ბურთი შეტორტმანდა, გაჩერდა! მაშინ ხომ ყველაფერი ერთმანეთს შეასკდება, დავიბუგებით და სიცოცხლე სამუდამოდ ამოიძირკვება. გაფიქრებაც კი თავზარდამცემია ასეთი წამისა. ღმერთმა გვაშოროს!

მუდამ ამ გულმომსუყებული ჟამის მომლოდინე ვარ; ყოველწლიურად თვალს ვადევნებ გარეუბნის ბაღ-ვენახებს, გაფაციცებული ვაკვირდები - განახევრდება ულამაზესი, ქარვისფრად მოკრიალე, ტანში მზეგამჯდარი სექტემბერი (ახლა ოქტომბერიც იფურცლება) და იცდის ქერქაპრიალებული, მსხმოიარე კაკლის ხე. არ ვიცი, რის გამო ხდება (ალბათ პატარა ბიჭობისკენ მიჭრის ყვითელი ფოთლებით დაფარულ ოქროვან ბილიკს) - უჩვეულოდ მაფორიაქებს ბუსუსიან წენგოზე გაჩენილი შავი ნაპრალები. კანდაბზარული ნაყოფი მეუბნება: მიგემე, მწიფე ვარო. დაჰკრავ განზე გაშვერილ ტოტზე ჭოკს (კახეთში ხალხას ეძახიან) და ჭახა-ჭუხი აუტყდება დაცვენილ, ფერდობზე დაგორებულ კაკალს... ამის უკეთესი რა უნდა ვიხილო?! ჩემთვის ასე თავდება წელიწადი. დამირტყამს ქვა, გამიტეხია ნაჭუჭი - რამდენჯერ ამომიყვანია თავჩასვრეტილი ნაყოფის შეშავებული, გამოღრუტნული ლებნებიდან მსუქანი, წითური, განცხრომის მერე გრილ ჰაერზე მოხვედრილი მატლი, ამ უეცარი ცვლილების გამო, უსიამოდ რომ იკლაკნება. დავხედავ - საბრალოს მოკლე, შავი, კაუჭა ფეხები აქვს. არ ვკლავ, იქვე, ბალახში მოვისვრი ხოლმე. რაღა აზრი აქვს შემფარებელი და მასაზრდოებელი ციხე-სიმაგრის დამსხვრევის მერე მის უბადრუკ ცოცვას, ასეთსავე არსებობას? ვაითუ ჩვენც ასე გვაკვირდებიან რომელიღაც თვალშეუწვდენელი წერტილიდან და დამცინავად ეღიმებათ!.. რას გაიგებ.

ვინ აღნუსხავს, რამდენი რა დამიწერია, ლექსად თუ პროზად, ბანგით გათანგულ შემოდგომაზე და ვერაფრით ამოვწურე ამ მოუბეზრებელი სასწაულის სიმდიდრე, ელვარება. ბუნებასთან შეჯიბრი ვის გამოსვლია, რომ ჩემისთანა მღილს გამოუვიდეს? ყველაფერს აჯობებს, დავმშვიდდე, გავირინდო, დინებას მივყვე. არ ღირს წინასწარ იმაზე ვიშვიში, რა მომივა.

16.12.2006. ვათვალიერებ ძველ, ნაუცბათევ ჩანაწერებს და განცვიფრებული ვარ - რა ფორიაქი მქონდა ჩაღვრილი სისხლში, რომ ვგრძნობდი, რაღაც საშინელება უნდა დამმართნოდა და ყველაფერი ჩემს გასაწირავად გამზადებულ შვილს უკავშირდებოდა, ჩვენი ისედაც ფუძემოშლილი ოჯახის განადგურების მომასწავებელი იყო. ეტყობა, ამან დამაწერინა 1990 წლის 4 აპრილით დათარიღებული, შავად გამომზირალი, მობორძიკე ორი სტროფი, რომლის სიღრმეში მორგის სულისშემხუთველი, ძრწოლის მომგვრელი ოთახი მოჩანს:

* * *

რას ვიტყვი უფრო დამტანჯველს, მძიმეს,
იყო დამჭკნარი და დაჩონჩილი...
მე წარმოდგენაც დამანგრევს იმის,
ნახონ ბებრული შენი ჩანჩალი.

ვაჰთუ ბოროტი დაგეჯაჯგურა,
ცეცხლიდან ჩვენი გამომთიშველი,
შეგიჯდა ტანში, ჩაგიქრო ქურა,
უშნო, ქვის ტახტზე დაგდო შიშველი...

რა იყო ეს? წინასწარი ტანჯვა, ავი წინათგრძნობა თუ სხეულში ჩაბუდებული წრიალი ჩემი საცოდავი შვილის გამო, რომელსაც ორი თვის სიცოცხლეც არ ჰქონდა დარჩენილი. ამდაგვარი კოშმარული ხილვები სხვაც მაქვს, დათუნას ჯოჯოხეთურ დაღუპვამდე რომ ჩამიწერია. იმ დღეების გახსენებაზე ტვინი მეპობა და მეხლიჩება. ვერაფრით ვერ მივმხვდარვარ, როგორ გავუძელი ამდენ საშინელებას, საბოლოოდ და სამუდამოდ როგორ არ გავისრისე? ცხადია, ამდენ მომაკვდინებელ დარტყმას ჯანმრთელი, ნერვებდაუწყვეტელი ვერ გადავურჩებოდი. იმ შავი დღიდან მოყოლებული, უკიდურესად აღგზნებული ვარ და წონასწორობასაც იოლად ვკარგავ. ბევრი რამე ჩავიდინე ისეთი, რასაც ალბათ არ გავაკეთებდი, ასე რომ არ გავმწარებულიყავი. გულის დამფლეთი და გასახეთქი დღესაც საკმარისზე მეტი მაქვს, შეცვლა კი არაფრისა შემიძლია.

21.09.1986. შეშფოთებული ვარ, უსაზღვროდ ვწუხვარ. ბოლო თვეებში მამაჩემი საგრძნობლად შეიცვალა - წელშიც მოიხარა, დასუსტდა, ჯოხს იბჯენს, ნამეტანი მოუთმენელი გახდა. ორი თვის წინ აივანზე გამიხმო და მითხრა - მე მალე მოვკვდები, რაც არ უნდა კარგი მოვლა მქონდეს, წელიწადზე მეტს ვეღარ ვიცოცხლებ და შენთვის მოულოდნელი არ იყოსო. ავფორიაქდი და რამდენადაც შემეძლო, მედგრად შევეწინააღმდეგე, ასეთ რამეს ნუ ამბობ-მეთქი. აუღელვებლად გააგრძელა, ჩემი ორგანიზმის ამბავს ნუ მასწავლი, მე მშვიდად წავალ, რადგან შენ უკვე ჩამოყალიბებული კაცი ხარ და ოჯახსაც მიხედავო. ამან კიდევ უფრო მომიკლა გული და მოვეხვიე, მკერდში ჩავიკარი, ცრემლები წამომივიდა.

ლანჩხუთიდან მანქანით ჩამოგვაკითხა მამაჩემის უმცროსმა ძმამ, იაშამ. მამაჩემს შეეთვალა ახლობლის პირით, სოფელში წამიყვანეო. რაღაცას ცუდს უგრძნობდა ტანი და გადაწყვიტა, დედმაშვილები მოენახულებინა. ბიძაჩემი მაღალი, სასამოვნო გარეგნობის კაცია, საავადმყოფოს აფთიაქი აბარია, უაღრესად პატიოსან ადამიანად იცნობენ რაიონში. ახალგაზრდობაშივე ჩაესიძა ზემო ჩიბათში, როცა მამაჩემი დაპატიმრებული იყო. სარჯველაძის ქალი შეირთო. ცოლის ოჯახი საკმაოდ ღონიერი, შეძლებულია. ბებიაჩემი და მამიდაჩემი საშინლად დაზაფრულები იყვნენ თავის დროზე მისი ჩასიძების გამო, მაგრამ რაღას გააწყობდნენ, ყველაფერი მდგომარეობამ განაპირობა.

თბილისიდან დილითვე გავედით. ჩვენთან ერთად მოდიოდა ჩვენი ახლო ნათესავი, მამაჩემის ბიძაშვილი ბუჭუ კვიტაიშვილი, უზომოდ კეთილი და ერთგული პიროვნება. გზად ზესტაფონში შევჩერდით, ლუდი დავლიეთ, ვისაუზმეთ. მამას გადაწყვეტილი ჰქონდა, ცოტა ხნით, ზემო იმერეთში გვენახა მამიდაჩემი თამარი, მისი ტყუპისცალი (მახსოვს, ერთხელ იხუმრა თავის დაზე, რას ამეწება, ეგება ცოტათი უკეთესი გამოვსულიყავიო). გავიარეთ გაღმა-გამოღმა შეფენილი ულამაზესი სოფლები - ზეინდარი, ობჩა და სხვებიც. იმ სოფელსაც, სადაც მამიდაჩემი იყო გათხოვილი, ასევე ლამაზი სახელი ჰქვია, ფერეთა (ფერსათის მსგავსი). იმის მახლობლად მახსოვდა ყავისფერი მარმარილოს დიდი სამტეხლოები. მინახავს, როგორ ამუშავებდნენ ამ ძვირფას მასალას. მაშინ სულ ბავშვი ვიყავი და მოხიბლული დავყურებდი მარმარილოს ლამაზ ნატეხებს, რომლითაც მოფენილი იყო იქაურობა. მამიდაჩემს ვახლდი, სხვა იქ ვინ წამიყვანდა, მამაჩემი იმხანად დაპატიმრებული ჰყავდათ.

თამარს ქმარი, გვარად ნამიჭეიშვილი, ომში დაეღუპა და იმის ოჯახში ცხოვრობდა, სიყვარულით გარემოსილი. მისმა მამამთილმა, თეთრწვერა, კეთილმა მოხუცებულმა, ჭურიდან ორშიმოთი (თუ ხრიკით) ღვინო ამოიღო და გამასინჯა. ტვინში ამივარდა ოხშივარი, მაშინვე გავბრუვდი, ღვინის სურნელმა დამბნიდა და ძლივს გამიარა თავის ტკივილმა; რანაირად ავიტანდი იმ შუმ იმერულ ღვინოს თერთმეტიოდე წლის ბიჭი.

ახლა ნაშუადღევს ავედით იმ სოფელში, იქაურებმა მიგვასწავლეს ეზო. ღობის მიღმა პატარა ხის სახლი დავინახეთ. ისედაც მომცრო ტანის მამიდაჩემი მთლად მუჭისტოლა გამხდარა, საბრალო წელში ვეღარ იმართება, მაგრამ სიხარულს ვერ ფარავს ჩვენს დანახვაზე. გულში ვიხუტებ. საბრალო შესახედავია, მაგრამ თვალები კი აქვს საკვირველად სხივიანი, კეთილი, რაღაც არისტოკრატიული იერი კი შერჩენია სახეზე, მიუხედავად დაბეჩავებისა. შვილი არ ჰყავდა და ეს მაწუხებდა. პირველი ქმრის დაღუპვიდან კარგა ხნის მერე ერთ უბრალო, მშრომელ სვან კაცთან დაეკავშირებინა თავისი ბედი. უცნაური კია, მაგრამ გვარად კანკრიაშვილია, სერაპიონი ჰქვია, შესამჩნევად დაელმებული თვალები აქვს. ადრე, საახალწლოდ, ჩამოდიოდა ხოლმე თბილისში, ღვინო, გოჭი და სხვა მოსაკითხი ჩამოჰქონდა. მამაჩემი მუდამ ჩუქნიდა ფულს, უპატივცემულოდ არასოდეს გაუშვია. ახლა სერაპიონს კაი ჭკუა ეხმარა. სვანეთიდან ჩამოუყვანია თავისი ნათესავი, მურზაყან სასვიანი, ვარგებული, მშვენიერი ვაჟკაცი. ცოლიც შესაფერი ჰყავს, გურული ქალი, ირინა თავაძე, ორი ბავშვი შესძენიათ, პატარები არიან. გულით გამიხარდა იმათი ნახვა იმ ჩამკვდარ სახლში. გამოცოცხლებული და გახალისებული იყო იქაურობა. მეამა მსხმოიარე კაკლის ხის დანახვა. რამდენიმე ნიგოზი ჯოხით ჩამოვაგდე და გავტეხე, პირი ჩავიგემრიელე. ჭკუას ვკარგავ დაკროლილ, ჩამუქებულ კაკლებზე, ნათალ მარმარილოსავით რომ ბზინავს მზეში.

დატრიალდნენ მასპინძლები. სუფრის გაწყობა უნდოდათ, მაგრამ მამაჩემმა არ დაანება, გვეჩქარებაო. თავის დას ფული აჩუქა, გადაკოცნა და გამოემშვიდობა. იცოდა, მეტად ვეღარ ნახავდა. მეც სათითაოდ გამოვემშვიდობე ყველას. გულდაწყვეტილები დარჩნენ. მანქანაში ჩავსხედით და დავეშვით დაღმართზე, ლანჩხუთისკენ გავეშურეთ.

ზემოთ უკვე ვახსენე, რომ პატარაობისას ნამყოფი ვიყავი ზემო იმერეთში. თვალწინ დამიდგა მაშინდელი სურათები. ფერეთაში პატარა ბიჭი, როგორც ვთქვი, ჩემმა გამზრდელმა მამიდამ, ანეტამ წამომიყვანა გურიიდან. მახსოვს, როგორ თვალის გასახარად მოჩანდა აჯამეთის მუხის ტყე, რომელსაც ახლოს ჩაუარა ჩვენმა მანქანამ. ძარაზე, კაბინასთან ვიდექი და ხარბად ვათვალიერებდი ზღაპრულ სილამაზეს.

აქეთობასაც სატვირთო მანქანით წამოვედით (სხვა არაფერი მოძრაობდა მაშინ), გზაში, შეღამებულზე, ბაღდათში რომ შევედით, მანქანა მოულოდნელად გაჩერდა. გვიანი შემოდგომა იყო, ციოდა. ათამდე მგზავრი მაინც ვიყავით. რა გვექნა. მძღოლი წვალობდა, მაგრამ რაღაც ისეთი ნაწილი გაუფუჭდა, ვერაფერს უხერხებდა. საიდან აღარ მოგვქონდა ფიცრები და მორღვეული ღობეები. ცეცხლი გავაჩაღეთ და ვეფიცხებოდით, რომ არ გავთოშილიყავით. მოშიებით არ მოგვშიებია. იქ მყოფები რაღაცეებს ჰყვებოდნენ, რათა როგორმე დრო გაეყვანათ. მამიდაჩემი, რამდენადაც შეეძლო, მფუთნიდა. რის ვაი-ვაგლახით გავათენეთ ის ღამე. აღარ მახსოვს, რა იღონა ჩვენზე არანაკლებად გაწვალებულმა მძღოლმა, მაგრამ ბოლოს მაინც შესძლო ჩვენი ბაღდათიდან წამოყვანა. ავად არ გავმხდარვარ, მშვიდობით ჩავაღწიეთ ლანჩხუთში. ახლა ისევ მამიდაჩემის სანახავად მივდიოდით მე და მამაჩემი. ვიცოდი, ერთი სული ჰქონდა ჩვენს ჩასვლამდე.

ვახტანგ ჯავახაძე



ხალხურ მოტივებზე

წუთისოფელი ასეა:
ევროპას უტევს აზია.

საომრად მიდის ხიზანი:
აბჯარნი თუნდაც ხისანი.

სდუმან დაფი და საარი:
იქვე საფლავი მზა არი.

ფორტეს ამშვიდებს პიანო:
ქვიშანი დარჩებიანო.

ერს აიმედებს თამადა:
- კარ გაიღების თავადა.

დილა გვაფრთხილებს ცინცხალი:
- წინ წყალი, მხოლოდ წინ წყალი!

შარავანდედმა შემოსა
დაბრუნება და შინ მოსვლა.

ეგებებიან ვერხვები:
- ჯერ დედას გადავეხვევი!..

* * *

რამდენიმე დღით ადრე - უცებ აყვავდა ნუში,
ატამს დაასწრო, ბალი არ იყო აინუნშიც.
ვაშლსაც დაასწრო, თეთრი მოისხა მოსასხამი -
სულ რამდენიმე დღით და სულ რამდენიმე ღამით.
ყველას დაასწრო, მაგრამ სუსხმა უწია ყინვის
და ედავება ავდრის მედიატორი: ვინ - ვის!..
ღმერთმა დაგასწროთ მრავალს - ასებს და ასერგასებს,
თუმცაღა გაზაფხული არ გახლავთ დასწრებაზე.

აცაბაცა

იგერიებ ახალ-ახალ
ეჭვებს: მთვრალი აღარა ხარ.
არ მოგწყინდა ცისკენ ცქერა,
კიდეც ჭრი და კიდეც კერავ.
ტაშებსა და სტვენას შორის
შეგაშველეს ტრენაჟორი
და პამპულამ - პაწაწა და
პაწაწინა ბაცაცათა -
შენს ნაბიჯებს პაწა-პაწა
წაბაძა და წა-ცა-ბაძა:
ფხიზელი ხარ, მაგრამ მაინც
მიაბიჯებ აცაბაცა.

მარტის ვარიანტი

ბოლო რიგის ბოლო სკამზე მშვიდად იჯდა პირველი,
ამხნევებდა საუკუნის კარის ნათელმხილველი.
წასასვლელად, გასაქცევად, გასაფრენად მზად იყო,
აყოვნებდა არამზადა ანუ არამზადიკო.
ალაყაფთან ჩაუსაფრდა სცილა, როგორც ქარიბდა,
სატანა და ბელზებელი დარაჯობდნენ კარებთან.
უცებ ყველა შებრუნდა და შიშმა თვალი წარტაცა
და ზურგების კედლებს შორის დაინახა ცა და ცა.
უხილავმა ყველაფერი აკრიბა და წაიღო,
არაფერი დაუტოვა, ყველგან მხოლოდ ცა იყო.
საიდანღაც უჩინარი აუხირდა ბოროტი:
- შენ ისედაც ცა გერჩია, შენ ხომ ცაში ცხოვრობდი?!
აჰა ფრთები! აჰა გზები ცათა ახალშენისა,
აწი მაინც მოისვენებთ ერთად შენ და შენი ცა!

იგრძნო ფრთები, იგრძნო სივრცე მარტის ვარიანტისა:
იყო ცა და აღარ იყო მიწა ანუ ანტიცა.

* * *

აქვს პოეზიას სამეულთა ფილიალები:
აკაკიები, ვაჟაები, ილიაები.

არც ტახტი უდგათ ოქროსი და არც სავარძელი:
რაზიკაშვილნი, წერეთელნი, ჭავჭავაძენი,

გალაკტიონთან დაბალანსდა - და ტიციანთან -
ინტერვალი და ინტეგრალი ტაბიძიანთა.

ენაცვლებიან ერთმანეთს და ენაცვლებიან
იდეალებს და ასფალტზედაც ენარცხებიან...

გაცვდა დაქტილი ულევი და ქორე ულევი:
დგას რუსთაველი - რუსთაველის ორეულივით.

მოპარული საფლავი

კარგი დაუდგა ჯალათს დახლი და
ჯალათმა ბევრზე ბევრი დახვრიტა.
ეს კაცი მწყრალად იყო სამხილთან,
ამ კაცმა ვაგონები დახვრიტა.
უარყვეს წმინდა ხატი და კვართი
და მაგიები გაამაგიეს,
დღეს დიდუბეში - პაოლოს გვერდით -
წევს იგი - ტიციანის მაგიერ.

მიქელანჯელოს გახსენება

ვერ იყოფენ სამოსახლოს სექტორი და სეგმენტი,
რომელია? ღმერთმა უწყის, რომელია ზედმეტი.
მოვიხილე ოფისი და ხავერა და ბუნაგი,
გადავთვალე და აღმოჩნდა მეცამეტე ბურვაკი.
მაინც რომელს ამჯობინებ: შარაფებს თუ საკურთხებს?
ვეღარავინ გააორებს სიძულვილის სამკუთხედს.
მე ჩემი მყავს ღმერთები და კერპები და მეტრები,
ცივი შესვას წყაროს წყალი, ვისაც ვეზედმეტები.
მე ჩინური კედელი ვარ, ანუ ბარიკადა ვარ,
თუ გადავალ, უსათუოდ დაკრეფილში გადავალ.
გავიხსენებ, ვინც დროებას მარცხი უნდა აგემოს -
მიქელს - არა გაბრიელს და არა მთავარანგელოზს, -
ვინც მიალაგ-მოალაგებს მარმარილოს ჯებირებს,
მოაცილებს ზედმეტებს და ხმას ამოაღებინებს.

მეოთხე ზარი

მიდიოდა რა,
ვაქეზებდით: მიდი, ოთარა!

მიდის მინდია:
მინდიებიც ხშირად მიდიან.

წავა გობრონი:
მოიწყენენ სამეგობრონი...

ჩემმაც დარეკა -
მობილურმა -
ჩემო დარიკო!

* * *

პალტო ვიყიდე ორმაგი: არ უნდა გადაბრუნება,
მაგრამ რად გინდა: რთულია ქალბატონების ბუნება:
გამითამამდა მეუღლე, ოჯახის რეჟისორმა კი
ისე დამიდგა პიესა, ქუდიც ვიყიდე ორმაგი,
და, რაკი გული მარწმუნებს, ვერ დაითანხმებ დავითო,
ეს აბსტრაქტული პორტრეტი თავდაღმა უნდა დავკიდო.

უკუ-ღმართი რითმები

ვერ გახლავართ გულადი და გოლიათი,
მაინც უნდა გავიტანო ათი გოლი.
რაკი აღარ იშოვება მუზარადი,
საკუთარი მიცავს მეორადი მუზა.
თუმცა აღარ მანებივრებს ზოდიაქო,
ზოგიერთმა მაინც ჩემი აქო ზოდი.
მეც მყავს ჩემი ავთანდილის ტარიელი,
მეც მყავს ჩემი რამდენიმე ელიტარი.
რაც არ უნდა დამიყაროთ საკენკები,
ვერ წამიყვანთ კერპის ქანდაკებისაკენ.
გამოვხშირე შავზე უშავესი სია -
ინვერსიულ ვერსიათა სიავესი.
არაფერი აღარ დამრჩა სანისიო,
მაგრილებენ ალერსები სიოსანი.
მეზარალა საიმედო ანაბრები
და ჭაღებიც გამიყიდეს ბრებიანა.
მემუქრება პატი ანდა მატი ანდა
ყაიმი და ნახევარი ანდამატი.
დამესიზმრა უხილავი მესია და
აქტეონის ქოფაკები დამესია.
ამიხირდნენ სახიფათო მანიათა
ბარონი და ლიდერი და ატამანი.
ამიტეხეს შარი ანუ შარამათი,
გაიყარა ჩემი გზა და მათი შარა.
მივატოვე ცამეტიდან ცამეტივე,
დამემგზავრა მენავე და მეტივეცა.
ერთხელ კიდევ დამიყარეს საკენკავი
და გამექცა რითმა კილოკავისაკენ,
სადაც ყანწებს გადადიან მალაყები
და რესტორანს აწერია: „ყირამალა“.

ძაღლი ყეფს...

მიწას არყევს ეხო დინამიტის,
სტალაქტიტებს მიჰყვა სტალაგმიტიც
და დაიმსხვრა ყველა მიამიტის
ოცნებანი... ქარავანი მიდის.
დაიბზარა ტაძრის ბალავარი
და ბალავარს მიჰყვა გალავანიც,
ყველა კერპი, ყველა ფალავანი
გაიმეტეს... ქარავანი მიდის.

ჩემოდანი

დაგვიძველდა პურ-მარილი, ჩემო ძველო ჩემოდანო,
სხვებმა საყვედური მკადრეს: ნუ დაგვყურებ ზემოდანო.
მართალია, ვერ მოგართვი შტატები და პარიზები,
მაინც მდიდრებს ვედრები და ჯიბეს ვესადარისები.
თუმცა კანტის დავიწყებაც არ ეგების, სირცხვილია,
ჩვენ ვიკმაროთ ეგვიპტე და ჩეხეთი და სიცილია...
მეჩვენება, თითქოს არვის არ უვლია ჩემოდენი,
ავიკარი ბევრჯერ გუდა-ნაბადი და ჩემოდანი:
პორტებს შორის ოწინარის ვედროსავით გაგლახავე,
კმარა, კონვეიერები ვეღარასდროს გაგლახავენ.
უკვე დროა, სპიდომეტრის მაჩვენებელს ვინიშნავდე:
სამი პარასკევი დამრჩა უჩემოდნო ფინიშამდე.

P.S.
დარდით დავიბოღმები და
შიშისაგან ჩამოვდნები:
ვინ ოხერმა მოიგონა პულტიანი ჩემოდნები -
მოსკოვის და ვაშინგტონის პულტიანი ჩემოდნები?!

მთვარე

მიიწურა, მიილია,
აღმოსავლეთს შეელია,
მივა, სადაც მიელიან,
სადაც უკაცრიელია.
ასტრონავტი მიიზიდა, ვარსკვლავები მიისია,
კაი კახპა ბრძანდება და ვინც მიასწრებს, მი-ი-სია!

წყაროსთან

წყაროსთან გალობენ ბიჭოგოგიანი,
ამავე წყაროსთან ბიჭი კოკიანი,
რომელმაც არ იცის - რაა კოკაინი,
ოცნებობს: ნაკადული ანუ ოკეანე!

ჯერ არ უხილავს ჰავანა და ალექსანდრია
(ეს სტრიქონებიც უკეთესი - გალექსვამდეა).
აღმოაჩინა ოკეანის (და არა მიწის)
მიზიდულობის კანონი და ზეპირად იცის:
დაუწერელი ბრძანებით და განკარგულებით -
ოკეანეებს შესევიან ნაკადულები.
ფიქრიც (წყალივით) გარბის უკანმოუხედავად:
არ იცის, გუშინ ვინ ვინ მოკლა, ვინ ვის ედავა.
სიჩქარეს პირველს წირვა უკვე გამოუყვანა,
აღარც მეორე დაინდო და აღარც უკანა,
აღარც მუხრუჭი... შეიტყუეს ჰორიზონტებმა,
სადაც მირაჟი მირაჟებთან შორიშორდება.
მერე ერთ-ერთი აირჩია ორი პორტიდან
და, როცა ჩაქრა ერთადერთი ჰორიზონტი და
სანაპიროსთან უცნაური იგრძნო ალერსი,
თავის ნაკადულს დაეძებდა ოკეანეში.

* * *

შუადღეს და შუაღამეს შორის
გაიჭედა... ვიწრო კორიდორის
კედლებს შეატოვა სამძიმარი
და ნუგეში, მაგრამ პატიმარი
ვერ გაიქცა ოცდაოთხი ლოდის
დილეგიდან, როდის-როდის-როდის
დაიძინა, სიზმრის ციხიდანაც
ვერ გაიქცა, დროის ვიგინდარას
ვერ გაექცა, დრო კი ჟანგბადივით
არ ეყო და ხმელზე ხმელი თივით
ვერ დამალა ცეცხლი, იწრიალა
ისრებს შორის, თავის მიწიანა
თავის ძვლებიც ვეღარ გამოზიდა,
ოცდაოთხი ლოდის ნარკოზიდან
გამოვიდა, მაგრამ დილეგიდან
ვეღარ გამოზიდა ჩრდილები და
აჩრდილები... ამ დილეგის მსგავსად -
საათიც კი არ არსებობს არსად -
საათივით აწყობილი, რაღა
უნდა გარეთ? განაიარაღა
დრომ და ართობს ჰარიჰარალოთი -
ოცდაოთხი საათი და
ოცდაოთხი ლოდი.

ძე შეცდომილი

თუმცა კანონი აღარ მეხება,
აღარ ვიჩხირავ, აღარ ვიკეთებ, -
რა ჩემფეხებად მინდა ფეხები,
თუ ზედ ვერავის ვერ დავიკიდებ?!
კმაყოფილია დედაც, დიდედაც,
მაგრამ მაძალებს სიზმრის ვიდეო:
დაიკიდე და დაიკიდე და,
რაზედაც გინდა, დაიკიდეო.

საუკუნეთა გადაძახილი

I
იდგა ჟამი სულთა სულმოკლეობათა,
განიკითხეს ცოდვილების ზნეობა და
საკაცეთმა ვერ დააცხრო კლეოპატრა:
აქილევსიც დაიწუნა: პატროკლეო!

II
აზუსტებდნენ ღრეობათა
დოზებსა და ტერმინებს
და, რაც ასცდა კლეოპატრას,
მოხვდა ეკატერინეს.

III
თოფებს ეგ ატენინებს,
ცოდვებს ეგ ადენინებს,
რუსის ბარაბანზე მეტი
მოხვდა ეკატერინეს.

IV
ბოლოს ჩაიშალა თომარი და
ეროტომანია და თომარი:
ეკა რომანოვას რომანი და
ჯაკომო კაზანოვას რომანი.

V
...მაინც ბომბავს რაზმი კარავს -
პორტივით და ტრანს-პორტივით:
რას კადრულობს, რას მიქარავს,
რას,
რას,
რას,
რას -
რას-პუ-ტი-ნი!

მარკ შაგალის ნახატი

ცისფერი და იისფერი

წიგნებსა და ტელევიზორს შორის
გაგვიკადნიერდა რეჟისორი.
„აიეტმა“ ანუ „საკაბელომ“
თითქმის გადაფარა საქართველო.
ყველგან მისწვდა, ყველგან გაიჩითა,
არ ჩამოდის კახურ ტაიჭიდან.
აღარ დაცხრა, აღარც გაზარმაცდა,
დაგვავიწყა სხვა კერპი და კულტი,
მიგვაყენა ცისფერ ფანჯარასთან,
დაგვიმალა იისფერი პულტი.

სოფელი გამახსენდა

მახსოვს ჩიტების ჩაჭიკჭიკება,
მახსოვს ტაჭკების ჩაჩიქჩიქება,
მახსოვს სეფა და შუმი ღვინო და
ჩაის ჭიქების ჩაჭიქჭიქება.

შეხვედრა სვეტაფორთან

უცებ დაგინახე. იდგა კაი პიკი.
წაგეკაიფე და თვალთა კაიფი კი
გულსაც წაეკიდა, ვეღარ შეგეშვი და,
რაც შენ გაიფიქრე,
მეც ის გავიფიქრე,
და ჩვენ შეგევეშინდა.

მწვანე სვეტაფორმა დაგვაშორიშორა,
სიგნალს შეეწირა ფიქრის შარიშური...

ღამე დაღამდა და სიზმარს მეცილება:
შენი - რა ვიცი და, მე - არ მეძინება.

რეპლიკა ნილ არმსტრონგს

გარწმუნებენ: ერწმუნე ზოდიაქოსო,
ვნება უნდა დაცხრო, დაანარკოზო,
ქალი თვალს რომ დაგადგამს, უნდა აკოცო,
მთვარეს ფეხს რომ დაადგამ, უნდა აკოცო!

უძღები

ბატკანი ოთხში ამოიღო რა,
სტომაქი ლეშით ამოიყორა,
შემდგომ ამისა - ვაინაჩრობა
დასტაქარისა - ამაო იყო.

* * *

გაორებული დავდივარ:
არა მაქვს ალტერნატივა.
ხშირად ვკამათობთ მე და მე -
მექალთანე და მედამე.
წლებმაც დამადეს ხარკი და
მესამე მიტევს სარკიდან.
მაბევრებს ფოტო-არქივიც
და მირჩევს ოლიგარქივით:
- შეაცოტავე ეჭვები,
შეეშვი ფანტასტიკასო, -
და, თუკი არ შეეშვები,
ვეღარ აგაწყობს პიკასოც!

ძალიან, ძალიან დიდიხნის წინათ

არ სუფევდა მთვარე და გააძვირეს ფარანი:
აფსუს შედარებანი!
აფსუს მეტაფორანი!

აგზავნიდნენ მესიჯებს მიწის სამფლობელოდან:
ლუნატაკი ელოდა!
ასტრონავტიც ელოდა!

ციმციმებდა დროებით ვარსკვლავების ზონა და
კვლავ წყვიადი სუფევდა...
აფსუს მთვარის სონატა!

პრიმადონა

ახსოვს ტაშიც და სტვენაც,
ჰგავდა პოეტის მერის,
გამოეთხოვა სცენას
და ახლა გულში მღერის.

ქვიტირი

შეახრამუნა ქუთაისმა ჩემი ქვიტირი,
„მერსედესებმა“ გააყრუეს ჩუმი ქვიტირი,
დამენანა და მიტომ ავიჩემე ქვიტირი:
მას შემდეგ მე და ჩემს დაიას გული გვიტირის.

* * *

ზოგს თავი მაა-მებლობით გააქვს,
შენ კი სინდისის პრობლემა გააქვს.

ზოგს ბურთი გააქვს,
ზოგს ლელო გააქვს, -
შენ კვლავ განგების იმედი გააქვს.

მეზობლის „მაზდას“ ხასხასი გააქვს,
შენ კი ჯიბეში გროშები გააქვს.

მავანს თავისი გააქვს და გააქვს,
ხოლო შენ შანსი მანამდე გააქვს, -

ვიდრე ასები და ათასები
ახალ სამოთხეს დააარსებენ.

სააკაძეთა საგა

ენას უკიდებს სააკაძე:
„საკაცეს“ დაარქვა „სა-ა-კაცე“,
საუბრობს სხვადასხვა სა-ა-განზე:
ჩაიზე, ყავაზე, შა-ა-ქარზე,
შოპენზე, შილერზე, შა-ა-გალზე,
ფრანსუა ვიიონის სა-ა-კანზე
და ფრანცუაზა სა-ა-განზე,
ჯულია რობერტსის ზა-ა-გარზე
და ნიჭის გა-გა-გა-სა-ა-ქანზე,
დაცალა სიტყვების სა-ა-განძე
სააკაძეების სა-ა-გაზე.

პაბლო პიკასოს ნახატი

დასაწყისი № 9-12

ვახო დაბრეცილის ამბავი

აკა მორჩილაძე

ლეგენდარული ქემერას პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება

მე და ვახო დაბრეცილი ვიცნობთ ერთმანეთს მაზები რო დაიწყო იმ დროიდან.

მაშინ სად იყო სათამაშოები და ეგეთი რამეები. მაზები იყო ლენინის მოედანზე, პუშკინის ძეგლი როა იქ.

თუ რამეს გამაზვა გინდოდა, იქ მიხვიდოდი და უმაზავდი. ლესელიძის ქუჩელები იყო ებრაელები, მერე ყველა წავიდა ისრაელში, იმათ უმაზავდი.

მე ლენინას უმაზავდი, ლენინა იყო ეგეთი, ლენინს გავდაო.

მე რო უყურებდი, ლენინს ვაბშე არ გავდა, მარა ეტყობა ბავშობაში გავდა.

ჩვენთან ხო როგორ არი, რო ბავშვობაში რო გავხარ ლენინს, შეგრჩება. აბა მერე ვინღა დაგარქმევს მაგის სახელს. პატარა რო იყავი, სკოლაში ეგეთი ზნაჩოკი ხო იყო, ბავშვი ლენინი რო ეხატა და ალბათ იმას გავდა თმებით. ხუჭუჭა თმები რო ქონდა იმას ეძახოდენ ლენინას ხოლმე, ან პუშკინას.

უფრო პუშკინას ეძახოდენ, ლენინა ალბათ უფრო უშნო რო ყოფილიყავი. მე მაგრა ბევრ პუშკინას ვიცნობდი, ლენინას კიდე იმ ერთს.

ხო რა, მაზვები რო დაიწყო იქ, მაშინ გავიცანი ვახო დაბრეცილი.

მაშინ დაბრეცილი არ იყო, პროსტომ ვახო იყო და გავიცანი პროსტომ, მაზების ამბავში გავიცანი, არც ახლობლობა და არც რამე, პროსტომ რო იცნოფ და რო უყურეფ, რო ისეთი ვიღაცა არი, რო სიმპატია გექნება. ნორმალურიაო, რო ფიქროფ, ხოიცი რო უყურეფ..

მაშინ აბა ეს დრო კი არ იყო, როგორც ეხლა არი. მაშინ კომუნისტები იყო და მე კიდე მაზვა რო დავიწყე, ჯარიდან ვიყავი ჩამოსული. ჯარი მოვლილი მქონდა და მეთქი აბა რა ვქნა.

რა უნა მექნა, ფუტბოლი ვიცოდი და თამაშიაც ოპიტი მქონდა, მაზები უცხო იყო, ახალი შემოტანილი იმ ებრაელების. ვაბშე ახალი და ნელნელა შევხედე და ეგრე გავხდი მაზავიკი. თანდათან გავხდი, იქ ბევრი მაზავდა და ყველა კი არ გახდა მაზავიკი.

დაბრეცილიც ეგრე გახდა.

იმ პუშკინის ძეგლიდან, იქედან ვისაც ვცნობ იმ დროიდან რო მაზავს, არი ერთი შვიდი-რვა კაცი და იმათში იყო დაბრეცილიც.

მარა მე დაბრეცილი არ დამინახია ერთი წელიწადი.

აი, როგორც არი ხოლმე, რო კაცი, რო მოდის და მერე აღარ მოდის. იქ კიდე ეგრეა, რო ვინც მაშინ დადიოდა სასტავი მაზებზე, თუ ძმაკაცები ერთათ არ მოდიოდენ, ისე ერთმანეთის ამბების დიდი ცოდნა არ იყო. იმიტო რო ახლობლობა ჯერ არ იყო. პროსტომ იცოდი ვინ არი და იცოდი. ეხლა არ გამოჩდა, არ გამოჩდა კაცი, მე რა ვიცი. ეგება გასროკეს ან წავიდა რუსეთში ან სადმე წავიდა, ან აღარ უსწორდება და აღარ მაზავს.

იქ მაშინ ერთმანეთში მაზვები არ იყო ხელზე, მარტო ეგრე რო ვთქვათ ებრაელები იყო ბუკმეიკერები და ისინი ამბობდენ თავიანთ მაზს და შენ მერე ევაჭრებოდი. მაშინ არ იყო რო ჩვენ ერთმანეთს უმაზავდით და ჩვენი მაზების მოფიქრება.

პროსტომ იმათ ან ჩაურტყამდი, ან — არა, ეგ იყო მთელი მაზები. მაზებით ცხოვრება ჯერ არ იყო, იმიტო რო ახალი დაწყებული იყო. ხოდა ეს ვახო რო აღარ მოდიოდა, იქ სულ ეგრე იყო, ბევრი ხალხი მოდიოდა და პასტაიანი კიდე ცოტა იყო იმათში. ფრაერული პონტი იყო. არიფულ პონტში გემოს გაუსინჯავდენ და მერე იკარგებოდენ. ეგრე არ იყო რო ყოველ დილაზე მოხვედი და მაზები გაქ მოფიქრებული.

ხოდა რა იცი, კაცი აღარ მოდის და არც ახლობელი არ არი, არც ახლობელის ახლობელი არ არი, რო აბა მოიკითხო, რატო არ მოდის და რამე ხო არ უჭირს. არ მოდის და ვსიო. ეგრე რამდენი არ მოდის. ნახულობდი და აღარა ჩანს, თავის საქმეებშია, მაგის ინტერესი ხო არ გექნება რო ვიღაცა ვახო აღარ მოდის და ლენინას ხელს აღარ ჩაურტყამს?

ეგ ბირჟა მანდ კაი ხანი იყო, ოღონდ როგორც თავიდან ისე მაგრა ვერა. მაზი ხო იცი როგორ არი, ყველაფრის მაზი შეილება. მე მარტო ფეხბურთის მაზი მჯერა, იმიტო რო ფეხბურთი ვიცი. იქ კიდე როგორ იყო იცი, ყველაფრის მაზი იყო, ვიღაცა ტიპები მოდიოდენ და აბა რამდენი ჩიტია იმ ტოტზე, ლუნი თუ კენტი, ეხლავე დათვლაში და რაღაცა ეგეთები. იქ როჟა იყო ერთი, პოლიტიკებს მაზავდა. ეგეთი მაზი ქონდა, ბუშდუკაკისი. ბუშდუკაკისს გაგიმაზავო, ერთი სამი თვე ამ მაზით დადიოდა. ამ ბუშის მამა რა, და ის მეორე ვიღაცა იყო. მე რა ვიცოდი ბუშდუკაკისი, მეთქი, მოდი ფუტბოლები. არაო, პოლიტიკებიო.

ხოდა ეგრეა რო ეგ ერთი წელი გავიდა ეგრე. ჩავედი იმ სკვერში და ცოტა ხანიც არ არი გასული და მოდის ვხედავ ეს ვახო. მაშინ არც ახლობლები ვართ და არც რამე ეგეთი და გაიჩითა უცბათ და მეთქი, ვა, ვახო, სადა ხარ დაკარგული და ყოველთვის კაი სალამი გვქონდა, ეხლა კიდე რაღაცა ზადერშკას აძლევს, მიყურებს და ეს ხელი ესე მაქ გამოშვერილი და ისეთ პონტში ჩამორთმევას აგვიანებს. თან რაღაცა სხვანაირი როჟაააა. ვახო კი არი, მარა თან ვახო არ არი, სხვანაირი ვიკროიკა აქ და ხო ატყოფ კაცს რო სხვანაირათ მოძრაობს და ეს ხელი ბოლობოლო კი ჩამომართვა, მარა უყურეფ რო გაგებაში არ არი ვინ ვარ. ხოდა ერთი ახლობელი ახლავს მაგისი, მე არ ვიცი ვინ არი და იმან დრასტი ქემერო, ჩემი ახლობლის ახლობელი გამოდგა და მეთქი, ხო მშვიდობაა ძმაო, არ ჩანდა ეს კაცი და რო მოვიდა, რაღაცა სხვანაირ პონტით მოვიდა, ის არი და თან სხვა არი მე როგორც მახსოვს. მე დამახსოვრება მაქ მაგარი, დვიჟენიებს და გამოხედვებს და ეგეთ რამეეებს მაგრა ვიმახსოვრეფ. და ამ ახლობელმა მითხრა, ავათ იყოო, და ეხლა უკვე ნიჩივოო.

მერე რო დავახლოვდით და ვაბშე ერთათ ვიყავით სულ, მაშინ დავარქვი დაბრეცილი და მერე დაერქვა დაბრეცილი. ეხლა აღარ ახსოვთ, ვინ დაარქვა დაბრეცილიო, მე კიდე არ ვამბოფ რო მე დავარქვი. კი არ ეძახიან პირში, პროსტომ ეძახიან.

კაროჩე, მერე დაიწყო სიარული და მერე რო გაიხსნა ტოტალიზატორები, იქაც ერთათ გავიჩითეთ. მე და დაბრეცილს ერთმანეთში არ გაგვიმაზია მთელი ამდენი წელი და დაჟე მე მაგისთვის ჩემი მაზები მითქვია მოფიქრებულები და მაგას კიდე ჩემთვის იმდენჯერ რო ამ საქმეში, ამდენი ხანი რო გაუფუფლოებელი მოდიხარ და მოდიხარ, ეგ პატარა ამბავი არ არი. სატრაბახო და რაღაცისთვის კი არ ვიძახი, თან ოჯახს ვინახავ და თან მოდი, აბა, ვინმემ თქვას, თქვას კი არა და ისიც არ გინდა, აბა ვინმემ პროსტომ იფიქროს. არ აქ საფიქრალი და სათქმელი ჩემნაირზე და დაბრეცილი ვახოს ნაირზე.

დაბრეცილი ვახოს ნაირი კიდე მეორე არ არი. ეგეთი მეორე არ ვიცი ვის დამართნია. კაცი სხვანაირი იყო და სხვანაირი გახდა. რო დავლევთ, მე ვეუნები, შე დაბრეცილო, ღმერთმა ნახე რა გაგიკეთათქო.

ვიცი რაც გამიკეთაო, მარა ღმერთის გაგებაში არ არი, თამაშის პონტში ხედავს მარტო, რო ფარტი თუ მოდის, მაგისთვის ზნაჩიტ ღმერთია, იმას იქით არ იცის ღმერთი როგორ არი. ჩემმა მიხეილამ მეტი იცის მაგ ამბავში.

ეგ დრო იყო როგორი იცი, როცა მაგას დაემართა, აი უკვე რო ირევა რა, უკვე მე ჯარიდან ჩამოვედი და მაგ ჯარის ამბავს ცალკე მოვყვები. ეგ ეგეთი პონტია, რო მამაჩემი ახალი გამოსული რო იყო, დავაი წადი ჯარშიო, იფიქრა რო ქურდობისკენ აღარ გავატარებო. არ მიცნობდა. არ მივდიოდი. მაშინ ეგრე ნერვოზებიანი კი არ ვიყავი, პროსტომც ჯიუტი ვიყავი და ფუტბოლის თამაში მინდოდა და მუხლებში გამჭედა, ფიზიკამ გამჭედა, თორე რა გუნდი გვყავდა იცი, ოთხ ასაკში ვარ ქალაქის ჩემპიონი და კოჟანი მიაჩზე კიევის ოთხი გუნდი გვყავდა დაყუდებული ადლერში. პროსტომ ეგ სხვა ამბავია, სხვა ლინიაა რა.

ხო და დაბრეცილზე ვამბობ, რო კაროჩე ეგ დრო არი თათრებიდან რაღაცნაირი წამალი რო მოქონდათ, რაღაცნარი შავი იყო. მაშინ ეგრე არ იყო თბილისში რო გაჩხერაზე კვდებოდა ვინმე. ეხლა რო ამბობენ სულ გულის შეტევა, გულის შეტევა და საწყლები გაჩხერვაზე რო კვდებიან, მაშინ ეგრე სად იყო. რო იტყოდენ გაიპარაო, ვსიო, მთელი თვე სალაპარაკო იყო. ან სად იყო მაგდენი გაპარვები.

ხოდა, რაღაცნაირი შავი შემოქონდათ. შავი ხო ქვია და წითელი იყო. კაროჩე წითელი წამალი იყო რაღაცნაირი და კირავაბადიდან მოქნდათ. მე რო არ დავრბოდი მაგეებზე, არ ვიცი, ეს თითონ დაბრეცილისგან ვიცი და იმან თავისი ძმაკაცების მოყოლით, იმიტო რო თითონაც არ დარბოდა და ვაბშე არ ახსოვს ეგ შავი, ტოისწ, წითელი.

კაროჩეო, ეგრე ამბობდენ, ნახევარი თბილისი დაყარა მაგ წითელმა წამალმაო. მე რავი, მე ჯარიდან ჩამოვედი.

ხოდა დაბრეცილი კიდე ავიდა ახლობელთან და იქ კიდე ეს წითელი წამალი აქთ. დაბრეცილს ქონდა სულ ორჯერ-სამჯერ განაკეთები. ვაფშე, არ არი მაგას რო გაეკიდოს. ეხლაც არა, მაშინ რაღა იქნებოდა. ცოლი ახალი მოყვანილი, დადის მაზვას სწავლობს და ვაბშე მაგას უყვარდა ყოველთვის რესტორანი. ადრეც ეგ მიყვარდა თურმეო, ეგრე ამბობს.

ეხლა კიდე უნდა ვთქვა, რო დაბრეცილის პაპა იყო კაი ნარდის იგროკი, სოფლურ პონტში კი არა, იმენნა იგროკი იყო. კი არ სვამდა ზარს, მოყავდა. მე ეგ ნარდი და კაზინოს ნერვები არ მაქ და არც ვიცი, მარა, მიყურებია ბებურას ნარდის თამაშზე, დავიდაუბსე რო ორმოცდაექვსამდე აიყვანა ერთ პარტიაში და დაბრეცილი კიდე მაგაზე მაგარია. ნიჭი აქს, მაგათი გვარის საქმეა ეგ ნარდი, მარა თითონ არ ესმის ეგეთი რამეები, მკიდიაო, ქემერო, პროსტომ ვერთობიო, ნარდზე დიდ ფულს არ თამაშობს ხოლმე, პროსტომ უყვარს. იმიტომაც ვეუნები, გვარში გაქთქო.

მე მიყურებია მაგან ბებურას რა უქნა, სნიკერსებზე რო ეთამაშებოდა, მეც ახლობლებთან მიყვარს სნიკერსებზე თამაში, მიხოია მიხელიასაც სულ სნიკერსებზე ვეთამაშები. მოყავდა დაბრეცილს და ბებურა კიდე უჩერებდა, ქესტუმ, ქესტუმო, რამდენ ქესტუმს ეტყვი. კაროჩე იმდენი სნიკერსი მოუგო, ბებურა იძახის წამო, პარაშიო, მე გიყურებ, შენ ითამაშეო, ფული ჩემიო.

არ უყვარს.

ხოდა, ავიდა ახლობელთან და იქ კიდე ეს წითელი წამალი აქთ და ხო იცი როგორც არი მარა, დაბრეცილი ყველას უყვარს და მაიტაო, გაგიკეთებთო,

პატივი ცეს რა. უყვარდა იმ ახლობელს და გაუკეთეს.

თითონ ვერ მოგიყვება, მაგის ახლობლებისგან მოყოლილი ვიცი. გაუკეთეს. დაჯდა, იჯდა, იჯდა, იჯდა და წავედი სახშიო.

ვახო დაბრეცილს რუსი ცოლი ყავს. მე კი ვეუნები, რა ენაზე ელეპარაკებითქო. ეხლა ნატუკა რო რუსი იყოს, რასაც ვეუნები იმის ნახევარს ვერ ვეტყოდი თუ ქართული არ ისწავლა.

მარა მაგარი გოგოა, ეგ არი დაბრეცილის პატრონი. ვახო შენ დგეს უნდა ცაიგო ტავანი, რო იტყვის. ბლოკნოტი აქ წითელყდიანი, იქ უწერია ვახოს მაზები.

ხო რა, წავედიო და ადგა და წამოვიდა. გამოვიდა ქუჩაში და მერე არავინ არ იცის რა მოხდა. კაროჩე, ეგ არი რო წაიქცა.

თან კომუნისტების დროა. კაიფში ხარ, სამწლიანი ზედ გაქ და მეტი კიდე რამდენიც გაუხარდებათ.

წაიქცა და წაიქცა და მორჩა, რა. ნახეს მკვდარია. მოკვდა რა, ვახო დაბრეცილი, გააპარა წითელმა წამალმა.

კაროჩე, ოჯახმა იპოვა ვიღაცის ნაცნობის ნაცნობის ჩერეზ ჩერეზ. თორე საბუთი მაგას არ ქონდა. ეხლა რო წარმოიდგინო, დაბრეცილი რო ჯიბეში პასპორტი უდევს და კაიფში მოდის ქუჩაში.

კაროჩე ვიღაცა სანიტარმა იცნო არამიანცში, მარა არც გული უცემსო და არც ისო და მოვიდენ დედამისი და მამამისი და აქსანა. აქსანა ქვია მაგის ცოლს და ნათესაობა, ვსიო, მკვდარია დაბრეცილიო. მაშინ დაბრეცილს კი არ ეძახიან. კივილები და რამეებია უკვე.

აქსანამ მომიყვა ერთხელ, რო ვსვამდით დაბრეცილთან, როგორ მივხვდიო რო არ არი მკვდარიო. მე მივხვდიო და მერე ერთი ექიმი იყო და იმან მითხრაო, მკვდარი არ არიო, მარა ცოცხალიც ჯერ არ არიო. კაროჩე გამოიყვანეს, მარა აზზე არ არი. დევს რა.

რო შევხედე ცოცხალი იყოო, მაგის გამომეტყველება ხო ვიცოდიო და ისე იყო როგორც დაძინებულიო. ქალი რო დაინახავს, კაცი ხო ვერ დაინახავს ხოლმე. მეც ვგიჟდები, რო მოვალ ხოლმე და ნატუკა თუ ხასიათზეა, ჩამოყვება რას ვფიქრობ და როგორ ხასიათზე ვარ. იმ ექიმს უთქვია რეამინაციაშიო, სხვა შანსი არ არიო.

გამოიყვანა, მაგრათ უპატრონა აქსანამ, რაც ოქროები მქონდა ამათი ნაჩუქარი, რო გავყევიო, ყველაფერი მივიტანე პარტიზანების ქუჩაზეო, ერთი კაცი იყო ზალოგში იტოვებდა ყველაფერსო.

ჭკვიანი ქალი რა, ვიფიქრეო, ვახო აზზე მოვაო, მაზებს მოიგებსო და ამ ოქროებს უკან მოვიტანთო, ამიტო აღარ გავყიდეო.

კაროჩე აიყვანეს რეამინაციაში, თუ რეანიმაციაში, ვეღარ მივხვდი რომელია სწორი, ნატუკა რეანიმაციას ამბობს, ბევრი ხალხი რეამინაციას. აიყვანეს და მიაერთეს შნურები და ამ ექიმმა, კაროჩეო დილაზე ისევ თქვა გონზეაო, პროტომ ვაბშე როდის გამოვა ვნახოთო.

ახალი წელი მოვიდა და კიდე ეგრე იყო მიერთებული და არაფერი.

კაროჩე, სამი თვე და კიდე მეტი, აქსანამ იცის დღეებიც და საათი და წუთი.

და გამოახილა უცბათ თვალები და დედამისი უზის თავთან და შვილო ვახოო. იასნია გაეხარდა, მეტი რა უნდა გაგეხარდეს ცხოვრებაში, შვილო ვახოო, ეუნება და დაბრეცილი კიდე უყურებს და არ ამბობს არაფერს და იფიქრეს, ვსიოო, გონზე კი მოვიდა მარა დამუნჯდაო.

გამოვარდა დედამისი და ექიმებს ეძახის, გამოახილა თვალებიო. ამ რეამინაციაში უშვებდენ დედამისს. იმდენი ხანი იყო იქ, თავიდან არ უშვებდენ და მერე უშვებდენ.

მოვიდა ექიმი და ვახო დრასტიო, რამე რუმე, ეს ჩუმათ არი.

მოვიდა ყველა სანათესაო. აქსანაც ხო მოვიდა და მოვიდა, ეს კიდე არი ჩუმათ და იფიქრეს, რო ვსიოო ეგრე უნდა გვეწვეს მთელი ცხოვრებაო. უცბათ ამბობს, ის კაცი სად არიო. ექიმზე ამბობს, იმას ენდო ეტყობა, რო მიხვდა ეგ არი აქ გლავნიო.

მოვიდა ექიმი და ეს რა არიო, ვახო ეუნება, სადა ვარო, სავანტყოფოში ხარო ექიმმა უთხრა. ეს კიდე ეუნება, სხვებიც ხო არიან აქაო, მარტო მე ხო არ ვარო.

იასნია სხვებიც არიანო, ეს ექიმი აზზე მოვიდა, რო დაბრეცილს რამსები არეული აქ. ხოო, ვიციო, ეგ თეთრები რო გაცვია, მივხვდი რო სავანტყოფოში ვარო და რატო ვარ სავანტყოფოშიო. მოუყვეს მოკლეთ და გაგებაში არა ვარო, ამბობს, მინდია ვინ არიო. მინდია ის იყო, ვისთანაც ავიდა, ახლობელი.

და დედამისი ეუნება, ვახოო, მეო შენი დედა ვარო, ეს შენი ცოლი აქსანაო, ესაო ბიძაშენი არიო, ესაო ბიძაშვილებიო.

დაბრეცილმა კიდე, გაგებაში არა ვარ თქვენ ვინა ხართო, თქვენ რო ქალები ხართ ვიციო, და ესენი კაცებიო, მარა ვინ ხართ არ ვიციო. დედა არ იციო? ექიმი ეკითხება, სავანტყოფო თუ იციო, დედა არ იციო?

დედა არიო, რო შენი დედააო.

ექიმს უთქვია, კაიაო.

პროსტომ არ ახსოვხართო.

აქსანას კიდე დაუწყია ტირილი, აღარ უყვარვარ ამასო.

არ ახსოვსო.

რუსის გოგოა რა, პირდაპირ ამბობს.

ეგრე ეწვინათ მერე პალატაში ერთი ათი დღე, და ასწავლიან, მე დედა ვარ, ეს ბიძაა, ეს აქსანაა და წევს ეგრე კნიაზივით, ბებიაჩემი რო ამბობდა კუპეცივით და უცბათ დედამისს ეუნება, თქვენო, რაღაცას მიხურებთ მეო, მე ეს გოგო მომწონსო და ეს იყოს ხოლმე აქო. აქსანაზე ეუნება. აქსანამ მითხრა ერთხელ, რო ვსვამდით დაბრეცილთან სახში, ეგეთი ბედნიერი დღეო მე არ მქონია ცხოვრებაშიო. დაჟე პირველათ რო წამიყვანა სკოლიდანო.

ეხლა აზზე მოდი, კაცმა მახსოვრობა დაკარგა, დანძრეული აქ, ვსიო. ჩემი ნერვოზები იმასთან რა არი და თავის ცოლი ხელმეორედ გაიცნო და ისევე მოეწონა და ისევ ის უნდა. კაროჩე, რა, კაცი არ შეიცვლება რაც არ უნდა რამეები შეურჭო ტვინში და ყველგანაც.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

გიგი სულაკაური

ლაბირინთი

მე მსხვერპლი ვარ საკუთარი
ლოგინისათვის,
მისი მსხვერპლი ვარ დაბადებიდან,
სამუდამო, ვიდრე ბოლომდე...
ჩემი ლოგინი ლაბირინთია,
სადაც შეღწევა ისეთივე ურთულესია,
როგორც იქიდან თავის დაღწევა.
იქ არც მზე არის და არც მთვარეა,
რომ გაანათოს სველი სიცხე
ერთმანეთში ჩახლართული
ლაბირინთის უჰაერო დერეფნებისა,
ჰო, ერთმანეთში გადახლართული,
ნერვებისგან დამსხვრეული თითების
მსგავსად...
დაძინება რა სათქმელია,
ძილს დრო ჭირდება, ჟამი, ეპოქა,
მთელი კვირა, დეკადა და თუ მაინც
დაგდო პატივი და მოგეახლა,
ფერით, სუნით ვცნობ, რომ იქ არ მოვხვდი,
სადაც მინდოდა,
სადაც კარგ ბილიკს მიყავს ხოლმე
ადამიანი...
ვცნობ-მეთქი, რადგან არ მეორდება
გასასვლელები, ოთახები, არც — ჩრდილები,
ვეღარავის და ვერაფერს ვეღარ ვპოულობ
და თუ შემთხვევით ვინმე უცნობს
გადავეყარე,
დაზაფრულები,
რახან ორივეს გვეშინია ერთიმეორის,
მაინც დიდხანს, უხმოდ ვსაუბრობთ,
განცვიფრებულნი საკუთარი ტელეპატიით...

* * *

...მოდის, მოცელავს... სხვა არაფერი...

ა. სულაკაური

რაც შემრჩა დღემდე
ისევ აქ არის:
ნაქარი თბილისი და ნაწვიმარი,
სხვა არაფერი...
მზე ისე ჩადის, თითქოს მზის ჩასვლაც
ვალად დამედო,
სხვა არაფერი...
მთვარე — მამაა და ღამესა ვთხოვ,
რომ იქნებ მთვარემ გაისტუმროს ჩემი ვალი,
სხვა არაფერი...
ძველებურად მიდის ღრუბელიც,
მიჰყვება ჩრდილიც ბუნდოვანი,
სხვა არაფერი...
ცაც უფროა და წყალნარევი,
სხვა არაფერი...
ბიჭების მერე აქ დარჩა სევდა, —
ტვინის არხების მხურვალე ელვა,
ლოგინის შიშის ვერგადალახვა,
სხვა არაფერი...
ეს მიწაც სამი მაიმუნია —
არც შეისმენს, არცა ხედავს,
არც ლაპარაკობს,
სხვა არაფერი...
თვალები ჩემი იარაღია... ოდესღაც იყო...
ახლა უკვე გონებით ვხედავ:
მხოლოდ სიტყვა თუ გადარჩება
ანდა სიტყვის ნაფლეთები,
სხვა არაფერი...
და საბოლოოდ
ჩაქრება ცეცხლიც, ცეცხლის დამნთებიც,
სხვა არაფერი...

* * *

ნახვამდის! არა!
მხოლოდ მშვიდობით!
მე გზა მიჭირავს, როგორც ბებუთი,
კარიც ღიაა, სარკმელებიც და
ვარსკვლავებიც ჩვენებურად
არის პურზე ღვინოსავით დაწვეთებული...
წავედი, ვაგდებ ამ ჩემს შექმნილ,
გამოგონილ თუ აწყობილ ჩემივ სამყაროს —
აღარ მჭირდება!
ახლა ნება მაქვს, რომ იქ მივიდე,
სადაც უკეთესს ანდა უარესს
სამყაროს მოვქსოვ ობობასავით და
იქ მარტო ვიმოძრავებ
მდუმარებაში, ბინდში და ნელა...
მარადიულო პანტომიმავ,
გაუგებარო ყველასათვის,
იქ არც ხემსია, არც სამოსელი და
არც მუსიკა ტექსტითა და არანჟირებით და
ვერ გაიგებ, რა ფერისაა
დანერგილი ბინდში ჩრდილები...
სამკაულები სხვა გზებისაა!
დარჩეს იმ გზაზე, რომელიც უკვე
აღარც კი მახსოვს რისთვის გავცვითე...
ხმაც არ მჭირდება, არ გავიღებ,
რომ არ დაგღალოთ და დაგაბეროთ, —
მე ხომ ძველი ეგოისტი ვარ...

* * *

სახსოვრად ბეჟან ტატიშვილს

გამოქცეული კატორღელი,
როგორც წესია:
გულში ბოღმით და აბგაში
სხვისი ვერცხლებით.
ძვირფასი თოფის ლულასავით
გაგრძელდა ღამე
და ვაღვიძებდი შავ ღელეებზე
მიგდებულ და მძინარე ჩრდილებს,
მათში გახლართულ სავსე მთვარეებს;
და გამოვრბოდი აყოლილი
საკუთარი ნაბიჯის და სუნთქვის სიხშირეს...
ყველა ისარი — მთვარისაა!
ჩემი მთვარე მე ყოველთვის დამაბრუნებს
ბებერ პარიზში
და თუ არა, ჯიბეში მიდევს
ჩემი სხვა მთვარეც —
მონეტაში ჩაქსოვილი ბასრი დანა —
ის არ გამწირავს, არ მიღალატებს,
არასოდეს უღალატია...
ვერ ვისწავლე, ჯერ ვერ ვისწავლე
ლმობიერება, მე ჯერ ავი ვარ და
მხოლოდ მაშინ დავმშვიდდები,
როდესაც ვიტყვი:
„უა ვერ!
მე თქვენ ბოლომდე მებრალებით!"
აი, ჩემი შურისძიება...

ჩანახატი

სამი საღამო

ცხოვრობდა ჩემს ქალაქში დიდი ბიჭი, ნაღდი მოყვასი და ძმა, ნათელი, გენიალური კაცი, „ჯიგრის ყაურმის წვენი“, — როგორც თვითონ ხუმრობდა ხოლმე.

მან იცოდა მზის, პოეზიის, ქალის და მეგობრობის და მზეგამჯდარი რქაწითელის ფასი.

ამ დიდ ბიჭს ბიძინა ხერხეულიძე ერქვა და მეც ვამაყობ, — ღმერთმა ინება ცხოვრების გარკვეული ნლები ყოველდღე, გამუდმებით, ერთად რომ გავატარეთ. ერთად — მარტო ფიზიკურ თავგადასავლებს არ ვგულისხმობ, იმიტომ, რომ სულიერი თავგადასავლები ბევრად მეტი გვქონია. არ შემეშინდება, თამამად ვიტყვი: ერთად მოგვიპოვებია, მოგვიყვანია, შუაზე ძმურად გაგვიტეხია...

ყოფილა, ჩვენებურ სუფრაზე, დიდ სუფრაზე, რომელსაც ცალკ-ცალკე ვუსხედით, მოუყვანია ჩემთვის ჩვენთან შედარებით ბევრად ახალგაზრდა კაცი და უთქვამს:

— გიგი, ამ ამ პატარა ბიჭს ძალიან უყვარს პოეზია. მე ვუთხარი ლექსი, კიდევ რაღაც-რაღაცეები, იქნებ ახლა შენც უთხრა...

— აქ? ამ საგიჟეთში? — გამკვირვებია.

— ჰო, რა მოხდა, ერთი ჩვეულებრივი სუფრაა...

მერე მივეჩვიე, რახან თითქმის ყოველ სუფრაზე ხდებოდა ასეთი „მინი-პოეზიის“ გაკვეთილები, ყურადღებას აღარ ვაქცევდი. ბიძინას გასაოცარი ალღო ჰქონდა ასეთი „ბიჭების“ პოვნისა.

ერთხელაც 17-18 წლის ბიჭი მოიყვანა. მეც იმ წამს რატომღაც ბოტა თომაიშვილის ლექსი გამახსენდა და ვუთხარი:

ბოტა ვარ, თომაიშვილი, კაფიას
ვიტყვი ჭირითა,
ლექსებით გაჟღენთილი ვარ, როგორც
ღრუბელი წვიმითა,
მოვაგონდები ქალებსა, საღამოთი
და დილითა.

მეორე დილას ბიძინასთან მივედი. მარტო იყო და მოწყენილი მეჩვენა და მერე გამომიტყდა, ბიჭო, გიგი, არ ვიცოდი ეგ ლექსიო. მე ვერ მივხვდი, რომელ ლექსს გულისხმობდა, სიმართლე რომ ვთქვა და გულზე თათი დავიდო, წუხანდელ ბახუსის ისრებს ისე ვყავდი დაისრული, ლექსი საერთოდ არ გამხსენებია.

— წამო, გამოვიდეთ, ვილაპარაკოთ. — შემომთავაზა ბიძინამ.

„საქართველოში“ შევედით, მაგრამ ხმა არც ერთს არ ამოგვიღია, ჯერ არ ვიყავით გუნებაზე მოსული. უხმოდ დავლიეთ 2-3 ჭიქა და ლუკმა გავტეხეთ.

ბიძინა რესტორნის ოვალური ფანჯრიდან გასცქეროდა ქუჩას და უცებ თქვა: ბიძო ვარ, ხერხეულიძე... მე კი მივხვდი, როგორ გაიგო, როგორ ჩაიღვარა ბიძინამ ჯიგარში ეს ლექსი, აქ ქალებზე არ არის მთავარი აქცენტი, აქ ბოტას სევდაზე, კაეშანზე და ტკივილებზე, ბოტას ცხოვრებაზეა სიტყვა ნათქვამი, უბრალოდ არ ჩანს, მიღმაა, დაფარულია და თუ „ბიჭი ხარ“ უნდა იპოვო და შეინახო, — ერთი ტკივილით მეტი არ მოგკლავს, შეიძლება, მოგიხდეს კიდეც, გაგალამაზოს. მივხვდი იმასაც, — ბიძინა იმ წამს ბოტა თომაიშვილიც იყო, ამ ორი ერთარსების ყველა „ჭირი“ გამონასკვული ჰქონდა და მკერდზე ჯვარივით ეკიდა.

ბიძინამერე ხშირად გაიმეორებსხოლმე: ბიძო ვარ, ხერხეულიძე...

მე ძალიან მიყვარდა, როცა ასე ამბობდა....

დედა მიყვება ძელისძველ ამბავს:

— შენ ძალიან პატარა იყავი, გიგი, უკვე გეძინა. მაშინ ქვიშხეთში ვისვენებდით და არჩილი და ვახუშტიც იქ იყვნენ. ქალებმა სუფრა გავუწყეთ, ცოტა ხანს გავჩერდით და წამოვედით, მარტო დავტოვეთ. დილამდე ლექსებს კითხულობდნენ ხმამაღლა, მთელი ორღობის გასაგონად... თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიანო...

თანაც ისე გადმომცა დედამ ეს ამბავი, რომ მომეჩვენა, თითქოს ნიშნს მიგებდა, აი, როგორები იყვნენ თქვენი წინამორბედებიო. ანდა მე მომეჩვენა ასე, თუმცა ახლა ამას აღარა აქვს მნიშვნელობა. მთავარია, რომ ამბავი ძალიან ღრმად ჩამრჩა მეხსიერებაში და დიდი ხნის მერე, კოტეტიშვილებთან ვახშმობისას შევახსენე ის ღამე ძია ვახუშტის. ორნი ვიყავით, „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციასთან შევხვდით და შინ მიმიპატიჟა.

(ვახუშტის ყოველთვის ძიას ვეძახდი. მითხრა კიდეც, ძალიან მსიამოვნებს ასე რომ მომმართავო. არსებობენ ადამიანები (ახლა მე თვითონ პაპა ვარ, მაგრამ მაინც), ვისაც ძიას გარეშე ვერ მივმართავ, ბავშვობიდან ისე მაქვს გამჯდარი ძვალრბილ-გონებაში, სხვანაირად არ შემიძლია. ჰო, თუმცა სხვაგან წავედი...)

— არა, ბიჭო, რა შეჯიბრი, რის ოლიმპიადა, ეგ არც გვიფიქრია, — მითხრა ვახუშტიმ. — მარტო არჩილი და მე ვიყავით იმ ღამით ქვიშხეთში, სხვა კაცები არ ჩამოსულან და ძალიანაც კარგი, რომ არ ჩამოსულან. — გაიცინა. — არ გვჭირდებოდა არავინ. „ფინურებთან“ ფანჩატურში ვისხედით. ქალებმა სუფრა გაშალეს — ყველი, ქვიშხური თონის პური, სალათა... მეტი არც არაფერი გვინდოდა. ანეტა ხომ გახსოვს? ანეტამაც ძველებური, სიშავამდე მწვანე ბოთლით ჭანჭურის არაყი ჩამოგვიდგა... ღმერთო, როგორ მიყვარს ეგ ბოთლები, ვიწრო ყელი აქვს და ფსკერიც მუცელში ისე შეზნექია, თითქოს ამბობს, აქ უფრო ვჭირდები ჩემ პატრონსაო... ძველისძველი ბოთლია.. .ჰოდა, დაიწყო, ისე, უბრალოდ, თავისთავად და აღარც გავათავეთ, ვიდრე თავზე არ დაგვათენდა... კარგი იყო, მაგარი იყო, მიყვარდა არჩილი... ლექსებს მაგრა კითხულობდა, ბითურობასაც ისე წაიკითხავდა, გენიალური გეგონებოდა, ლექსს პატივს სცემდა... თუმცა, — ისევ გაიცინა, — ეგეთებს არა კითხულობდა...

გაგრის ერთ-ერთ დუქანში, ტერასაზე ვისხედით ბიძინა და მე. სექტემბრის თაფლივით ტკბილი ღამე იდგა. სექტემბერში მარტო აფხაზეთში თუ მინახავს ეგეთი ღამეები. მაგიდები დაკავებული იყო, წყვილები, ორი წყვილი... რა ვიცი, ჩამოსულები, სტუმრები, ტურისტები... მოპირდაპირე დუქანში სერიოზული, მრავალკაციანი სუფრა ყვაოდა, კარგად ქეიფობდნენ, თავისთვის, არავის აწუხებდნენ.

(ჩვენ შამპანურს ვსვამდით, — საბჭოთა შუშხუნა ღვინოს და გვშიოდა, მაგრამ პირში ლუკმას ვერ ვიდებდით. ამ დუქანში წესად ჰქონდათ, უცნობი სტუმრები აუცილებლად ანტილოპა გნუს ბარძაყის მწვადით დაეპურებინათ ანდა სულაც ჰიპოპოტამის შემწვარ ტყავს მოგართმევდნენ, გასაკვირი არაფერია, წესი ხომ წესია, ძმაო. ოთხი ნაჭერი ტყავი „ვერცხლის“ პატარა შამფურზე იყო აგებული და ფიზიკის ძველი კანონის თანახმად ტომატის ზღვის ზედაპირზე ტივტივებდა. ერთი პლუსი ჰქონდა, — უხვად მოყრილი ოხრახუში და ხახვი, რომელიც ჩრდილოელ ხალხს ანდამატივით იზიდავდა, ხიბლავდა და საბოლოოდ ნიკელის ლანგრის ფსკერის სარკეში ჩახედვის უფლებასაც უტოვებდა.)

— ბიჭო, შოკოლადი მაინც მოვატანინოთ. — მითხრა ბიძინამ და მე და ვიტალამაც სწორედ ამ დროს დავინახეთ ერთმანეთი. ვიტალაც პირდაპირ მოვიდა, ყოველგვარი რევერანსების გარეშე, ბიძინას გაეცნო და ღვინო დაგვილია.

— ვინ შეუკვეთა, ძმაო, ეს? — მკითხა გაგრული რუსულით, — ჩემთან არ უნდა შემოსულიყავი?! ასე როგორ შეიძლება, იქით უნდა გეხვეწო, ძმაო?! კარგი, 10-15 წუთში ყველაფერი იქნება...

მაშინ გაგრაში ყველას ვიცნობდი, ქუჩის ბიჭებსაც, მეარღნეებსაც და პოეტებსაც და მათ შორის ვიტალასაც, — ამ დუქნის შეფს, კაპიტანსა და მებარჯეს. გაგრა ჩემი მეორე სახლი იყო, მწვადი კი ბიძინას ხუშტური გახლდათ, ვერაფრით გადავათქმევინე...

ვიტალაც დატრიალდა და მალე ჩვენს სუფრაზე ასეთი ნატურმორტი გაჩნდა: მოზრდილი ჯამით დარჩეული, ნედლი ნიგოზი, ახლადმოხარშული, აბოლებული ჭყინტი ტაროები, ოთხი დიდი ნაჭერი შემწვარი კვახი და ლეღვი და ყველაზე მთავარი, — ორი უზარმაზარი, აჯიკაწასმული სულგუნის ბუტერბროდი.

— ნადღეიც წასმული აქვს, შენ რომ გიყვარს, ისე, ძმაო, აბა, იგულავეთ! — ამ სიტყვებით დაგვემშვიდობა ვიტალა.

— არყის სუფრაა! — გამოაცხადა ბიძინამ.

— არაყი დავლიოთ, რა, ჩვენი ნება არ არის, ბიძინ?!.

ჰოდა, დაიწყო, უცებ, თავისთავად, თავისი ნებით და ბიძინას ხოშზე და აღარც გავჩერებულვართ, ვიდრე თავზე არ დაგვათენდა. მაგრამ ის ღამე ბიძინასი იყო, ალბათ ერთადერთი, როცა ასე მომხიბლა და მომაჯადოვა. ძალიან ხშირად გავუოცებივარ, მაგრამ ის ღამე სულ სხვანაირი, მაგიური და მომნუსხველი აღმოჩნდა:

დასასრული მე-10 გვერდზე

* * *
სიკვდილ-სიცოცხლე-სიყვარულ
სამივ ერთფერად ძნელია
სამივეს ხმალი ნაკურთხი
უცვეთელი და მჭრელია
სამივეს გამოხედვაში
ღმერთის სითბო და ფერია
სამივე მარადიულად
ახალია და ძველია
ვერ წარმოიდგენ ცალ-ცალკე
ერთ სადიდებელს მღერიან.

სამივეს შევეწირები
სამივეს ჯვარი სწერია.

* * *
უსასრულობის
საუნჯე დიდი -
მზის მზეობა და
მიწის მიწობა.

ღმერთის სავანედ
გახსნილი კვირტი
ყველგან - აქეთ თუ
იქით გზისობას.

გულის სიღრმეში
ნათება ბინდის,
ამაღლებული
ფიქრის ფხიზლობა.

ჰორიზონტამდე
იგრძნობა ტვირთი
და მერე მხოლოდ
სივრცე იგრძნობა.

* * *
ცის ამაღლება ხმების ქოროთი
და დაკარგული ქარში ალმასი.
„ალბათ“-ის ჩრდილში ეჭვი „ოღონდ“-ის,
„ვაითუ“-ს სუსხში სითბო „განა“-სი.

ეგ არაფერი (ადრეც გინახავს),
ხმა უცნაური ისევ მოგესმის.
გაიელვა და გაქრა „კინაღამ“,
წყალმა წაიღო ქვიშა „ხოლმე“-სი.

ციცაბო. კორდი. ფონი. მორევი.
დღე გაბზარული. გული შემკრთალი.
მოუსვენარი მზერა „თორემ“-ის,
შეფარებული „ნუთუ“ „ნეტავი“- ს.

* * *
მარადიული გზა და ფრთები და
ტკივილის მზერა გალავნებიდან.

შამბი - მიმდგარი ნაეკლესიარს,
ზეცის სიჩუმე და მზე - მესია.

ჩრდილში სინათლის დაბადებისას
მშვენიერება წავარნებისა...
მარადიული ხმა და ზღვები და
სითბო - მოსული აკლდამებიდან.

* * *
სიყვარულს ნაზიარებსა
ცა და ხმელეთი სწყალობსო
უთქმელი სიტყვა ოქროა
ნათქვამი სიტყვა ლაღობსო
თავდავიწყების ყვავილი
(ელვარება და არილი)
უდაბნოშიაც ხარობსო
მტრის პეშვზე დაეწაფები
უკვდავებისა წყაროსო
აღარც სიცოცხლე გაგირბის
აღარც სიკვდილი ჩქარობსო
გზებს შუქი მიეფინება
დრო ისე მიედინება
თითქოს უფალი გალობსო.

* * *
გული მიძღვნია შენთვისა
(უკეთესს რაღას ელიო) -
მეტი ზვარაკი არა მყავს,
არც - მეტი მგალობელიო,
მაგან თუ არ დაამშვენა
შენი ფუძე და ჭერიო, -
ვერ აგიძღვება სივრცეში
ფიქრი - სამოთხის ფერიო.



ვაჟა ხორნაული

კოშკი და ღრუბელი

ამქვეყნად ვის არ ჰყოლია
დასაფიცარი იაო -
იმისთვის დაბადებულსა
იმისთვის ამაღლებულსა
ცის კარი გაუღიაო
ვარსკვლავთა შორის სამოთხის
ალმასი უპოვიაო
წავარნას დაჰკიდებია
და სხივზე გაუვლიაო.

ვინ არ ყოფილა მწყურვალი
(მითხარი დაო ნიავო)
დღე გაბზარული ჰქონია
ღამე არ უძინიაო
ბედნიერების ყანები
(დღესასწაული დარების)
სევდიანს მოუმკიაო
სალამურებიც უთლია
ლამაზ ფიქრს აჰყოლიაო
მზიური მელოდიებით
ცამყარი გაუთბიაო.

ამინდი წუთისოფლისა
ღმერთსაც ვერ შეუცვლიაო
უწინაც ასე გვეწერა
ახლაც ეს გვიწერიაო -
ხან აუვლია სიხარულს
ხან კიდევ ჩაუვლიაო
საიდან გამობრწყინდება
საიდან გამოფრინდება
ვერავის გაუგიაო...

ეჭვს ვინ არ დაუკბენია
ქარს ვინ არ დაუღლიაო
სავედრებელი სანთელი
მტერსაც კი აუნთიაო
ცხადისგან გამეტებულსა
(პაპის გზადაბედებულსა)
სიზმარში უტირიაო
ნარ-ეკალს ბედისწერისას
ვინ აღარ გადაჰყრიაო
ცვარ-ნამი მონატრებისა
გულზე ვის შეშრობიაო.

* * *
პაპისეული ხმალი და
პაპისეული ხელადა
ათას წელსაც რომ იცოცხლო
დაგავიწყდება ძნელადა -
ერთი სტუმრისთვის ბრწყინავდა
მეორე მტრებში ელავდა.

მათი ფერმკრთალი სიჩუმე
ქცეულა გულის ცრემლადა.

* * *
ბილიკი - ციდან
ცამდე გაბმული
მდინარის პირას
ქვები საბურჯე.

მარადიული
შენ ხარ სალბუნი
და მარადიულ
ტკივილს აყუჩებ.

მზერაში ლოცვა
გულში სახატე
ხმები საკალმე
გზები საფუნჯე...

და ლამის გაქვავდე
და ლამის დამუნჯდე.

* * *
ჩრდილ-ნათელის
აიწონა-დაიწონაა
სიყვარული...

წასვლა

მოსროლილ, თავახდილ ჩემოდანთან
დგას, როგორც სამარესთან,
და უთრთის თითები...

* * *
დამოკლდა ხმალი,
დაგრძელდა ყანწი
და უბედურება დაიწყო.

* * *
ესაა მისი ავლადიდება:
სახლში კალამი, გარეთ სანთელი.

* * *
ნიავი - ჰაერის მელოდია,
სინათლის დობილი.

* * *
მარტო დადიხარო (ნაცნობი საყვედური),
მისი მეგზური - გულის ფიქრი
არ შეუმჩნევიათ...

* * *
ერთმანეთი მონატრებიათ,
როგორც ქვებს
დანგრეული სახლისას.

* * *
ქალაქის ადგილზე სოფელი
და სოფლის ადგილზე წყარო
ყოფილა ოდესღაც...

* * *
თითქოს თვითონ ამოზრდილა
გუმბათზე ჯვარი,
როგორც სიყვარულის ყვავილი.

* * *
მზესუმზირას გვირგვინის ფურცლებივით
უხდებიან სიტყვები ერთმანეთს...

* * *
ისეთი სახით გამოდის სახლიდან
და ისეთი სახით ბრუნდება, -
მზის ამოსვლას
და ჩასვლას მოგაგონებს.

კატო ჯავახიშვილი

მოკვეცა

ყველას გვაქვს ფერი ჩვენი თვალის, თმისა თუ კანის.
ყველას გვაქვს სუნი ჩვენი პურის, იფქლის თუ ჭვავის .
მოგვთხოვა მიწამ უკვდავება,
მიწამ მოგვთხოვა უკვდავება,
ფეტვი ფეტვისთვის აურიე,
ბრინჯისთვის ბრინჯი.
დათესე. ზარდე თავთავები
გვერდიგვერდ: მიჯრით.
რამდენი დღეა მკვდრები თავის დედებზე წვანან.
შუბლშეხვეული გზები გულში იყრიან წალამს.
ერთი ნაბიჯით შემაკავე,
ნაბიჯზე მიწა მომაყარე,
სული ზეთისხილს მოგაგონებს,
გუშინ რომ ჭამდი.
ხორბალი დილით ირჩეოდეს,
ხორბალი დღისით ირჩეოდეს,
ხორბალი ჩემთვის ირჩეოდეს,
ურიე წანდილს.
ყველას გვაქვს გემო ენისწვერზე დარჩენილ კოცნის.
ყველას გვაქვს ერთხელ ხელისგულზე შემწვარი კვერცხი.
სადილში მარილს ჩავამატებ,
სადილს ცრემლებით დავამლაშებ,
თვალი თვალის წილ დამიხუჭე,
რომ გითხრა: მწამდი.
ერთი არშინით წინ თუ უკან საფლავებს ვსაზღვრავთ.
ერთი არშინით შემოვსაზღვრავთ მშიერს და მაძღარს.
მდელოზე ყანა ბიბინებდეს,
ყანაში გოგო მიდიოდეს,
ფეტვი ფეტვისთვის აურიოს,
ბრინჯისთვის ბრინჯი
დათესოს. ზარდოს თავთავები
გვერდიგვერდ-
მიჯრით.

მოსთხოვა მიწამ უკვდავება,
მიწამ მოსთხოვა უკვდავება
და ნაწნავს იჭრის.

მოგვლელი

დახეთქილ ტუჩზე სარეცხივით მომჩვარულ ღიმილს
საკიდით იჭერ და საშინლად გეტყობა დაღლა.
ჭრიალი ჭიშკრის. მორყეული ხის კიბე ძველი.
პატარა სახლი. ნამზითვარი და უკვე ღილებ-
-ამწყდარი კაბის იქით ბავშვი - დამდგარი გაღმა.
წყაროს მახლობლად სავსე კოკა. დახავსულ ძვლებზე
შემდგარი თიხა. ასავლელი ციცაბო ღელეს.
მოხრილი მხრები და ბილიკის თავიდან დათვლა.
დაგროვილ სევდას ჭუჭყიანი თუნგიდან უშვებ.
უცნობი სახლი. მაგნოლია თეთრი. ყვავილი.
მოხუცი ქალი. სათვალიდან უცნობი მზერით
გიყურებს და დრო მისრიალებს, როგორც ბალიშზე
გუდრონის ცრემლი და გზადაგზა წვები ყამირი
მზისკენ გულაღმა. თვალს აპარებ ხან უფრო ზევით.
დგები შენ ისევ, რადგან ქალმა უკვე განიშნა,
რომ დროა ეტლი გააგორო ქალაქისაკენ.
დაყრილ ნარჩენებს დამშეული ლეკვივით კრეფ და
„პამპერსებს“ უცვლი შენს ცხოვრებას. ახსნილი ფარდა
ფრიალებს სახლის და სადღაც კარში დამდგარი ბავშვი
კაბაზე გქაჩავს. ოთახში თეთრი კედლებია.
სუფრა ფერადი.
ალაგდეს უნდა - განიშნებს ქალი. შენ ისევ კარგავ
საშენო ნაბიჯს შორეულ გზისკენ და მერე გაშლილ
მაგიდას აცლი. ტყდება ხის კარი.
და ახლა თეფშზე
დარჩენილ ნამცხვარს
თონეს ჩავარდნილ კუტსაც ვერ ადრი...
შენ გინდა წასვლა.

შუშის ქალაქი

მისმინე!
ამ ღამით ქარაშოტს ელიან - ქალაქის
ვიტრაჟში მომწყვდეულ ქვაფენილს დაბზარავს სიბერე.
დაეტყოთამ ქუჩებს. იქით და აქეთაც დავმარცხდით
და ამ დამარცხებას რატომღაც მორჩილად ვიფერებთ.
ან იქნებ სულიდან ღილ-ღილ ავიწყვიტეთ ვნებები -
ბარბაცით ყინულზე,
ბარბაცით ყინულზე,
ვჩერდებით.
იქ, სადაც გიტარას აკვდება დაწყვეტილ სიმებზე
ზამთარი- სითეთრის ბოლო პასაჟი და უნიჭო
ლექსივით უნიჭო ფინალებს მივენდეთ,
შემთხვევით კავშირში შემთხვევით ტკივილებს
ვგულისხმობთ.
შუშის ნამტვრევები თვალებში ამ ზეცას აბაცებს -
ბარბაცით ყინულზე,
ბარბაცით ყინულზე,
ვბარბაცებთ.
ამ შუშის ქალაქში შენ რაღა გინდოდა, ნამსხვრევებს
რამდენი ხანია, უკვე ვეღარ ვამჩნევთ თვალებში.
- გაჭერი ღიმილი,
- ეს ყალბი ღიმილი გასერე,
ტუჩების ტანდემი ლოცვად მიიყვანე ღმერთამდე.
ზეცას დაუკარგავს თავისი ნიშნობის ბეჭედი-
ბარბაცით ყინულზე,
ბარბაცით ყინულზე,
შეჩერდი...
შეჩერდი!
ამ ღამით, ქარაშოტს ელიან - ქალაქის
ვიტრაჟში მომწყვდეულ ქვაფენილს დაბზარავს სიბერე.
გადავცდეთ სიჩუმეს, მოვისხათ აპრილის ხალათი
და მერე, ნამდვილი ცრემლებით ტირილი მიჩვენე...

დრო-პარადიგმა

ჭიშკართან, სადაც მერამდენედ მოდის სეზონი,
შენ ვეღარ ითვლი და შენ ხვდები,
რომ რაღაც მოხდა -
უკვე მეორედ...
უკვე მეორედ დააკელი ლექსებს საზომად
ერთი მარცვალი და ეს ნანგრევიც
ნასახლარზე გაიმეორე...
სამსჯავროს უწყობ საკუთარ „მეს“ –
მერე ხელების
ფშვნეტით ალაგებ თაროებზე
შენივ შეცდომებს -
ისევ თავიდან...
ისევ თავიდან დაექმევათ წიგნებს სახელი,
ჩვენ არასოდეს არ ვჩერდებით -
თუმცა ჩაკეტილ
წრეზე დავდივართ.
ჭიშკართან, სადაც დამცინავად გესაუბრება
დრო-პარადიგმა
და შენ იცი, მიზეზი არის...
ვერ ითვლი, უკვე მერამდენედ გარბის ცხოვრება-
შუბლზე, შიშველი რევოლვერის
დამიზნებამდე -
დახარე თავი,
მე მიწაში ტკივილებს ჩავფლავ -
ჭიშკართან, სადაც, მერამდენედ მოდის სეზონი
შენ ვეღარ ითვლი
და შენ ხვდები
ვიღაც დამარხეს,
როგორც საბუთი საკუთარი იგივეობის...

მე

მე არ ვიყავი
ამ საფლავთან მდგარი მარტოხე,
არც სინანული,
წამომსკდარი ამ ნერგებიდან
და მე მჯეროდა,
თუ ამქვეყნად არის სამოთხე -
ამ სამოთხეშიც უპირობოდ იკარგებიან,
რომ შენი წილი ჯოჯოხეთის გადასარჩენად
შვიდჯერ მოკვდე
და
შვიდივეჯერ სცადო აღდგომა.
მე არ მიყვარდი -
ისე, როგორც უბრალოდ მძულდი
და არც მტკენია,
მკვდარ სხეულზე რომ დამაბიჯე.
სტოკატოს გრძნობდი
ჩემი სისხლის
სამოცჯერ წუთში
და მერე წნევას უზომავდი
შვილმკვდარ ამინდებს,
რომ სველ გაზაფხულს
ვადამდელი არჩევნების დღეს
შენ ამპლიტუდის მომატებას
ქრთამად დაჰპირდე.
ვიშიმშილებდი,
რომ შემეძლოს ნიშნად პროტესტის,
თუმცა სამალავდაკარგული კუჭი მაწუხებს.
ხატავს საღამო ჩემს თეთრ პროფილს
რაღაც გროტესკულ
ჩანახატივით
და
რატომღაც დარჩენილ წუთებს
მძიმე ლანგარზე მიაგორებს გარეთ ბადრაგი.
სადღაც ქარია
მოსწყენიათ ღრუბელებს მძევლობა,
მზე არ მაჩვენეს,
მზე კი იყო ალბათ ოდესღაც -
ისეთი ახლო,
რომ გისოსებს შორის ძვრებოდა.
სადა ხარ, ღმერთო...

მტკივან სულზე როცა მაბიჯებ,
ნუთუ, უბრალოდ
ჯოჯოხეთის არ გეშინია?!

უსიტყვოდ

განმბანე, მამაო,
გამხადე სულიდან ცოდვები,
გშორდები დღითითღე, რაც უფრო მოკლეა მანძილი.
საძილე ტომრიდან ახლად წამომჯდარი დღესავით
მზეს სარზე ვაგებ და ზეცამდე ლექსებით გაზრდილი
დაზვარულ მიწაზე, მაინც უნაყოფოდ ვაგდივარ,
სანგარი ახლოა თუმცა კი სულ უფრო შორსა ვარ.
განმბანე, მამაო, შენს კართან მოვედი დაღლილი
და ხელისგულიდან გლახაკებს ვურიგებ მოსავალს.

დღე იძვრის წამიწამ,
გამიცვდა ფერები კაბაზე,
ბაქანზე პალიტრის დაღვრილი გუაში ასხია.
ვასხივე უმზეო ეპოქის დახშული კარიბჭე,
ვამიწე წარსული და მაინც ვერ შევწვდი განთიადს.
გაფინეთ სამყარო ხალიჩად! მინდა რომ წამოვწვე
ნაწვიმარ ქუჩებზე გავშალო შავ-თეთრი კადრები,
ნაცრეცი სიჩუმე იგონებს აკორდებს. საწოლზე,
დროის ევფონიას მიზეზის ძიებით ვაკვდები.

განმბანე, მამაო,
ვინ იცის, რამდენჯერ ღამეში
უშენო სანთელები დავანთე არეულ სიზმრებად.
მჭირდება ხელები ლოცვისთვის, როდესაც გალეშილს
ტკივილით ნამთვრალებს, სულში გვიმრასავით მეზრდება
წაბარბაცებული რწმენა და ვმარტოობ ზეცამდე,
ვუხარე თავი ხან ხატებს ხან კიდევ პილატეს
დუმილის უფლებას ვიტოვებ და მაინც ვეცადე,
რომ ამ ჩემს დუმილში
უსიტყვოდ,
თვალებით მიყვარდე.

ჩაიცვი!

ჩაიცვი!
შეშლილი თვალები მოგიჩანს ჩადრიდან,
რომლებსაც სიყალბე უტარებს ქუჩაში მარათონს.
გაგიცვლი ამინდებს -
შენთან რა ხანია გაწვიმდა
და სველი ასფალტი
კალთების აკეცვას გთავაზობს.
ჩაიცვი!
ხომ გცივა,
ხომ გინდა ცრემლები დამალო,
რამხელა ტბებია
შეხედე, ისედაც შენს ირგვლივ,
შარვლის ტოტებივით ტანზე გიმოკლდება სამყარო,
შენ კი, გარინდული დგახარ
და უბრალოდ არ იძვრი
შენი ადგილიდან,
რომელიც დაგითმო ვიღაცამ,

რომ სიცარიელე აგევსო ყინულის მარცვლებით,
შეხედე, გათელილ ჰორიზონტს ისე შემოაცვდა
მზერა თუ ღრუბლების თეთრი ქარავანი,
გავცდები -
ამ თვალებს,
რომლებიც მოგიჩანს ჩადრიდან,
ყალბია მზერა და
ამინდსაც სცოდნია შეჩვევა.
ჩაიცვი!
ხომ გცივა,
ხომ გინდა ვიღაცამ სანგრიდან -
ჩუმად დაგიძახოს
და გითხრას
გპატიობ არჩევანს...

აკა მორჩილაძე

ლეგენდარული ქემერას პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება

გაგრძელება

კაროჩეო, ამან იაროს სავანტყოფოშიო.

ეს რო ექიმს გაუგია, აქსანასთვის უთქვია, ელაპარაკეო, ყველაფერზეო, რაც ერთათ გქონიათო და ეგება რამე გაახსენდესო. მაშინ ჯერ შვილიც არ ყავდათ.

ველაპარაკებოდიო და არაფერი, ვაფშე არაფერი არ ახსოვს.

მარაო, უცბათ მითხრაო, შენ რო მიდიხარ მაგრა ცუდათ ვარო.

მეტი რა უნდა, ცოლი რა არი გახსოვსო? და ახსოვდა. ხო ვამბოფ, ეგენი ახსოვდა, მარა ვინ ვინ არი, არა.

კაროჩე ექიმმა წაიყვანეთო და სულ ისეთ რამეებზე ელაპარაკეთ და სულ ისეთი რამეები აჩვენეთ, რაც უყვარდაო, ან კარგათ იცოდაო, გახსენების დრო კიდე ვერ უთხრა: შეილება ხვალ გაიხსენოსო და შეილება, ვაბშე ათი წლის მერეო.

სიგარეტი რო ნახა, ეგრევე იცნო და გააქანა, მოუკიდა. მარა ეგ არი და ვსიო,

ჩვენ მაგ გახსენებას დღესაც ველოდებით, რაც იცის დაბრეცილმა, მოყოლებით იცის.

წაიყვანეს სახში, მოვიდენ ძმაკაცები, ადრე რო არ უშვებდა დედამისი, არ მოხვიდეთ სავანტყოფოშიო, არ უნდოდა, რო ვახო დაენახათ რო არ ახსოვდა ალბათ, დედების ამბავი არ იცი? და ვერავის ვერ ცნობს და ეუნებიან, ძმაკაცობა იცი რა არიო?

კიო, რა — იძახის, ვიციო, ძმებიო რა. და ვინ არი შენი ძმაკაცებიო და გაგებაში არ არი.

კაროჩე, ეგრე მიყვა და დაუჯდენ და უყვებიან, მე ესა ვარ, ესენი გვიქნია ერთათო და ეგრე და ეს მინდიაც ეუნება, ბიჭოო, ცისფერი საროჩკა რო მაჩუქეო და ეგეთ რამეებს. ვერ იხსენებს.

მარა იმახსოვრებს და კაროჩე პროტივ არ არი, ისევ ის ხალხი მოწონს, მანამდე რო მოწონდა, როცა ახსოვდა. ეგ გაუსწორდა ყველას. მარა მოკლემოკლეებზე ბაზრობს და აქსანამ მითხრა, ერთი ორი დღე რო შევხედეო და ავიწყდება ყველაფერიო.

კი ახსოვს, მარა ავიწყდება.

უბრალო რამეები, რა დაპუსტიმ, ტუფლები სად დავდევი გუშინწინ და ვაბშე აზზე ვერ მოდის, შეილება მაცივარი გააღოს.

აქსანამ მითხრა, ერთხელ რო ვსვამდით იქ, მეთქიო, ერთი საშველი არიო, რო ქუჩაში ვატაროო, რო ეგება რამე ნაცნობი ადგილები და რამეები ნახოსო.

და დაუწყო, წამო ვახო ვისეირნოთ და რამეები, და დაატარებს. ეს კიდე ერთ კვირაში აზზე მოვიდა, რას დამატარებო, სად არი ეგრე რო სულ ცოლი და ქმარი დადიოდესო, ძმაკაცებმა უნდა იარონ ერთათო, ჩვენებურები გამოურია და აქსანამ იფიქრა ვსიო,უკვე აზზე მოდისო. მარა არაფერი, მერე ბიჭებიც დაატარებდენ. ეუნებიან, ეს მუშტაიდია, ეს პერეხადნიო, ეს ის არი, ეს აეს არი, არ გახსოვს აქ ხინკლები რო ვჭამეთ.

არადა, ისევ ის ვახოა რო უყურებენ, რესტორანი უყვარს. იქ შევა კარგათაა, დალევენ, ეუნება ამათ, ძმაო მიყვარხართ, პროსტო არ ვიცი ვინ ხართ.

და უყვებიან ესენი.

თან კომუნისტების დროა ეგ არ დაგავიწყდეს.

და ერთხელ ველიამინოვზე არიან და ხინკალი ჭამეს და მოდიან და რო ჩამოვიდენ ლენინის მოედანზე, იქ ხო გვერდიგვერდ იყო ტაქსების გაჩერება და ავტობუსის გაჩერება და ტაქსში რიგია რა, მარა ტაქსზე დგანან და ამ დროს ავტობუსი გაჩერდა, და ერთი ვიღაცა მორბის, რო მიუსწროს და უცბათ ესენი დაინახა და ვაო, ვახოო, ძმაოო, როგორ გამეხადა შენი დანახვაო, როგორა ხარო, გავიგე შენი ამბავიო, ეხლა ხო კარგათ ხარო და ეგეთები, და დაბრეცილი უყურებს, უყურებს და სანამ იმან სახელი უთხრა და ბიჭოო, ჩემი რო ასი მანეთი გაქ ვალიო, არ უნდა ჩამოიტანოო?

და ეს ვიღაცა ეუნება, კანეშნაო, ავტობუსმა კიდე გაასწრო.

კანეშნა ვახოო, სახშივე ამოგიტანო და დაბრეცილმაც დავაი დავაიო.

ეხლა ესენი უყურებენ, ბიჭები, პირველი კაცია ვინც იცნო.

და დაჟე მარტო ვალი კი არ ახსოვს, ვახოო ეგ ვინ არიო და ეს სახელს ამბობს. და ამ ტიპზე ყვება და გადაირიენ ესენი, ვსიოო, გაახსენდაო. ის კი აღარ კითხეს, ჩვენი თუ გაგახსენდაო. გააქანეს სახში და აბაო, ვსიოო და რა ვსიო, იმ ტიპის და ვალის მეტი არაფერი არ ახსოვს. ეგრე ყოფილა მაგ მახსოვრობის ამბავში. ექიმმა თქვა, ვდრუგ ხვალვე შეილება ეგეთი ორასი რამე გაახსენდესო და შეილება ვაფშე არაფერი არასდროსო.

მერე ბიჭებს დაყავდათ თურმე ყოველდღე იქ და დააყენებდენ ტაქსის სტაიანკაზე, ვითომ რამე გაახსენდესო. არ გაახსენდა.

უკვე შემოდგომაზე აქსანამ ნელნელა ასწავლა რო დავაი შენ მაზავიკი იყავიო და ეგრე და ამანაც დაამუღამა. სულ აქსანას გაკეთებულია ეგ. ვაფშე ყველაზე მაგარია, რო ნარდი გამოუღო და დავაიო, ჯერ ასწავლა და ყოველდღე ეთამაშებოდა და ყველას თხოვდა, ეთამაშეთ ნარდიო.

მე მაშინ არ ვიცნობდი კარგათ დაბრეცილს, პროსტომ ვიცნობდი, მარა იმ ამბის მერე, რაც მოუვიდა, დაბრეცილი იყო. ვნახე რო სხვა იყო, ცოტა მიებრიც-მოებრიცა რამეები სახეზე და იმიტო დავარქვი დაბრეცილი.

ხოდა დაბრეცილი გახდა მაგარი მაზავიკი, ოღონდ ძველები არაფერი არ გაახსენდა. ეგრე ცხოვრობს ეხლაც, ის ძველები არ ახსოვს და ვაფშე კიდია, მე კიდე ვიცი რატო, ჩემი ნერვოზებით რო დავიწყეფ ამაზე ფიქრს, ვხვდები რა. კაცს რო არავინ არ ახსოვს და იმათში ცხოვრობს, ვინც არ ახსოვს, მარტო სიყვარული შველის. ოჯახი რო არ ყოფილიყო და აქსანა რო არ ყოფილიყო, დაბრეცილი გასტრანომთან იდგებოდა პივა მიყიდე ამბავში და ვაფშე გაგებაში არ იქნებოდა. მაგის ძმაკაცები რო არ ყოფილიყვენ კიდე ხო ვაბშე. მაგის წერაკითხვის ამბავი კიდე ხო რამხელა ამბავი იყო. იცის რო გაზეთი გაზეთია და ვერა კითხულობს.

ამ იგროკებს ძნელი ხელობა გვაქ. რთული პროფესია არის. აგე, ყველას რაღაცა ემართება.

ყველაზე მაგარი მაგის დავიწყებაში ის არი, რო ნარდი ისწავლა, გაზეთში თამაშის მენიუს კითხვა ისწავლა და ქვითარსაც რო მოუნდება ხოლმე, სწორეთ ავსებს. და რესტორანში უყვარს,ოღონდ ეგეთი ემართება რო, აი მაზი რო აქ, თუ სამი ოთხი დღის მერე თავანი, და იასნია რო სამი ოთხი დღის მერეა, ერევა, ვისთან რა აქ.

თავისთვის ეგ აპასნია, ზაპროსტა შეგილია გაფუფლოვდე, რაც დღეს ბევრს ვაფშე კიდია, მარა დაბრეცილმა ვახომ ვაფშე მაგრა იცის, რო არ უნდა ეკიდოს. რო უნდა ჩაიბაროს ეგეც ავიწყდება მალე, ამიტო აქ აქსანას ის ბლოკნოტი და შიგ უწერია მაზები და ეკითხება შოტებს ყოველ საღამოს, რო მაზებში ჯვრები დაუსვას. უნდა აქსანას ფუფლოჩნიკი დაბრეცილი?

ან ვის გვინდა რო?

ერთი ეგ არი, რო დაბრეცილმა გიტარა დაამუღამა.

ადრე არ იცოდა გიტარა და ვაბშე, სად ჩვენ და სად გიტარა.

იცი როგორ დაამუღამა? ტელევიზორში უყურებდა ვიღაცა რო გიტარაზე უკრავდა და მაიტა აქსან გიტარაო და დაიწყო გამეორება.

ქართულებს და ეგეთ პონტებს კი არ მღერის, იმენნა უბერავს.

კაროჩე, ნატუკას ვეუნები ხოლმე, რამე რო იყოს, და მე რაღაცა მომივიდეს, აგე ნომერი და დარეკე და უთხარი დაბრეცილი ვახო მინდა და უთხარი, ქემერამ წერილი წაიღო და მისახედები ვართო.

ერთხელ დავთვერით მაგრა მე და დაბრეცილი, კოლხეთის რესტორანში, დაბრეცილს იმენა ქართული რესტორნები უყვარს და იქ უთხარით ერთმანეთს, რო თუ რომელიმე პირველი დაიბრიდება, მოგებულის ნახევარში დაბრედილის ოჯახი მიყავს.

რო დავლევთ ხოლმე ვეუნები, შე დაბრეცილო, გახსოვს რა ვიბაზრეთ მაშინ? შენ ხო გავიწყდება.

რის დაბრეცილი ვახო ეგ იქნება, სიტყვა პასუხი აქ მოკლეები, მარა მაგარი:

ეგენი არ მავიწყდება, ეგ არი როგორც თავანი. თუ დამავიწყდება და მაშინ ზნაჩიტ ცხოვრება დამავიწყდა.

თავანს კიდე ვინ დაავიწყებს. აქსანა იქ არ არი?

მე კიდე რას ვფიქროფ იცი? ნი დაი ბოგ და ეგრე მომივიდეს, მეც იმედი მაქ რო ნატუკა ეგრე იქნება, აქსანაზე მაგრა იქნება და ვაფშე, როცა სწორე ქალია გვერძე, ვაფშე რაღა არი საშიში მითხარი.

ეგრე ვართ მე და დაბრეცილი.

ხანდახან კი მიტყდება, რო ვფიქროფ, მე რო ეგრე მომივიდეს, ნატუკამ რამდენი უნდა ქნას, მარა საქნელი უნდა ქნა, მე რაც ნერვოზები არ უნდა მქონდეს და არ ვითარსებოდე, მაინც ეგრე მგონია.

დაბრეცილი კიდე, არი ეგრე დაბრეცილი. ბევრი ვერც მიხვდება, რო დაბრეცილია, ვის ახსოვს ადრე როგორი იყო.

დაჯდება და უკრავს გიტარაზე.

ზოგჯერ მგონია, რო პროსტომ უნდა იჯდეს და გიტარაზე უკრავდეს. მაგრათ უკრავს. მე კი ვერ ვხვდები მაგრა თუ არა, მარა მსიამოვნებს, ნატა მეც თუ ეგეთი რამე გამეჩითება, რამე რო მომივიდეს.

სულ ნაჩუქრებშია, რა. აჩუქა რა.

რამდენი რამე აჩუქა, აზზე რო მოხვიდე.

მე ცოტცოტას მჩუქნის.

ყველას თავისი ზომა აქ, შენ რას გაზომავ.

პროსტომ ხანდახან მეც მინდა ხოლმე გიტარაზე დაკვრა. დაბრეცილი რო უკრავს ხოლმე, მგონია რო მე უკრავ და მართლა აღარ ვიცი, ცხოვრება რა არი.

ერთი რამე ვიცი, ცხოვრება კაია, როცა სახლში მივალ და თან დაგრუზული არ ვარ.

დაბრეცილიც ამან განა არ გამოიყვანა?

აბა სხვა რამ?

ბიჭი რო ხარ, სხვანაირათ უყურეფ. მე რო ჯარში წამიყვანეს, მეთქი პონტია, ამათ როგორ გავატანიეფ, არ მინდოდა ჯარში წასვლა, ფუტბოლისტი ვიყავი და პროსტომ ტრავმები მქონდა, მუხლები მქონდა სლაბი, მარა მაშინ ხო იცი იმედი გაქ, სუ ვფიქრობდი, ერთხელ მნახავენ და დინამოს დუბლს როგორ ვერ გავქაჩავ, ჩვიდმეტი წლის ვარ. იმენა ჩემზე მაგრა ლაპარაკობდენ. მაშინ,იმენა ფუტბოლს ითამაშებსო, მარა აგე მუხლები და ამ დროს მამაჩემი გამოვიდა, ერთი თვე მიყურა, ორი თვე მიყურა და დავაი ჯარშიო. მეთქი არ მინდა, დედაჩემს ვეუნები და არაო, ასე გონია რო, შემოდგომაზე სროკი მაქ უკვე და ქურდობაზე მიდიხარო და არ უნდაო. არ მიცნობდა. ხო იცი, თითონ როგორც უცხოვრია კაცს, შენც ისე გონიხარ. ამ დროს კიდე, მეთქი ბიჭო ფუტბოლი მინდა, და ამ გაზაფხულის პრიზივზე არ გამიშვა?

მეთქი ვსიო, პრისიაგას არ მივიღეფ.

დავჯექი და გამიშვეს ლენინგრადში, პად ლენინგრად ჩასტია. ბევრი ჩასტია.

მეთქი მკიდია. ვინც იქ ქართველებია, კარანტინში ვეუნები, პაგონები კი დამარტყეს, მარა პრისიაგას არ მივიღეფ.

მაგარი ამბავი იყო, ოთხი თვე არ მივიღე პრისიაგა.

რაც მამაჩემმა ლენინგადს და თბილისს შუა იფრინა, ეგეთი მე მგონი თითონ ჩიტებსაც არ უფრენია.

ჩამოვიდოდა, მეთქი, ხო გამოუშვი, არ მივიღეფ პრისიაგას.

ჩამოვიდოდა, მეთქი არ მივიღეფ.

სუ გენერლებთან ქონდა ლაპარაკი, იმიტო, რო მაშინ სად იყო ეგრე რო სალდატი პრისიაგას არ იღეფს.

მეთქი, არა ძმაო, გამსროკონ. არ მივიღეფ. ორი წელი რატო უნდა ვიყო? პროსტომ მამაჩემს ვეუნებოდი, აი, მითხარი პროსტომ რატო უნდა ვიყო ჯარში.

ეგ ხო ვერ მეტყოდა, კანონია ეგეთიო და უნდა კანონს წაყვეო.

კაროჩე, ამას მერე მოვყვები, იმას ვფიქრობ ხოლმე, რო ეგ ამბავი რა არი დაბრეცილი ვახოს ამბავთან შედარებით.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გიგი სულაკაური

სამი საღამო

დასასრული

საგნები, ზღვა, ადამიანები, — ყველაფერი, — გაუჩინარდა და სივრცეში ბიძინას გარდა ვერავის და ვერაფერს ვეღარ ვხედავდი. მარცხენა ხელი უცნაურად ეჭირა, არც მანამდე და არც მერე ეს ჟესტი აღარ მინახავს, — თითქოს იმ ღამისთვის საგანგებოდ მოიგონაო...

ერთ-ერთი პაუზის დროს ტაშის გრიალი, ოვაციები, ბის, ბრავო და მსგავსი სისულელეები შემოგვესმა. თავიდან დავიბენით, ჩვენთვის ისიც კი ვიფიქრეთ, ვინმე ხომ არ დაგვცინის-თქო. მაგრამ კარგად რომ ამოვყვინთეთ, — მთელი დუქანი, მდგმურებიან-მიმტანებიან-ვიტალიანად ფეხზე იდგა, ტაშს გვიკრავდა და მზით დამწვარი ცხვირები უელავდათ ელექტრონის შუქზე.

მერე შუახნის ცოლ-ქმარი მოგვიახლოვდა, თან პატარა გოგონა ახლდათ, ქერა, ქერა თმით და კლასიკური ცისფერი თვალებით დამშვენებული. პეტერბურგელები აღმოჩნდნენ, შვილიშვილთან ერთად ისვენებდნენ გაგრაში. ქალმა ბიძინა ჩამიკოცნა, დიდხანს გულში ყავდა ჩაკრული და ყურშიც რაღაცას ნაზად, თვალებმილული ჩასჩურჩულებდა. ბიძინა იღიმებოდა, არც ცდილობდა თავის დაღწევას. დავემშვიდობეთ და გავაგრძელეთ, ბოლომდე, ვიდრე არ დაგვათენდა.

ახლაც არ ვიცი, რატომ გავავლე ეს პარალელი — ჩვენი და „ბებრებისა“. ეს ორი ეპიზოდი დღემდე არ გამხსენებია და აღბათ ვერც დედას ავუხსნი, რა მუღამი ძევს გათენებამდე ლექსების კითხვაში... ახლა რომ ვფიქრობ, ეს ასახსნელად ზედმეტად რთულია, დამღლელი და ყველაზე ხშირად შეუძლებელიც...

ბიძინა ვარსკვლავი იყო.

მამაჩემს მჭვირვალე ბოთლი გამოაქვს საკუჭნაოდან. ბოთლი ბრტყელია, უზარმაზარი, მოკლე ყელი აქვს და ბუთქუნა კორპითაა თავდაცული. თანაც მტვრის ფენა ადევს, როგორც წესი და რიგია.

— უკრაინულია, ოღონდ სასმელი არა. — ამბობს არჩილი. ბოთლში ტარხუნა და უცნობი მცენარეებია ჩაშვებული. სითხე მწვანე, ლამაზი მწვანეა. — ხედავ, — მიმართავს ბიძინას, — ბოღმისაგან გამწვანდა...

ჩვენთან ლოჯში ვსხედვართ არჩილი, ბიძინა და მე. მზე ეშვება და ბოლო სხივები ულამაზეს აბსტრაქტულ კომპოზიციას ხატავენ ბოთლში. თბილისური ზაფხული ინურება, არსად გვეჩქარება და სამივეს გგვიყვარს და ვგრძნობთ ერთმანეთს.

და დაიწყო და აღარ გათავდა, ისე, თავისთავად და უბრალოდ, რაც ყველაზე ნაღდია ამქვეყნად.

არჩილი კმაყოფილია, ჩვენ კი ყოველგვარი მოულოდნელობისათვის მზადა ვართ, ჩვენც კმაყოფილები ვართ.

— აქედან გამიგრძელე, თუ ძმა ხარ, — მოგვმართავს არჩილი ხან ერთს, ხანაც მეორეს, — მიდი, მიდი, თქვენთანა ვარ...

ჩვენც მივდივართ, არ ვჩერდებით ან რა გაგვაჩერებს, ფანჯრები ღიაა, საღამო მთელი ძალით შემოდის ბინაში და თანაც თბილისში ვართ, არჩილთან — ჩვენ სახლში ვართ.

— ეს ნაღდად არ გეცოდინებათ. — იწყებს არჩილი.

— ვიცით, ვიცით. — ერთხმად ვპასუხობთ.

— საიდან?

— იგივე წყაროებიდან.

— ყველაფრის ცოდნა სახიფათოა!

— ეგეც ვიცით! — სამივე ვიცინით და მიდის, გრძელდება, არ თავდება ან რატომ უნდა გათავდეს ან შეწყდეს, დღეს პირიქით, სხვა, დიდი დასაწყისის დღეა, ბოთლს ჯერ მხოლოდ სამი თითის დადება აკლია და მე ისიც კი არ ვიცი, რომ გამთენიისას ბიძინა და მე ვაკის პარკში ამოვყოფთ თავს, შადრევანთან, რომელიც გუგუნებს, ბრწყინავს, იფრქვევა და იმსხვრევა და „არ თავდება“; და რომ ბიძინა გაქროლდება და ახალთახალი, „ჩეკებში“ ნაყიდი ფეხსაცმელებით გადაეშვება აუზში და დიდხანს იჭყუმპალავებს; და არჩილის ნაჩუქარ ჭიქას — საუკეთესო სადღეგრძელოსათვის — აუზის ფსკერს უსახსოვრებს და მერე, როცა აუზიდან ამოსვლაში დავეხმარები, აუცილებლად შევეკითხები:

— ბიჭო, ბიძინ, რატომ გააკეთე ეს?

— ეს? — სველ ტანსაცმელზე დაიხედავს და უცნაური ღიმილით იტყვის, — ეს გავაკეთე იმიტომ, რომ ეს დღე არასოდეს გადამავიწყდეს...



ბიძინა ხერხეულიძე

ზაზა გოგია

ტარიელ ჭანტურია — შტრიხები პორტრეტისათვის

თანამედროვე კრიტიკამ კვლევის არაერთი მოდელი წარმოგვიდგინა, რომელთაგან ზოგიერთი ვერ იგუა ქართულმა ლიტერატურულმა გარემომ. მართალია, პოლიტიკურ სისტემასთან სტაბილური მიჯაჭვულობისაგან გათავისუფლებამ არა მხოლოდ მიმდინარე პროცესთა ახლებური შეფასების, წარსულის გადაფასების შანსიც მოგვცა, მაგრამ დასავლური აზროვნების წესთან მყისიერი გაშინაურების შეგრძნება ოპტიკური ილუზიის შთაბეჭდილებას ტოვებს და რატომ?

პირველი — ქართველ ხელოვანთა ნაწილი საბჭოურ პერიოდშივე დაუპირისპირდა ტოტალიტარული ეპოქის იდეოლოგიურ კლიშეებს. მაგრამ ეს იყო ცალკეულ მკაფიო პიროვნებათა ინდივიდუალური არჩევანი. სისტემურ დონეზე კი ძველი ინერცია „ავტორიტარული მოდერნიზაციის“ სახით აგრძელებს არსებობას.

მეორე — ლიტერატურული კვლევებისას სტრუქტურულ-სემიოლოგიური მოდელებით მანიპულირება უმთავრესად დასავლური პროექტებისადმი მონიწებას ეფუძნება ჩვენი შიდაკულტურული კონტექსტების გაუთვალისწინებლად (ეს შენიშვნა იმ კრიტიკოსებს არ ეხება, რომლებიც გაბატონებულ კულტურათა შესწავლის კვალდაკვალ შუალედურ კულტურებსა და კულტურათაშორის ურთიერთობებსაც სწავლობენ).

მესამე — ძველ იდეათა ახალი დამღები ზოგჯერ სუპერინოვაციური აზრების კაშკაშა გამოსხივებად გვეჩვენება. მაგალითად, დასავლეთში კარგად იციან, რომ „ეპისტემოლოგიური დაეჭვებისა“ და „პოსტმოდენისტული მგრძნობელობის“ არსი პირდაპირ უწყვილდება „რომანტიკული ირონიის“ მნიშვნელობას, როგორც სკეფსისისა და უღმერთობის კულტურის საერთო მაჩვენებელს („თამაშის შემდეგ ღმერთმა და ეშმაკმა მაისურები გაცვალეს“ — ტ. ჭანტურია). რომანტიზმიცა და დღევანდელი ნეოკულტურაც ქაოსისა და ნიჰილიზმის პირმშოა. მაგრამ თუკი რომანტიზმი ისტორიის მითოლოგიზაციაში (გაიდეალებაში) ხედავს ხსნის გზას, თანამედროვე ხელოვნება და მისი თეორეტიკოსები — მყარი ლოგოცენტრული კონსტრუქციების (მათ შორის, მითოსურისა და ისტორიულის) მოშლით სოციალურ-პოლიტიკური კრიზისების გადაფარვაში.

კულტურის ტიპოლოგიაზე საუბრისას რომანტიზმზე ორიენტაციის მიზეზი მისივე „ძალაუფლებაა“. სწორედ იგია თანამედროვე დასავლური ხელოვნების (როგორც ნეორომანტიკული, ისე — ანტირომანტიკული) მიმართულებების მეკვლეცა და სამიზნეც. ამ სტატიის მიზანიც ეროვნული კულტურის შემაფერხებელ ინერციათა ძლევაა და არა — დასავლეთის პოზიტიური გამოცდილების ხელაღებით უარყოფა. პროგრესმა გამართლება მხოლოდ გმობაში არ უნდა ეძიოს.

წინსვლის უმთავრესი პირობა მაინც ისაა, რომ ჭეშმარიტი შემოქმედის ინტელექტი მუდამ წინ უსწრებს საზოგადოებრივი აზრის ევოლუციური განვითარების პროცესს. ამიტომ ახალ ხედვათა დამამკვიდრებელ პარადიგმებში ზოგჯერ წარსულისადმი უნდობლობაც გამოკრთის.

ტ. ჭანტურიას შემოქმედება „შეუთავსებლობის კულტურის“ პროდუქტია, რომელიც საბჭოური დეტერმინიზმის ჩარჩოში ვერ თავსდება. გაბატონებული კულტურა კი პატრიარქალური მამის დესპოტიზმით ხასიათდება და დაუნდობლად ყლაპავს ურჩ შვილებს. ამიტომ მისგან განდგომა სიფრთხილეს მოითხოვს. აკრძალვათა გარემოცვაში სიფრთხილის გამოვლენის ერთ-ერთი ფორმა გულუბრყვილობის ნიღაბია, მაგრამ კარგ მთქმელს კარგი გამგონი მუდამ გამოუჩნდება.

თუკი ადამიანთა, სოციალურ ჯგუფთა, სახელმწიფოთა თანაცხოვრება ფუნქციური შეუთავსებლობის ნიშნითაა დაჯგუფებული. ჯალათსა და მსხვერპლს, ბატონსა და მის ყურმოჭრილ მონას, თვითმოსპობის თანაბარი პერსპექტივა ემუქრება. ხელოვნებაში, ერთი შეხედვით, ცხადი იდეა ხშირად გაშუალებულად — იგავური, ალეგორიული, მინიმალისტური თუ კონცეპტუალისტური ხედვის წყალობით ისხამს ხორცს.

„დანა და დანის სალესი!
მათი რიტმული ალერსი!
ბოლოს, დანაც და სალესიც —
ორივე დნება ალერსით,“ —

ამ ლექს-კალამბურში ფორმალურ-ენობრივ ნიშნებს მიღმა ღრმა სოციალური ტექსტი იკითხება. ასე ფორმდება აღმნიშვნელსა და აღნიშნულს შორის ფარული შეთანხმების (კონვენციის) აქტი.

ტ. ჭანტურიას „დროში აცდენილი“ პოეზია კოლექტიურ გემოვნებაზე დაგეშილი კრიტიკის მიერ წარუმატებელ სტილისტურ ექსპერიმენტად შეფასდა (კრიტიკოსთა საღი ნაწილი იმთავითვე დაუპირისპირდა ამ პოზიციას) და ზოგიერთი ოპონენტის აგრესიაც გამოიწვია. აგრესიის მიზეზი კი ხშირად ცოდნისა და გაგების დეფიციტია.

ნოდარ კაკაბაძე ერთ თითქოსდა უწყინარ კაცზე მოგვითხრობს, რომელიც უცხოური ფილმის ნახვის შემდეგ ლანძღვა-გინებით გამოდიოდა კინოთეატრიდან. მის გარშემო აღშფოთებულ თანამოაზრეთა ჯგუფიც შეიკრა, რომელიც მიწასთან ასნორებდა კინოფილმს და მის ავტორებს. ფილმის გაუგებარმა პოეტიკამ მათ არასრულფასოვნების შეგრძნება გაუღვივა და „პირადი შეურაცხყოფის“ გრძნობის გასაქარვებლად იმ ადამიანებზე გადმოანთხიეს ღვარძლი, რომელთაც მოინონეს სურათი.

გემოვნება ძნელი მოსათვინიერებელია და ნამდვილი მწერალიც კოლექტიური გემოვნების მძევალი არ გახდება. თავის დროზე ტ. ჭანტურიას, ვ. ჯავახაძის, ბ. ხარანაულის, მ. მაჭავარიანის პოეზიისადმი „კლასობრივ“ ზიზღს არა მხოლოდ უტოპიური იდეალებისადმი ერთგულება, საკუთარი უმეცრებისა და უგმოვნობის გამო დაბრიყვების შიშიც ედო საფუძვლად.

ტ. ჭანტურიას „მსოფლმხედველობრივ ეკლექტიზმს“ ხან ინვარიანტულ ფასეულობათა ტრადიცია განსაზღვრავს, ხანაც — დროში გაყინული ფორმებისადმი უნდობლობა. რაც მთავარია, მისი პოეზია ყოველთვის ინტელექტუალურია, თავადაც ყალბი თავმდაბლობის გარეშე გვიცხადებს — *„ის რაც ინტელექტს მოკლებულია, ჩემთვის ინტერესს მოკლებულია“.*

ისტორია აღწერს, ხელოვნება ხორცს ასხამს და აცოცხლებს, ამიტომ ისტორიზმი ხელოვნების მუდმივი თანამგზავრია. როცა იდეას იდეალი ვერ კვებავს, დროის შეგრძნება დამცინავ ირონიად უკუიფინება.

დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილ ლექსში ნაცნობი მოტივების („დრონი მეფობენ“ და „ვაჰ დრონი, დრონი...“) პაროდიული ვარირებით გათამაშებულია სასურველის რეალურად ქცევის გარდუვალი კრახი:

„მოდი, მეფევ, დიდ წარსულში
გავაკეთოთ გრძელი როქი:
შენ აქ მოდი, მე იქ წავალ...
დრო კი, მბრძანებელო, დრო კი...
საუკუნე იყოს ჩვენი —
ჩემთვის ჩემი, შენთვის შენი.
დამიჯერე, შენ აქ, მე იქ —
ერთნაირად შევიშლებით!“

კულტურის სიცოცხლე, ისევე, როგორც ადამიანისა, სიკვდილისათვის სამზადისია. კვდომა კი შესაძლებლობათა ამოწურვით იწყება. მაგრამ სიკვდილამდე, შპენგლერის აზრით, ნებისმიერი კულტურა უნაყოფობისა და დაუძლურების, ე.წ. „სულიერების ზამთრის,“ ფაზას გადის. ამიტომაცაა, რომ ეპოქებს შორის გადაძახილში დავრდომილი სამშობლოს კულტურული კვდომის შიში იელვებს:

„ნაცარიც კი ვერ ვიცანი
კართაგენისა!
რა გადარჩა ჰამილკარის — გარდა
გენისა?!
ბიჭს სახელი შევეკითხე — ჰანიბალია,
ძველი სევდა მომეძალა და მიხარია...
. . . . . .
გიდი ამბობს: ჰამილკარიც —
ეს ნაცარია!
ჰამილკარ და ვაჟი მისი —
ზეცას არიან!
ალავერდი ხომ გინახავს,
ანდა გელათი:
ორად-ორი ნაბიჯია კართაგენამდი...“

იმავე გრძნობას აღვივებს ტ. ჭანტურიას სხვა ლექსიც:

„ღარიბი კაცი ცოდვაა,
მაგრამ მე რად ვარ ღარიბი;
დიდი სახლები თუ არ მაქვს,
მაქვს დიდი ნასახლარები.“

ნანგრევები და ნასახლარები სხვა ხომ არაფერია, თუ არა გაპარტახებისა და დაცემის, იავარქმნილი წარსულის, სულიერი და ფიზიკური გადაშენების ხილული ხატები.

საბჭოურ თხრობაში სამშობლოს იდეის ეროვნულთან იდენტიფიცირება, გარდა რუსეთისა, არ ხდებოდა. პანსლავისტურ ქსენოფობიას საბჭოურ იმპერიამდეც გრძელი გზა ჰქონდა გავლილი, რომელმაც მეცხრამეტე საუკუნიდან კულტურულ და ლიტერატურულ წრეებშიც შეაღწია. პუშკინის მოწოდება — „Áðî æè Êàâêàç! Áðì î ëî â èäåò,“ პოლიტიკური ტრიუმფის მისეული სცენარითვე დაგვირგვინებას ითვალისწინებდა — „...Êî ãäà í àðî äû ðàñï ðè ï î çàáû â â âåëèêóþ ñåì üþ ñî åäèí ÿòñÿ“ (კავკასიის ჯალათის სახელით ცნობილ ერმოლოვს რუსეთის ყველა დროის უდიდესი პოეტი ევედრებოდა, მდივნად დაგიჯდები, შენი გმირული საქმეების აღწერას თუ მოინდომებო). „საერთო ოჯახის“ იდეას, როგორც ჩანს, პოლიტიკური ეპიდემიის ხასიათი აქვს. მისი თანამედროვე ნაირსახეობა — წინააღმდეგობათა ერთიან სისტემაში მომქცევი „რბილი“ იმპერიაა, რომელიც საბოლოოდ მოხსნის კითხვას — ვინ ვარ მე?.

რუსულ აგრესიას ქართულმა პოეზიამ თვისობრივად ორი განსხვავებული კონტრსტრატეგია შეაგება. ერთი — სახეობრივ-კოლორიტული, ფსიქოლოგიური ქვეტექსტებითა და გმირული პათოსით დატვირთული, ე.წ. „პატრიოტული ლირიკა“ (უტოპიური, მაგრამ გამამხნევებელი), და მეორე — დროის კულტთან შეურიგებელი, მანუგეშებელი ილუზიებისაგან თავისუფალი, მორჩილების არმცნობი, ბეწვის ხიდზე მოარული, ირონიით, თვითირონიითა და გროტესკით გაჯერებული ლექსიბრალდება. მაღალი რისკ-ფაქტორის გამო მას მასობრივი ხასიათი ვერ ექნებოდა. პირველის ნიმუში აკაკის „განთიადია,“ მეორისა — ილიას „ბედნიერი ერი“. ეჭვგარეშეა, ტ. ჭანტურიას პოეზია უკანასკნელ ნაირსახეობას მიეკუთვნება. (იყო მესამეც — სანგარში „მედგრად“ მსხდომთა სტრატეგიაც, მაგრამ მეეჭვება ისტორიამ მას ადგილი გამოუძებნოს).

ტ. ჭანტურიას ლექსების ოთხი ციკლის („მტვრიანი სხივი,“ „აუწყობელი გიტარები,“ „დაწყვეტილი სერპანტინი,“ „თაფლობის საუკუნე“) სათაურებშივე დევს წინააღმდეგობის მუხტი. პირველ სამში მსაზღვრელ-საზღვრულს შორის შეუთავსებლობა ქმნის დაპირისპირების ფონს, უკანასკნელში — არარსებული ბედნიერების ირონიული იმიტაცია. მართლაც, სხვა სამყაროს ბინადარი თუ არა, შვეიცარიის მოქალაქე მაინც უნდა იყო, წინამორბედი ასწლეული თაფლობისა და სიამტკბილობის საუკუნედ რომ მოგეჩვენოს.

მეცნიერები ერთსულოვნად შეთანხმდნენ, რომ ენა ცივილიზაციათა ღერძია, მაგრამ სამ საუკუნეზე მეტია ვერ გაურკვევიათ, რაშია მისი პროდუქტიულობის მთავარი საიდუმლო — ემოციური ზემოქმედების თუ სისტემატიზაციის უნარში. ეს ორი აზრი ნაწილობრივ მოარიგა რუსმა მეცნიერმა და ინტელექტუალმა — პაველ ფლორენსკიმ. მან განაცხადა, რომ ენა თავადაა სტიქიაც და სისტემაც. ჭარბი ემოციონალიზმი ისევე კლავს მას, როგორც — უკიდურესი რაციონალიზმი. ფლორენსკის ანტინომიზმი გულისხმობს არა ლოგიკურ ტრიადას (თეზისისა და ანტითეზისის სინთეზში შერწყმას), არამედ ენის „ორბუნებოვნებას“ — ორი საწყისის პარალელურ და თანაბარუფლებიან არსებობას. აქედან გამომდინარე, ენა „არა მხოლოდ ნიშნებია ქაღალდზე,“ არამედ — პრაგმატული ქმედებაც და განცდისმიერი მლიანობაც (ფილოსოფოსის არ იყოს, წარმოუდგენელია საფრანგეთის რევოლუცია „მარსელიეზის“ გარეშე).

ნიუტონის აზრით, დრო და სივრცე შიგნიდან ფუყე და ცარიელია. მატერიალური საბურველი ანიჭებს მას სისავსის იერს. გარსს შემოაცლი, ისევ სიცარიელე შეგრჩება. ასევეა ენაც — მოწყვეტ გარემოს და უფუნქციოდ რჩება. მაგრამ როცა გარემო უვარგისია, ისევ ენა იღებს მასზე კონტროლის ფუნქციას — ეს იქნება ურთიერთობების, მეცნიერების, კინოს, თეატრის, მუსიკისა თუ პოეზიის ენა.

ტ. ჭანტურია გვეუბნება, რომ გარემოსადმი კონფორმისტულმა მიდგომამ ჩვენსავე ეროვნულ, ზნეობრივ და ენობრივ ცნობიერებას დაარტყა: ცხოვრების ფორმალური მხარეებით გატაცებამ რეალური ფასეულობები დაგვავიწყა, საშუალებათა ძიებამ — მიზანი. ფორმას ვხედავთ, არსს — ვერა, კაცს მდგომარეობით ვაფასებთ და არა — ღირსებით, ინტელიგენცია დიდი გვყავს, ინტელიგენტი — ცოტა, ვერსიფიკატორები მომრავლდნენ, პოეტები შემცირდნენ, ჭეშმარიტი მელექსეობა მერითმეობამ ჩაანაცვლა.

„როგორც კარნიზი უარყო რაიტმა —
ჩვენც ისე უნდა უარვყოთ რითმა!“ —

ამ ლექსით იწყება „აუწყობელი გიტარების“ ციკლი. ამერიკელმა დეზურბანიზატორმა კარნიზი გამოაცხადა არქიტექტურის შაბლონურ ელემენტად, ქართველმა პოეტმა რითმისადმი მორჩილება — პოეზიის დამაბრკოლებელ ინერციად. ტარიელ ჭანტურია რითმის უაზრო ექსპლუატაციის წინააღმდეგი რომაა და არა თავად რითმის, ის ფაქტიც მეტყველებს, რომ მისი ლექსების უდიდესი ნაწილი კონვენციურია.



დეჰუმანიზაციის თანამდევი პროცესია ღირებულებრივი იერარქიების მოსპობა, უკიდურესი სეკულარიზაცია, ეჭვი და ურწმუნობა. ყველა თავისებურად ცდილობს დარღვეული ბალანსის აღდგენას. ალბერტ შვაიცერი — ნობელისა და სხვა მრავალი პრემიის ლაურეატი, მეცნიერების სამი დარგის პროფესორი, მწერალი, ექიმი, მუსიკოსი, ფილოსოფოსი, „სიცოცხლის მოწიწების“ ავტორი ნახევარი საუკუნე ეკვატორულ აფრიკაში კეთროვნებს უვლიდა, რათა თეორია პრაქტიკით დაემკვიდრებინა. მაგრამ დამკვიდრების მეორე მხარე უარყოფაა. იმავე შვაიცერმა ზნეობრივი მიზნის მისაღწევად უარყო პატივი, ბრწყინვალე კარიერა, ევროპული ცივილიზაციის სიკეთე. გამოდის, რომ დამკვიდრება და უარყოფა ერთი და იმავე პროცესის პარალელური მაჩვენებლებია. ტ. ჭანტურიას დესაკრალიზაცია და ირონიაც უღმერთობის უარყოფაა და არა ღმერთის. იგი გაუქმებულ ზნეობრივ ფასეულობათა აღდგენას ემსახურება და არა — გაუქმებას.

„გამოვაბი უფალს
ცისარტყელას ტროსი:
სატანასთან უნდა
მოვიყვანო დროზე.“

„უნდა დაინგრეს!
უსათუოდ დაიქცეს უნდა“ —
გახსოვთ, რა ვნებით
ამტკიცებდა რომში კატონი,
სინამდვილეში ეს იყო ღმერთი —
ყველაზე დიდი პროვოკატორი“.

„სხვა დროა ახლა — ახლა იუდას
თავს გადაუვა თხუთმეტი ვერცხლი!
ადგება. წავა. დღესვე მიუტანს.
აქვეა — სამი არც კია ვერსი.
სხვა დროა ახლა — ახლა მაცხოვარს
წყვილი ლურსმანიც ეყოფა ალბათ.
— დიდებულია! — საუცხოვოა! —
პლასტმასის ეკალს სინჯავენ ხარბად.
აბოლებს თრიაქს მთვრალი იროდი —
გაღმა გაურბის თვალები ხეპრის,
და გოლგოთამდე საბაგიროთი
გადაჰყავს ჯალათს მორიგი
მსხვერპლი.

პოსტსკრიპტუმ
მოდის იუდა —
მაცხოვრისთვის მოაქვს იოდი...

საკმარისია, ავტორმა ლექსს ირონიული საბურველი ჩამოაცილოს და თავად პოეტის პიროვნული ლტოლვის, მისი სულიერი ავტოპორტრეტის კონტურები იკვეთება:

„მაგრამ სანამ მეც ამქვეყნად
მაცხოვრისთვის ფიქრით დავალ,
მეც ცოტათი — სალიერი,
მეც ცოტათი იუდა ვარ!
ჰოდა, შენ მომმადლე, ღმერთო!
ღონე, ძალა სულიერი —
ჩავკლა ჩემში კაენი და
იუდა და სალიერი.“

გონების სიფხიზლე ტ. ჭანტურიას პოეზიის მთავარი გენერატორია. *„გეყოფა ძილი, განჯღრევ, გაღვიძებ, გეყოფა ძილი, ადე, გაგვიძეხ!“* — ასე მიმართავს დავითის საფლავთან მდგომი საბა დიდ წინაპარს. ჩვენს მოღვაწეთა მთელი თაობების მიერ სიფხიზლისაკენ მოწოდება, სამწუხაროდ, დღემდე რჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

ბოლოს მინდა აღვნიშნო, რომ ნოვაცია ხელოვნებაში შემოქმედის სიტყვას მოაქვს და არა — ჩვენს სიტყვას შემოქმედის შესახებ. თუ ამაზე დავფიქრდებით, დავრწმუნდებით — ზოგჯერ ის, რაც ახალი გვგონია, უკვე ნაფიქრი და გაკეთებულია.

გამოცემელი

კახმეგ კუდავა:

„არაფერი განსაკუთრებული – ქართველი მწერალი რომ ვერ დაწერს – მსოფლიოში არ იწერება!“

გამომცემლობა „ინტელექტის“ ხელმძღვანელმა კახმეგ კუდავამ 23 ოქტომბერს ლიტერატურული კონკურსის „გალას“ დაჯილდოვებაზე — სერიისათვის „ნობელის პრემიის ლაურეატები“ — გაიმარჯვა ნომინაციაში საუკეთესო საგამომცემლო პროექტი. კონკურსზე წარმოდგენილ ნომინანტთა ვიდეო-რგოლში, ბატონმა კახმეგმა ბრძანა, გამარჯვება ჩემთვის ნობელის პრემიის მიღების ტოლფასი იქნებაო... ინტერვიუ მის „ნობელიანტობამდეა“ ჩაწერილი.

სამუშაო კაბინეტში შესვლისთანავე წიგნების სიმრავლე იქცევს ყურადღებას. მასპინძელი კეთილმოსურნე, ენერგიული და ენაწყლიანი ბატონია. მაფრთხილებს – ჩემი სახელი სწორად დაწერე, არ შეგეშალოს, კახმეგი მქვია. დედა კახელია, მამა მეგრელი, სახელიც აქედან გამომდინარე დამარქვეს. არ გეგონოს მეგრელების მოფიქრებული იყოს, კახელების ბრალია. შემდეგ საუბარს ვიწყებთ. აინტერესებს რა შეკითხვებით მივედი მასთან, მეც ვუყვები, თუ როგორ ვაპირებ ინტერვიუ ავაგო, ძირითად კითხვებს ვაცნობ. მეუბნება, აქედან ყველაზე საინტერესო მკითხველთან დაკავშირებული შეკითხვაა. საერთოდ, როცა ქართულ წიგნზე, ქართველ მკითხველზე და ჩვენს მწერლობაზე საუბრობს, თვალები უბრწყინავს და ხვდები, რომ პროექტების წარმატების მთავარი მიზეზი, ამ საქმისადმი მისი შინაგანი მიდგომაა, სიყვარულით გაჯერებული მიდგომა. ინტერვიუს წინასწარმოფიქრებული გეგმა შეიცვალა. საუბარს „მკითხველით“ ვიწყებთ...

— გამომცემლობის სახელწოდება ხომ არ მიუთითებს, რომ ძირითადად ინტელექტუალურ მკითხველზე ხართ ორიენტირებულნი? საერთოდ, რამდენად აქტიურია ქართველი მკითხველი?

— „ის რაც ინტელექტს მოკლებულია, ჩემთვის ინტერესსმოკლებულია“, — გახსოვთ ტარიელ ჭანტურია? ისე, მკითხველში, უპირველესად, ბავშვები და ახალგაზრდობა უნდა ვიგულისხმოთ. რამდენიმე დღის წინ, გამომცემლებსა და პოლიგრაფისტებს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან, ილია მეორესთან გვქონდა შეხვედრა. ძალიან საინტერესო საუბარი გაიმართა, სხვადასხვა თემებს შევეხეთ, მათ შორის მკითხველის პრობლემასაც. საკითხი ასე დაისვა – ტელევიზია, ინტერნეტი კონკურენციას უწევს წიგნს. რა ვიღონოთ, რომ ახალგაზრდებმა წიგნი არ დაივიწყონ? როგორ შევაყვაროთ კითხვა ბავშვებს?

საქართველოს პატრიარქმა, ჩვეული დელიკატურობით, საინტერესო რამ შემოგვთავაზა – ხომ არ გავმართოთ ოჯახების ლიტერატურული საღამოებიო. ვფიქრობ, ეს ბრწყინვალე იდეაა. ოჯახურ საღამოებში ხომ რამდენიმე თაობის წარმომადგენელი მიიღებს მონაწილეობას. ოჯახი ძალიან ინტიმური სამყაროა, ბავშვისთვის მნიშვნელოვანია უფროსების მაგალითი, ის უნდა ხედავდეს, რომ წიგნის კითხვა ერთგვარი ზეიმია, ამისთვის ათასგვარი ფორმა შეიძლება მოიძებნოს. დიახ, უნდა ვიფიქროთ კითხვის კულტურის განვითარებაზე საქართველოში. პატრიარქის აზრით, ეს უნდა დაეფუძნოს დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიას.

დიახ, კითხვის პოპულარიზაცია საზოგადოებაში აუცილებელია. მთავარია, ბავშვი ლიტერატურით ერთხელ დაინტერესდეს და შემდეგ თვითონ ეძებს სასურველ წიგნებს, თვითონ კითხულობს. პირველად, კინო რომ შემოვიდა, ეგონათ თეატრი „მოკვდებოდა“, მაყურებელს დაკარგავდა. თეატრს, ისე როგორც კინოს, თავისი მაყურებელი ყოველთვის ეყოლება. ასევეა წიგნიც. მის მიმართ ინტერესი არ განელდება. თუმცა, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს თავისთავადი მოვლენაა და აუცილებლად ასე იქნება. ამ საქმეს პატრონობა და ძალიან ბევრი მუშაობა სჭირდება, განსაკუთრებით ბავშვებში, მოზარდებში. ამასთან დაკავშირებით, სკოლებში სხვადასხვა მეთოდს იყენებენ, განათლების სამინისტრომ



გარკვეული პროგრამებიც შეიმუშავა. კულტურის სამინისტროც კარგ წინადადებებს გვთავაზობს, მაგალითად საინტერესოა ბიბლიოთეკების დაკომპლექტების პროექტი.

— გარდა წიგნის ვიზუალური მხარისა, პირველ რიგში, ბავშვი ალბათ შინაარსით უნდა დაინტერესდეს, კითხვა რომ შეუყვარდეს...

— რა თქმა უნდა. ჩვენ ახლა პროგრამა მაქსიმუმზე ვისაუბრეთ.

ერთ-ერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ, სხვადასხვა ქვეყნებში განათლების დონის შეფასების მიზნით გამოკითხვა ჩაატარა. დაახლოებით ასი ქვეყნის მოსწავლეები გამოკითხეს და შეაფასეს. მათ შორის - ქართველი ბავშვებიც. შედეგები შეჯამდა და გაიმართა პრეზენტაცია, რომელზეც მიწვეული გახლდით. ზოგადი განათლების დონის თვალსაზრისით, საქართველომ საკმაოდ არასახარბიელო ადგილი დაიკავა. თუმცა, საინტერესოა, რომ ქართველი გამოკითხული ბავშვების ერთმა პროცენტმა უმაღლესი ქულა დაიმსახურა. პრეზენტაციაზე ვთქვი და თქვენთანაც გავიმეორებ: კარგია, რომ საქართველოში მუშაობს მრავალი ფონდი, რომელიც შეეწევა შეზღუდული უნარების მქონე თუ სოციალურად დაუცველ ბავშვებს. ასევე უნდა არსებობდეს ფონდი, ორგანიზაცია, რომელიც გამორჩეულად ნიჭიერ მოზარდებს დაეხმარებოდა, უპატრონებდა. სახელმძღვანელოების გარდა, მათ დამატებითი წიგნებით, სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურით მომარაგება ესაჭიროებათ, ხშირად უნდა მონაწილეობდნენ ოლიმპიადებში და ამისთვის მომზადების საშუალება ჰქონდეთ. მახსოვს, ამერიკაში, რონალდ რეიგანის პრეზიდენტობისას, მათემატიკის საერთაშორისო ოლიმპიადა ჩატარდა და გამარჯვებულებს პრეზიდენტი თავის რეზიდენციაში შეხვდა, უხვად დაასაჩუქრა და კურორტებზე დასასვენებელი საგზურებიც გადასცა. ჩვენთან უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ოლიპიადები აქტიურად იმართება, ეს ძალიან კარგია. ნიჭიერ ადამიანებს დაცვა სჭირდება. სხვათაშორის, გენიოსებს საყოფაცხოვრებო საკითხების მოგვარება უჭირთ, ისინი სხვა მიმართულებით განვითარებული ხალხია.

— ამ საქმეში გამომცემლობებიც უნდა მონაწილეობდეს, ასე არ არის?

— რასაკვირველია, ამ მიმართულებას გამომცემლებიც უნდა ემსახურებოდნენ. ჩვენ გამოვცემთ სერიას სამეცნიერო-პოპულარული წიგნებისა, რომელშიც მოზარდებს ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის და სხვა დარგებში არსებულ მიღწევებზე, ახალ აღმოჩენებსა თუ გამოგონებებზე მოვუთხრობთ, მსოფლიო მეცნიერებების სიახლეებს ვაწვდით. ამ სერიის წიგნები ახალგაზრდებისთვის გასაგებ ენაზეა დაწერილი და უფროსების ინტერესსაც აკმაყოფილებს. ეს ჩვენი ერთ-ერთი მიმართულებაა. ამ მხრივ გასაკეთებელი კიდევ ბევრი გვაქვს.

— კიდევ რა მიმართულებები, რა ძირითადი პრიორიტეტები გააჩნია „ინტელექტს“?

— ჩვენი ერთ-ერთი წარმატებული საგამომცემლო პროექტია „ნობელის პრემიის ლაურეატები“. მოგეხსენებათ, რომ მსოფლიოს ასზე მეტი ნობელიანტი მწერალი ჰყავს. გვაქვს სურვილი ყველა ეს ავტორი თითო წიგნად გამოვცეთ. ჯერ-ჯერობით ორმოცი წიგნია გამოცემული. საზოგადოებაში გავრცელებულია აზრი, რომ ავტორს „ნობელი“ ერთი კონკრეტული ნაწარმოებისთვის ენიჭება, ამიტომ ხშირად გვეკითხებიან: „ის ნაწამოები დაბეჭდეთ, რომლისთვისაც მწერალმა პრემია მიიღო?“ სინამდვილეში, ისტორიულად, სულ რამდენიმე შემთხვევაა ცნობილი, როცა მწერალს ეს ჯილდო ერთი ნაწარმოების გამო გადაეცა. ძირითადად კი, მთელი ლიტერატურული მოღვაწეობა, შემოქმედება ფასდება. ნობელიანტთა სერიის თითოეულ გამოცემაზე მუშაობისას, არაერთ კომპონენტს ვითვალისწინებთ: გვინდა წიგნები ერთნაირი მოცულობისა იყოს. გვაინტერესებს ავტორის შემოქმედების თუნდაც ერთი ეტაპის სრულად წარმოჩენა. ვითვალისწინებთ იმასაც, აქვს თუ არა მწერალს, ან ნაწარმოებს რაიმე კავშირი საქართველოსთან. ასე მოხდა, მაგალითად, კნუტ ჰამსუნის გამოცემისას. მართალია მას უამრავი კარგი რომანი აქვს შექმნილი, მაგრამ ჩვენ მისი „კავკასიაში მოგზაურობა“ ვარჩიეთ.

ნობელის პრემიის ლაურეატების საგამომცემლო პროექტი ბოლომდე რომ მივიყვანოთ, ორი-სამი წელი კიდევ დაგვჭირდება.

— კი მაგრამ, ამ პრემიის გადაცემა ხომ ყოველწლიურად ხდება. ეს დაუსრულებელი პროცესია...

— მერე რა, დავეწევით. 2007 წლის ნობელიანტ დორის ლესინგის „ნაპრალი“ 2008-ში გამოვეცით, შარშან კი, „ნობელი“ ლეკლეზიომ მიიღო, მისგან საავტორო უფლება უკვე მიღებული გვაქვს და წელს გამოვცემთ. ახლახან, ეს პრემია გერმანელმა ქალბატონმა მიიღო, მას ამ დღეებში მივწერეთ.

— ვფიქრობ, ამ საგამომცემლო პროექტს ქართველი მწერლები განსაკუთრებით მიესალმებიან. სერიის საშუალებით „ნობელიანტ“ ლიტერატურას ისინი მშობლიურ ენაზე გაეცნობიან...

— რა თქმა უნდა. ხშირად მეკითხებიან, ამ პროექტის მიზანი რა არისო. ჯერ ერთი, ქართველი მკითხველი თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს გაეცნობა, მეორეც – ჩვენმა მწერლებმა უნდა ნახონ რა ლიტერატურა იქმნება! უნდა ნახონ, რომ არაფერი განსაკუთრებული - ქართველი ავტორი რომ ვერ დაწერს – მსოფლიოში არ იწერება! გამიგეთ?! თუნდაც ოთარ ჭილაძე (ის წარდგენილი იყო ნობელზე) სწორედ ამ რანგის მწერალია! ჩვენ უნდა ვიცოდეთ რა სიმაღლეებზეა საუბარი, რომ მეტი სითამამე შევიძინოთ, ხოლო თუ დავინახეთ, რომ ჩამოვრჩით – მიზანი გვქონდეს.

— ამ ძალიან მნიშვნელოვანი საგამომცემლო პროექტის მიმართ თქვენეულ მიდგომას თუ გავითვალისწინებთ, თითოეულ გამოცემაზე მუშაობა - ტექსტების შერჩევა, წიგნის მოცულობისა და სხვა საკითხების გათვალისწინება - საკმაოდ შრომატევადი საქმეა. ამას საავტორო უფლების მიღებისთვის თადარიგის დროულად დაჭერა და პასუხის მოლოდინიც ემატება... ამას დიდი დრო მიაქვს?

— ზოგი ოპერატიულად გწერს პასუხს, ზოგიც აგვიანებს. შარშან, ლეკლეზიოს „ნობელის“ მიღებისთანავე მივწერეთ, პასუხი კი ახლახან ჩამოგვივიდა. მიზეზი ალბათ გასაგებია: ახალი ნობელიანტი მთელი მსოფლიოს გამომცემლობებს აინტერესებს.

— თარგმანის შესრულებაც გარკვეულ დროს საჭიროებს. ორიგინალიდან თარგმნით?

— ოთხმოცდათხუთმეტი პროცენტი ორიგინალიდან თარგმნილი წიგნებია. ვთარგმნით არაბულიდან, ებრაულიდან, იტალიურიდან... ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ტექსტებზე აღარაფერს ვამბობ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მთარგმნელობით პროცესში უამრავი ახალგაზრდა სპეციალისტია ჩაბმული, თუმცა ვთანამშრომლობთ ისეთ კლასიკოსთანაც, როგორიც ბატონი ბაჩანა ბრეგვაძეა. ამ საქმისთვის მთელი ძალები გავაერთიანეთ. ქართული მთარგმნელობითი სკოლის განვითარება-გაძლიერებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

— გამომცემლობის ძირითად მიმართულებებზე ვსაუბრობდით...

— გამოვცემთ სერიას „ასი ლექსი“. გვაქვს სურვილი, ასი ქართველი პოეტის ას-ასი ლექსი წიგნებად შევკრათ. უკვე ორმოცამდე ავტორი გამოვეცით. როგორც ჩანს სწორად გავთვალეთ – როცა პოეტის შემოქმედება ტომებად იბეჭდება და მაგარი გარეკანის მქონე წიგნებად გამოდის, ასეთ გამოცემებს ფასიც მაღალი აქვს, ეს ყველაფერი, თითქოს, პოეზიასაც ამძიმებს. ჩვენმა პროექტმა კი გაამართლა – მოცულობით პატარა, მოხერხებული ზომის წიგნებია და ფასიც — შესაბამისი. ძირითადად, ამ





სერიის მკითხველი ახალგაზრდა თაობაა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სამედიცინო უნივერსიტეტის ეზოებში წიგნების გამოფენა-გაყიდვა გაიმართა. გაოცებული დავრჩი, სტუდენტები უწყვეტად მოდიოდნენ, ზოგს შეყვარებული მოჰყავდა და ლექსების წიგნებს ჩუქნიდნენ, ზოგიერთი მათგანი არჩევდა — „მუხრანის ლექსები მაქვს, ტერენტი არ მაქვს“... ჩანდა ახალგაზრდების ლტოლვა პოეზიისკენ. ასე რომ, საკმაოდ წარმატებული პროექტი გამოვიდა. ბოლომდე თვითონაც ვერ გაგვიაზრებია, წარმატების ასეთ ველში როგორ მოვხვდით. თავიდან გალაკტიონის ასი ლექსით დავიწყეთ, შემდეგ ტერენტი, ტიციანი გამოვეცით და მივყევით... ზოგი გვაკრიტიკებს, საბჭოთა პოეტებს ბეჭდავთო. ასე არ არის. განა ნიკო სამადაშვილი საბჭოთა პოეტია? ან ტიციანი? ან თუნდაც ბესიკ ხარანაული? ჩვენი ავტორებიდან ზოგი ისე გარდაიცვალა, წიგნის გამოცემაც ვერ შეძლო, ვთქვათ, ლაშა გახარია. ბევრის პოეზია წლების განმავლობაში აკრძალული იყო, ბევრიც დახვრიტეს. სწორედ რომ ეს სერია საბჭოთა პოეზიის ანთოლოგია არ გახლავთ, ამიტომაც ბევრი მკითხველი გვყავს. პროექტის ნამდვილი გამარჯვება მაშინ ვირწმუნე, როცა ქორწილში პატარძალს „ასი ლექსის“ სრული კომპლექტი აჩუქეს.

— როგორც გამომცემელი, როგორ წიგნს ანიჭებთ უპირატესობას?

— ერთ სემინარზე გახლდით, იგი წიგნის მარკეტინგს ეხებოდა. ერთმა უცხოელმა ასეთი შეკითხვა დასვა: „რომელია კარგი წიგნი?“ წიგნის ხარისხის განმსაზღვრელ მთავარ ფაქტორად ზოგმა ტექსტის მაღალმხატვრული დონე დაასახელა, ზოგმაც – ვიზუალური მხარე... არავის უთვამს ის, რასაც შეკითხვის ავტორი ელოდა: „კარგია წიგნი, რომელიც კარგად იყიდება“. ამ მხრივ „ასი ლექსიც“ და „ნობელის პრემიის ლაურეატებიც“ კარგი პროექტები გამოვიდა. ზოგჯერ, ექსპერტები გამომცემლებს ურჩევენ: „პირად ემოციას წიგნში ნუ ჩადებთ, შეხედეთ მას როგორც პროდუქტს, რომელიც ბაზარზე უნდა გაიტანოთ“... ხშირად განგვიხორციელებია პროექტი, რომელიც კომერციული თვალსაზრისით მომგებიანი არ ყოფილა, მაგრამ მორალური თვალსაზრისით მოგება მოუტანია.

— წარმატებული პროექტებიდან კიდევ რომელს დაასახელებდით?

— დავიწყეთ საგამომცემლო პროექტი „მცირე პროზა“, რომლის ფარგლებშიც უკვე ნიკოლო მიწიშვილის, ვარლამ შალამოვის და სულ ახლახანს ანა კალანდაძის პროზა დაიბეჭდა.

აღვადგინეთ ჟურნალი „ქართული მწერლობა“, რედაქტორია ბატონი ლევან ბრეგაძე. უკვე ათი ნომერი გამოვეცით, ორ თვეში ერთხელ გამოდის.

დიდ ყურადღებას ვაქცევთ ახალგაზრდა ქართველი მწერლებისა და პოეტების შემოქმედებას. ცხადია, იმის ფუფუნება არ გვაქვს, რომ ყველა გამოვცეთ. ჩემი მოსაზრება ასეთია: ახალგაზრდა შემოქმედს უნდა ჰქონდეს საშუალება თავისი ნიჭი გამოამჟღავნოს, თავისი შემოქმედება საზოგადოებას გააცნოს. საბაზრო ეკონომიკა სწორედ



ამას ითვალისწინებს: ვისაც რა უნდა – დაბეჭდოს, მკითხველი თავად გააკეთებს არჩევანს და ბაზარი დაარეგულირებს.

ჩვენ ერთი სულიერად ავადმყოფი ქალბატონის ლექსები გამოვეცით. ეს არ იყო მაღალი რანგის პოეზია, მაგრამ ავადმყოფი ადამიანისთვის წიგნი წამალი აღმოჩნდა.

— მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ადამიანს აძლევთ საშუალებას საკუთარი შემოქმედება მკითხველს გააცნონ, ავტორის მიმართ გარკვეული მოთხოვნა ალბათ მაინც გექნებათ. ყველას განურჩევლად ხომ არ დაბეჭდავთ?

— რა თქმა უნდა. ამ ზღვა ხალხში ჩვენ ორი ახალგაზრდა გამოვარჩიეთ – ნინო სადღობელაშვილი და ზვიად კვარაცხელია. მიმაჩნია, რომ ისინი ქართულ მწერლობაში თავის სიტყვას იტყვიან. ნინო თვითნაბადი შემოქმედია. მისი ორი წიგნი – ლექსების კრებული და მოთხრობები პირველად ჩვენ გამოვეცით. სწორი ნაბიჯი რომ გადავდგით, ისიც ადასტურებს, რომ ნინოს მოთხრობების კრებულის „ბამბაზიის სამოთხის“ მიხედვით, ქუთაისის თეატრმა სპექტაკლი დადგა...

— ჩვეულებრივ ასე ხდებოდა, გამომცემლები აღმოაჩენდნენ ხოლმე ახალგაზრდა ნიჭიერ შემოქმედს, მასში მომავალ ცნობილ ავტორს დაინახავდნენ და ცდილობდნენ დახმარება გაეწიათ, სურდათ საზოგადოებას იგი მათი საშუალებით გაეცნო...

— ნიჭი არ დაიკარგება. ჩვენ რომ არა, ნინო თავის გზას მაინც იპოვიდა. თუმცა ახლა გვახარებს, რომ ახალი კარგი ავტორი გვყავს.

რაც შეეხება ზვიად კვარაცხელიას, ის ზუგდიდელია, უნივერსიტეტი იქ დაამთავრა. ახლა მის პროზას თურქულად თარგმნიან. საერთოდ, ვფიქრობ, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ახალგაზრდა ავტორებს რეგიონებში. ქართული ლიტერატურა ხომ მხოლოდ თბილისში არ იქმნება. პროვინციები მდიდარია ნიჭიერი ადამიანებით. ლიტერატურული ცენტრებია სამეგრელოში, კახეთში, იმერეთში... გალაკტიონი, ასევე ტიციანი თუ სხვა ცისფერყანწელები პირველი პოეტები იყვენენ ქუთაისში, იქიდან წამოვიდნენ... თბილისში სხვადასხვა ლიტერატურული კონკურსი ტარდება. სამწუხაროდ, რეგიონების წარმომადგენლებს შესაფერისი ყურადღება არ ექცევათ. მე პირიქით მოვიქცეოდი, მივცემდი მათ საშუალებას თანაბარ პირობებში საკუთარი ოსტატობა ეჩვენებინათ. თორემ, ხომ ხედავთ, კულტურის განვითარების თვალსაზრისითაც, საქართველო თავკობმალას დაემსგავსა. კარგი იქნება თუ ლიტერატურული მიმართულების გაზეთებიც რეგიონებს მეტ ყურადღებას მიაქცევენ...

— საინტერესო იდეაა...

— სხვათაშორის, ზვიად კვარაცხელიას ლიტერატურული გზა ოთარ ჭილაძემ დაულოცა. ბატონი ოთარი კი ტყუილად არავის შეაქებდა.

ეს ორი ავტორი გამოვეცით და ვფიქრობ, სწორადაც მოვიქეცით. როცა გავმდიდრდებით, საშუალო დონის პოეტების ლექსებსაც დავბეჭდავთ. საშუალებას მივცემთ შემოქმედებითად გაიზარდონ, მეტი იმუშაონ საკუთარ თავზე, ტექსტებზე. ყველა ავტორი იმთავითვე ძლიერი არ არის, ბევრი დროსთან ერთად იზრდება, იხვეწება... მათ გამომცემლები უნდა ეხმარებოდნენ, თუმცა ეს იოლი არ არის, ყველაფერს თანხები სჭირდება... ჩვენთან ასეთი პროექტები სასკოლო სახელმძღვანელოების რეალიზაციიდან შემოსული თანხებით ხორციელდება.

— მაშ, სასკოლო სახელმძღვანელოებზე ვისაუბროთ.

— „ინტელექტი“ საგამომცემლო ბაზარზე არაქართულენოვანი სკოლებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელოებით გამოჩნდა. ეს 1994-1995 წლებში მოხდა. მაშინ, როცა საქართველოში საკმაოდ დაძაბული პოლიტიკური ვითარება იყო, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში ქართული ენის სახელმძღვანელოები შევიტანეთ. მცირე თანხებით და ძალიან შეზღუდული ტირაჟით დავიწყეთ. შემდეგ გამოვეცით საქართველოს ისტორია და საქართველოს გეოგრაფია აზერბაიჯანულ, რუსულ და სომხურ ენებზე. მოგვიანებით კი ქართული სკოლების სახელმძღვანელოთა კონკურსებში გავიმარჯვეთ. დღეს, სამოცზე მეტი დასახელების სახელმძღვანელოს გამოვცემთ. მოგეხსენებათ, ალტერნატიული სახელმძღვანელოები არსებობს და კონკურენცია ძალზე მაღალია. მიუხედავად იმისა, რომ განათლების რეფორმას მოწინააღმდეგეებიც ჰყავს, ჩემის აზრით, ის მაინც საკმაოდ წარმატებულია. ჰუმანიტარული საგნების სპეციალისტი არ გახლავართ, მაგრამ საბუნებიმეტყველო საგნებს რაც შეეხება, ნებისმიერ სკეპტიკოსს შემიძლია დავუმტკიცო, რომ სასკოლო რეფორმამ გაამართლა. ყოველწლიურად დავდივართ ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე, იქიდან უცხოური სახელმძღვანელოები ჩამოგვაქვს, ვეცნობით და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეზე ზოგადი წარმოდგენა გვექმნება. მინდა დაგარწმუნოთ, რომ ჩვენი წიგნები განვითარებული ევროპული ქვეყნების სახელმძღვანელოების რანგისაა.

— ისევ ლიტერატურას დავუბრუნდეთ. თქვენი გამომცემლობა ფრანკ-

ფურტში გამართულ საერთაშორისო ბაზრობის მუდმივი მონაწილეა. რამდენად მაღალია ინტერესი ქართული წიგნის მიმართ?

— ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველოს სტენდი პოსტსაბჭოთა ქვეყნების დარბაზშია წარმოდგენილი. ის განსაკუთრებულად ლამაზია და მიმზიდველად გამოიყურება. ქართული წიგნის მიმართ ინტერესიც თანდათან მატულობს.

— ალბათ დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართველი ავტორების თარგმნა უცხო ენებზე და მათი შემოქმედების გაცნობა საერთაშორისო მკითხველისათვის. ამ მიმართულებით თუ გქონიათ მცდელობები? თქვენ ახსენეთ, რომ ზვიად კვარაცხელიას მოთხრობები თურქულ ენაზე ითარგმნება...

— ეს ერთი რომელიმე გამომცემელის საქმე არ არის, ერთიანი პოლიტიკა უნდა არსებობდეს და ყველა მეტ-ნაკლებად ჩართული უნდა იყოს. როგორც ჩვენ ვითვლით თითო „კაპიკს“, ისე – უცხოელი გამომცემელიც. მან უნდა შეისწავლოს რა ლიტერატურასთან აქვს საქმე, ბევრი კომპონენტი გაითვალისწინოს, რომ გარისკვად ღირდეს. ისე, მე მაქვს არც თუ საიდუმლო ფორმულა, თუ როგორ უნდა მიიღოს ქართველმა მწერალმა ნობელის პრემია: მისი ნაწარმოებები აუცილებლად იმ ენაზე უნდა ითარგმნოს, ნობელის კომისიის განხილვას რომ ექვემდებარება. შემდეგ, შესაბამისი რეკლამა უნდა უძღოდეს წინ. ოქრო რომ გქონდეს გასაყიდი, ამასაც რეკლამა უნდა. „ფრომოუშენს“ რომ ეძახიან – ამაზე უნდა იყოს ორიენტირებული. მხოლოდ წარდგენა საქმეს ვერ უშველის.

— ბატონო კახმეგ, პროფესიით ფიზიკოსი ბრძანდებით. რატომ გადაწყვიტეთ ასე რადიკალურად შეგეცვალათ თქვენი ცხოვრება?



— ოო, თამუნია, თამუნია!.. თქვენ მეკითხებით ჩემს პირველ სიყვარულზე, ყმაწვილობაში რომ მიყვარდა. ფიზიკა ჩემთვის უკვე ასაკოვანი ქალბატონია, მაგრამ იგი ჩემგან იმსახურებს ყველაზე უკეთესს, რისი თქმაც შეიძლება ჭარმაგ ქალზე... მაგრამ, სულ სხვაა სიყვარული უკანასკნელი...

— წიგნის ვიზუალურ მხარეზე როგორ ზრუნავთ, მის ხარისხს ყურადღებას რამდენად აქცევთ?

— მხატვრები, რედაქტორები მოწვეული გვყავს. დიზაინერთა ნაწილი მუდმივ შტატში მუშაობს, დანარჩენთან ხელშეკრულებებს ვაფორმებთ. კარგი გამოცდილება დაგროვდა. შესანიშნავი ახალგაზრდული კოლექტივი გვყავს. დიახ, „ინტელექტი“ უკვე თხუთმეტი წლისაა.

— სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?

— „ნობელის პრემიის ლაურეატები“ და „ასი ლექსი“ თუ დავასრულეთ, ვიტყვი: ქართულ საგამომცემლო საქმეს, სხვასთან ერთად, მეც შევეწიე-თქო.

ახალგაზრდა ნიჭიერი მწერლებისა და პოეტების მხარდაჭერასაც არ შევწვეტთ. გავაგრძელებთ, ასევე, სახელმძღვანელოების გამოცემას... ქართველ მკითხველს მრავალი კარგი წიგნით გავახარებთ.

ესაუბრა თამარ ჟურული



სიუზან ზონტაგი (ნამდვილი სახელი: სიუზან როზენბლატი - 1933 - 2004) — ამერიკელი ესეისტი, რომანისტი, ინტელექტუალი, კინორეჟისორი და აქტივისტი. მისი ესეების პირველი კრებული "ინტერპრეტაციის წინააღმდეგ" 1966 წელს გამოვიდა. მას მოჰყვა 1969 წელს გამოცემული წიგნი "რადიკალური ნების სტილები" და 1980 წელს გამოსული "სატურნის ნიშნით". მას განსაკუთრებით აინტერესებდა ევროპული კინემატოგრაფი, ფოტოგრაფია, ევროპელი მწერლები და ფილოსოფოსები. ზონტაგი ხშირად წერდა მაღალი და დაბალი ხელოვნების გადაკვეთის შესახებ. ათეული წლების განმავლობაში იგი წერდა რომანების, ფილმების და ფოტონამუშევრების შესახებ. რამდენიმე წიგნში წერდა კულტურის დამოკიდებულებაზე ავადმყოფობის მიმართ. უკანასკნელ არამხატვრულ ნაწარმოებში "სხვათა ტკივილის შესახებ" იკვლევდა ხელოვნებასა და ფოტოგრაფიას ზნეობრივი თვალსაზრისით.

სიუზან ზონტაგი

ინტერპრეტაციის წინააღმდეგ

„შინაარსი გაელვებასავით მოკლე წუთიერი შთაბეჭდილებაა“.

უილიამ დე კუნინგი
(ინტერვიუდან)

„მხოლოდ უგუნური ადამიანები არ მსჯელობენ გარეგნობის მიხედვით. სამყაროს მისტერია ხილულია და არა — უხილავი“.

ოსკარ უაილდი
(პირადი წერილიდან)

1

ხელოვნების თავდაპირველი გამოცდილება უსათუოდ მის ჯადოსნურობასთან, მაგიურობასთან წილნაყარობას გულისხმობს. ხელოვნება რიტუალის ინსტრუმენტი იყო (გავიხსენოთ ლასკოს გამოქვაბული, ალტამირას, ნიოს, ლა პასიეგას და სხვა გამოქვაბულების კედლებზე შესრულებული ნახატები). მისი უძველესი თეორია, რომელიც ბერძენმა ფილოსოფოსებმა შემოგვთავაზეს, მიუთითებდა, რომ ის რეალობის ერთგვარი იმიტაცია, მიბაძვა, მიმიკრიაა.

სწორედ ამ დროს წამოიჭრება ხელოვნების ფასეულობის საკითხი. მიმეტური თეორია, თავისი არსით, ხელოვნებას საკუთარი ადგილის და მნიშვნელობის გამყარებისკენ მოუწოდებს.

პლატონის თეორია, როგორც ჩანს, იმ აზრის განვრცობისთვის შეიქმნა, რომ ხელოვნების ღირებულება, როგორც წესი, მერყეევია. ვინაიდან ფილოსოფოსმა ჩვეულებრივი, მატერიალური საგნები მიმბაძველობის ობიექტებად, რაღაც სტრუქტურის გაურკვეველი ფორმების იმიტაციად მიიჩნია, ამ თეორიის თანახმად, ვთქვათ, საწოლის ამსახველი საუკეთესო ტილოც კი მხოლოდ "მიბაძვის მიბაძვა" იქნებოდა. პლატონისთვის ხელოვნებას ნაკლები სარგებელი მოაქვს (დახატულ საწოლზე ვერ დაიძინებ) და არც ნამდვილია, ამ სიტყვის უმკაცრესი გაგებით. არისტოტელეს მიერ ხელოვნების დასაცავად მოხმობილი არგუმენტები როდი ეწინააღმდეგება პლატონის შეხედულებას იმის შესახებ, რომ ყოველგვარი ხელოვნება ილუზორული და შესაბამისად, სიცრუეა, მაგრამ ის კოლეგას უსარგებლობის თემაზე ედავება. არისტოტელეს თანახმად, ტყუილია თუ არა, ხელოვნებას მაინც აქვს გარკვეული მიზანი, ვინაიდან ის თერაპიის ერთგვარი ფორმაა (კათარზისი). "პოეტიკის" ავტორის მიხედვით, ყველაფრის მიუხედავად, ხელოვნება მედიცინის თვალსაზრისით დიდად სასარგებლოა, რადგან საშიშ ემოციებს მუსრავს.

პლატონისეული ხედვა და არისტოტელეს ბაძვის (მიმეზისი) თეორია მაინც ტყუპისცალები არიან იმ გაგებით, რომ ხელოვნება ყოველთვის მეტაფორულია, მაგრამ მიმბაძველობის თეორიის დამცველებმა არ უნდა დახუჭონ თვალი დეკორატიული და აბსტრაქტული ხელოვნების შეფასებისას. მცდარი მოსაზრება, რომლის თანახმადაც, ხელოვნება აუცილებლად "სინამდვილეს" ასახავს, შეიძლება ბაძვის თეორიის სივრციდან გაუღწევლად, საპირისპიროდ შემობრუნდეს ან გაბათილდეს.

საქმე ისაა, რომ ხელოვნების დასავლური გაგება და ამის შესახებ გამოთქმული აზრები, ბერძნული თეორიის – ხელოვნება, როგორც მიმიკრია ან რეპრეზენტაცია – საზღვრებში დარჩა. ამ თეორიის გამოა, რომ ხელოვნება, როგორც ასეთი, პრობლემურ საკითხად იქცევა და დაცვას საჭიროებს. სწორედ ხელოვნების დაცვა გულისხმობს იმ უცნაური შეხედულების გადახედვას, რომლის მიხედვითაც, ჩვენ შევეჩვიეთ რაღაცას ვუწოდოთ "ფორმა" და გავმიჯნოთ იმისგან, რასაც რახანია "შინაარსი" დავარქვით.

დღესაც კი, როცა შემოქმედთა და კრიტიკოსთა უმრავლესობამ უკვე უკუაგდო ხელოვნების, როგორც ემპირიული სინამდვილის რეპრეზენტაციის თეორია — იმ თეორიის სასარგებლოდ, რომ ხელოვნება სუბიექტური უფრაა — ასე განსაჯეთ, იგი ბაძვის ცნების უმთავრეს თვისებას კვლავაც ინარჩუნებს. მაგალითად, როდესაც ჩვენ ვახდენთ ხელოვნების ნიმუშის ფორმულირებას რომელიმე სურათის მოდელზე (ხელოვნება, როგორც რეალობის ამსახველი სურათი) ან ჩანაფიქრის მოდელზე (ხელოვნება, როგორც ხელოვანის განზრახვა), წინა პლანზე მაინც შინაარსი დგება. შინაარსი ალბათ შეიცვალა და ჩვენს დროში იგი შეიძლება ნაკლებად ხატოვანი და რეალისტურია. მაგრამ დღესაც თვლიან, რომ ხელოვნების ნიმუში შინაარსია ან, როგორც ხშირად ამბობენ ხოლმე ახლა, ხელოვნების ნიმუში მხოლოდ მისი განსაზღვრების შემდეგ გვეუბნება მთავარს ("რასაც X ამბობს, არის...", "რის თქმასაც X ცდილობს, არის... ", "რაც X-მა თქვა, არის..." და სხვა).

2

სამწუხაროდ, არცერთ ჩვენგანს არ შეუძლია ამ უთვალავ თეორიათაგან, რომელიმეს მაინც ის უბრალოება დაუბრუნოს, რომლის მიხედვითაც ხელოვნებას სულაც არ სჭირდებოდა თვითგასამართლება, როცა არავინ კითხულობდა, თუ რას ამბობდა ხელოვნების ნიმუში, რადგან მან იცოდა (ან ფიქრობდა, რომ იცოდა) რასაც ამბობდა. ამიერიდან ცნობიერების დასასრულამდე ჩვენ ხელოვნების დაცვის ამოცანით ვართ შეპყრობილი. უბრალოდ, ისღა დაგვრჩენია, უსასრულოდ ვიკამათოთ ერთი ან მეორე მეთოდით. ჩვენ ვალდებული ვართ, თანამედროვე მოთხოვნილებების და პრაქტიკის შესაბამისად, გავანადგუროთ ხელოვნების დაცვის ან გასამართლების ნებისმიერი საშუალება, თუკი იგი ჩლუნგი, მომაბეზრებელი ან უგრძნობი ხდება და თანამედროვე მოთხოვნებს და პრაქტიკებს ვერ პასუხობს.

დღეს ასეთ მდგომარეობაშია შინაარსის იდეა. რა მნიშვნელობა აქვს, რა იყო წარსულში. "შინაარსის იდეა" დღეს უმთავრესად დაბრკოლებად და მოსაბეზრებლად იქცა. იგი შეფარული ან აშკარა ფილისტერულობის უპირველესი ნიშანთაგანია. მართალია, ხელოვნების სხვადასხვა დარგის განვითარება დღეს შეიძლება გვაფიქრებინებდეს, რომ ამ გზას თანდათან ვშორდებით, მაგრამ ხელოვნების და შინაარსის გაიგივების თვალსაზრისი ჯიუტად ინარჩუნებს ჰეგემონიას. ეს იმის გამო, რომ იმ ხალხში, რომელიც კულტურას "სერიოზულად განსჯის", "შინაარსის იდეა" უკვდავყოფილია. შინაარსის მნიშვნელობის გადაჭარბება ინტერპრეტაციის მუდმივი გეგმაა და პირიქით – ეს არის ხელოვნების ნიმუშთან მიდგომის ჩვევა, მისი განმარტების მიზნით.

3

რასაკვირველია, მე არ ვგულისხმობ ინტერპრეტაციას ყველაზე ფართო გაგებით, იმ გაგებით, რომლის თანახმადაც ოდესღაც ნიცშემ სამართლიანად შენიშნა: "არ არსებობს ფაქტები, არსებობს მხოლოდ ინტერპრეტაციები". მე ვგულისხმობ აზროვნების ცნობიერ მოქმედებას, რომელიც გარკვეული კოდის ილუსტრაციას, ინტერპრეტაციის ერთგვარ "წესებს" წარმოქმნის.

იგი გულისხმობს მთელი რიგი ელემენტების (X, Y, Z და ა.შ.) ამოგლეჯას ნაშრომიდან. ინტერპრეტაციის ამოცანა, ფაქტობრივად, იგივეა, რაც განმარტება. განმმარტებელი ამბობს: შეხედე, ნუთუ ვერ ხედავ, რომ X სინამდვილეში არის ან ნიშნავს A-ს? რომ Y არის B? და რომ Z სინამდვილეში C-ს ნიშნავს?

რა გარემოებას შეეძლო მიეცა ბიძგი ტექსტის ტრანსფორმაციის ამ უცნაური პროექტისთვის? ისტორიამ პასუხად არაერთი საინტერესო მაგალითი შემოგვინახა. ინტერპრეტაცია პირველად გვიანდელი ხანის კლასიკური ანტიკურ კულტურაში ჩნდება, როდესაც მითისადმი რწმენა მეცნიერული განმანათლებლობის მიერ შემოთავაზებულმა სამყაროს ხედვის "რეალურმა" პრინციპმა დაამსხვრია. კითხვას, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა პოსტ-მითოსურ ცნობიერებას — რელიგიური სიმბოლოების კანონზომიერება — პასუხი გაეცა; ანტიკური ტექსტები, თავიანთი პირვანდელი სახით, მიუღებელი გახდა. ამის შემდეგ, ინტერპრეტირების მეთოდი "თანამედროვე" მოთხოვნების მოსარგებად გამოიყენეს. ასე რომ, სტოიკოსებმა, თავიანთ შეხედულებებთან შესათანხმებლად — რომ ღმერთები ზნეობრივი უნდა იყვნენ — ზევსის და მისი ბობოქარ ამალის პრიმიტიული თვისებები ჰომეროსის თქმულებაში ალეგორიის, როგორც ხერხის გამოყენებით გაამართლეს. ისინი ხსნიდნენ, რომ ზევსის ღალატით ლეტოსთან ჰომეროსმა ძალასა და სიბრძნეს შორის ურთიერთკავშირი დაგვანახა. ამგვარადვე, ფილონ ალექსანდრიელმა ბიბლიის რეალური ისტორიული ნარატივები სულიერ პარადიგმებად წარმოადგინა. მისი განმარტებით, ეგვიპტიდან გამოსვლა, უდაბნოში ორმოცწლიანი ხეტიალი და აღთქმულ ქვეყანაში შესვლა სინამდვილეში ადამიანის სულის ემანსიპაციის, განსაცდელის და საბოლოო ხსნის ალეგორია იყო.

ამრიგად, ინტერპრეტაცია ტექსტის ზუსტ მნიშვნელობასა და მკითხველის მოთხოვნებს შორის შეუთანხმებლობას გულისხმობს. ის დაეძებს ამ უთანხმოების გადაჭრის გზებს. საქმე ისაა, რომ გარკვეული მიზეზების გამო, ტექსტი მიუწვდომელი გახდა. თუმცა, მისი უგულვებელყოფა შეუძლებელია. ინტერპრეტაცია არის ძველი ტექსტის შენარჩუნების რადიკალური სტრატეგია, რომელიც უარყოფისთვის არ ემეტებათ და ამ მიზნით აღადგენენ მას. კომენტატორი ტექსტის მონტაჟის და გადასწორების გარეშე, უბრალოდ ცვლის მას. მაგრამ ამას არ აღიარებს და ამტკიცებს, რომ ტექსტის გაგებაში სინათლე შეაქვს და მის ჭეშმარიტ მნიშვნელობას ააშკარავებს. რაც არ უნდა მნიშვნელოვნად შეცვალოს კომენტატორმა ტექსტი (ცნობილი მაგალითია აშკარად ეროტიკული დატვირთვის მქონე "ქება ქებათას" რაბინული და ქრისტიანული "სულიერი" ინტერპრეტაციები), იგი მაინც ამტკიცებს, რომ ნაწერის არსს განმარტავს.

ინტერპრეტაცია ჩვენს დროში კიდევ უფრო გართულდა. თანამედროვე ინტერპრეტატორთა გულმოდგინება ხშირად ნაკარნახევია არა რთული ტექსტის მიმართ მოწიწებით (რომლის მიღმაც შეიძლება აგრესია იფარებოდეს), არამედ ღია აგრესიით, სიცხადის დაუფარავი უგულვებელყოფით. ინტერპრეტაციის ძველი სტილი არნახული ჟინიანობით გამოირჩეოდა, მაგრამ მასში მაინც იგრძნობოდა პატივისცემა; იგი პირდაპირ მნიშვნელობაზე დიდ უპირატესობას სხვა მნიშვნელობას ანიჭებდა. ინტერპრეტაციის თანამედროვე სტილი ტექტს გამოშიგნავს და ამით ანგრევს მას; იგი ტექსტის "მიღმა" გაღწევას ცდილობს და იმ ქვე-ტექსტის აღმოსაჩენად იღვწის, რომელიც ნამდვილია. ყველაზე გავლენიანი თანამედროვე დოქტრინები (მაგალითად, მარქსის და ფროიდისეული) ისეთი დახვეწილი ჰერმენევტიკული სისტემის ჩამოყალიბებას მიელტვიან, რომელიც აგრესიულობით და ულმობლობით გამოირჩევა. ნებისმიერი ხილული მოვლენა ბრჭყალებშია მოქცეული და როგორც ფროიდი იტყოდა, იგი "ხილულ", უმარტივეს მნიშვნელობადაა მიჩნეული. ჭეშმარიტი, "ფარული" მნიშვნელობის აღმოსაჩენად ეს მარტივი შინაარსი გვერდზე უნდა გადავდოთ. მარქსისათვის სოციალური მოვლენები — რევოლუციები და ომები, ფროიდისთვის კი ინდივიდების ცხოვრებისეული მოვლენები (ნევროტული სიმპტომები და უნებლიეთ წამოცდენილი სიტყვები), ნებისმიერი ტექსტის მსგავსად, ინტერპრეტაციას ექვემდებარება. ტექსტი (ხელოვნების ნიმუშის ან ოცნების მსგავსი) საუკეთესო მიზეზია ინტერპრეტაციისთვის. მარქსის და ფროიდის თანახმად, ამგვარი მოვლენები, ერთი შეხედვით, ლოგიკური და ცხადია, მაგრამ სინამდვილეში, ინტერპრეტაციის გარეშე, მათი გაგება შეუძლებელია. გაგება განმარტებას გულისხმობს. ინტერპრეტაცია ამ ფენომენის სხვა სიტყვებით განმარტება და მისი ეკვივალენტის პოვნაა.

ასე რომ, ინტერპრეტაცია (როგორც ბევრი მიიჩნევს) არც აბსოლუტური ღირებულებაა და არც აზროვნების უნარი, რომელიც შესაძლებლობების გარკვეულ ზედროულ სივრცეშია მოქცეული. ინტერპრეტაცია თავად ექვემდებარება შეფასებას, ადამიანური ცნობიერების ისტორიული განვითარების კონტექსტში. ზოგიერთ კულტურულ კონტექსტში ინტერპრეტაცია განმათავისუფლებელი აქტია. ის შემოწმების, გადამუშავების, გადაფასების, მკვდარი წარსულიდან გაქცევის საშუალებაა, ზოგიერთში კი — რეაქციულობის, უღირსობის, სისუსტის და დესპოტურობის გამოხატულებაა.

4

ისეთი დრო დადგა, რომ განმარტებამ, როგორც ასეთმა, ნეგატიური ელფერი შეიძინა. ხელოვნების ნიმუშის გამოწვლილვით განხილვა წამლავს და რყვნის ჩვენს შეგრძნებებს, ავტომობილისა და მძიმე მრეწველობის კვამლის მსგავსად, რომლებიც ქალაქის ატმოსფეროს აბინძურებს. დღევანდელ ვითარებაში, როდესაც კულტურის კლასიკური დილემა არის ინტელექტის ჰიპერტროფია ენერგიის და მგრძნობელობის უნარის ხარჯზე, "განმარტება" ხელოვნებაზე ინტელექტის რევანშად წარმოგვიდგება.

უფრო მეტიც – ესაა ინტელექტის შურისძიება სამყაროზე. ინტერპრეტაცია სამყაროს გაღარიბებას, ამოწურვას ნიშნავს, როდესაც "მნიშვნელობათა" მოჩვენებითი სამყარო წინა პლანზე გამოდის. ეს მთელი სამყაროს დაპატარავებას — ჩვენს სამყაროში მოქცევას გულისხმობს. ("ეს სამყარო"! თითქოს სხვაც არსებობდეს).

ჩვენი სამყარო ხომ ისედაც საკმაოდ განადგურებული და გამოცლილია. რაღა საჭიროა მისი ასლების შექმნა, ჯობია უშუალოდ შევიგრძნოთ ის, რაც გაგვაჩნია.

5

თანამედროვეობაში ყველაზე ხშირად ინტერპრეტაცია ხელოვნების ნიმუშის მიმართ ფილისტერულ პოზიციას გულისხმობს. ნამდვილ ხელოვნებას იოლად შეუძლია ჩვენი აღელვება. ინტერპრეტაციას ხელოვნების ნიმუში მის შინაარსამდე დაჰყავს და შემდეგ მის კომენტირებას იწყებს. ამით ხელოვნებას საკუთარ სადავეებს უმორჩილებს. ინტერპრეტაცია ხელოვნებას მართვადს ხდის. ამგვარი ფილისტერული პოზიცია ლიტერატურაში უფრო ხშირად იჩენს თავს, ვიდრე ხელოვნების სხვა დარგში. უკანასკნელ ათწლეულებში კრიტიკოსებმა მშვენივრად გაიგეს, რომ მათი ამოცანა ლექსის ან მოთხრობის ელემენტების სხვაგვარი ამოცნობაა. ხანდახან ზოგიერთი მწერალი იმ-

დენად უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდება ხოლმე საკუთარი ხელოვნების შიშველი ძალის წინაშე, რომ საკუთარ ტექსტში მისსავე ინტერპრეტაციას დაუფარავად რთავს, თუმცა ამას მორიდებით, კარგი გემოვნების დამადასტურებელი ირონიით აკეთებს. თომას მანი ამის ნათელი მაგალითია. სხვა ავტორები სიჯიუტეს ინარჩუნებენ და ასეთ დროს კრიტიკოსი ნეტარებით ასრულებს ინტერპრეტაციის მოვალეობას.

მაგალითად, ფრანც კაფკა კრიტიკოსთა არანაკლებ სამი ტიპის მასობრივი აღტაცების ობიექტად იქცა. მათ, ვინც კაფკას ტექსტები წაიკითხეს, როგორც სოციალური ალეგორია, დაინახეს იმედგაცრუების არნახული შემთხვევები და თანამედროვე ბიუროკრატიის შეშლილობა ტოტალიტარულ სახელმწიფოში; ვინც კაფკას პროზა ფსიქოანალიტიკურ ალეგორიად მიიჩნია, მათში მამის მიმართ მწერლის შიშის დეპრესიული გამომჟღავნება, კასტრაციის შიში, საკუთარი იმპოტენციის მძაფრი შეგრძნება, ოცნებისადმი დამონება დაინახა; ხოლო ვინც კაფკას ნაწარმოებები რელიგიურ ალეგორიად ჩათვალა, "ციხესიმაგრეში" კ.-ს მიერ სასუფევლის ძიების ალეგორია ამოიკითხა, რომანში "პროცესი" კი იოზეფ კ. გარდაუვალი და იდუმალი ღვთიური სასჯელის მსხვერპლად მიიჩნია... ხელოვნების კიდევ ერთი ტექსტი, რომელმაც სისხლისმწოველი კრიტიკოსების ყურადღება მიიპყრო, სემიუელ ბეკეტის ნაწარმოებებია. ბეკეტის დახვეწილი დრამები ჩაკეტილი ცნობიერების შესახებ ღმერთისა და ცხოვრების საზრისისგან თანამედროვე ადამიანის გაუცხოებად ან ფსიქოპათოლოგიის ალეგორიად განმარტეს.

პრუსტი, ჯოისი, ფოლკნერი, რილკე, ლოურენსი, ჟიდი... შეიძლება კიდევ ბევრი ავტორი დავასახელოთ. უსასრულოა იმ ავტორთა ჩამონათვალი, ვის განმარტებასაც უამრავი კომენტატორი ცდილობდა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ინტერპრეტაცია უბრალოდ კომპლიმენტი როდია გენიისადმი რიგითი ადამიანის მხრიდან. ეს უფრო რაღაცის გაგების, შეცნობის თანამედროვე გზაა და ნებისმიერი ხარისხის ნამუშევრის მიმართ იყენებენ. მაგალითად, შენიშვნებში, რომელიც ელია კაზანმა ფილმ „ტრამვაი, რომელსაც სურვილი ჰქვია"-ზე მუშაობასთან დაკავშირებით გამოთქვა, ცხადი ხდება, რომ პიესის ეკრანიზების მიზნით, კაზანი უნდა მისულიყო იმ დასკვნამდე, რომ სტენლი კოვალსკი კულტურის განსახიერებაა. ბლანშ დიუბუა კი დასავლურ ცივილიზაციასთან, პოეტურობასთან, ძვირადღირებულ ტანსაცმელთან, მკრთალ განათებასთან, რაფინირებულ გრძნობებთან ასოცირდებოდა, თუმცა, იმავდროულად, ცხოვრებისეული სიმძიმეებისგან გადაღლილის განსახიერებაც იყო. ტენესი უილიამსის განთქმული ფსიქოლოგიური მელოდრამა მხოლოდ ამ განმარტებების შემდეგ გახდა გასაგები: ის აღმოსავლური ცივილიზაციის დაკნინებაზე მიგვანიშნებდა. როგორც ჩანს, ასეც უნდა ყოფილიყო — ფილმი მომხიბვლელი და უხეში სტენლი კოვალსკისა და გაწამებული ლამაზმანის, ბლანშ დიუ ბუას შესახებ.

6

მნიშვნელობა არა აქვს, ხელოვანმა გაიაზრა თუ არა საკუთარი ნამუშევრის განმარტების სამომავლო პერსპექტივა. შესაძლოა ტენესი უილიამსი ფიქრობს, რომ „ტრამვაი" სწორედ იმაზე მოგვითხრობს, რაც მასში კაზანმა ამოიკითხა. ისიც შესაძლებელია, რომ კოქტო „პოეტის სისხლში" და „ორფეოსში" სწორედ იმას გულისხმობდა, როგორც მის ამ ფილმებს განმარტავდნენ შემდგომში — ფროიდისეული სიმბოლიზმისა და სოციალური კრიტიკის თვალსაზრისით. მაგრამ ამ ნამუშევრების ღირსება, რასაკვირველია, უფრო სხვა რამეა, ვიდრე მათი ეს ყბადაღებული „მნიშვნელობები". გარკვეულწილად, უილიამსის პიესები და კოქტოს ფილმები მართლაც იძლევიან ამგვარი პრეტენზიული ინტერპრეტაციის საშუალებას, რამდენადაც ისინი მრავალმნიშვნელოვანი, გამოგონილი, დამაჯერებლობას მოკლებული არიან.

ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ ალენ რენემ და რობ-გრიიემ ფილმისთვის „გასულ წელს მარიენბადში" განზრახ დაწერეს ისეთი სცენარი, რომ სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციებისთვის ღია ყოფილიყო. მაგრამ „მარიენბადი"-ს განმარტების ცდუნება წინააღმდეგობრივია, ვინაიდან მასში მთავარია ზოგიერთი გამოსახულების წმინდა, ენით გამოუთქმელი, გრძნობის ორგანოებით აღსაქმელი უშუალობა და ამ ყველაფრის წმინდად კინემატოგრაფიული ფორმით გადაწყვეტა.

ფილმში „დუმილი" ინგმარ ბერგმანი ღამის ცარიელ ქუჩაში მოგრუხუნე ტანკით შესაძლოა ფალიკურ სიმბოლოზე მიგვანიშნებდეს. მაგრამ თუ ეს ასეა, სულელური ჩანაფიქრია („არასდროს ენდო მთხრობელს, ენდე მონათხრობს"). ტანკის ეპიზოდი, როგორც სასტუმროში განვითარებული უჩვეულო მოვლენების მგრძნობელობითი ეკვივალენტი, ფილმში ყველაზე თვალშისაცემი მომენტია. ის, ვინც ტანკის სიმბოლოს განმარტებას ფროიდისტული მეთოდით ცდილობს, მხოლოდ და მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ არ ესმის, რაც ეკრანზე ხდება.

ასეთი სახის ინტერპრეტაციაში ყოველთვის ვლინდება უკმაყოფილება (გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი) ნაშრომის მიმართ და მისი სხვა რამით ჩანაცვლების სურვილი.

ინტერპრეტაცია, რომელიც მერყევ თეორიას ეფუძნება, რომლის მიხედვითაც ხელოვნების ნიმუში შინაარსობრივი პუნქტებისგან შედგება, უხეშად ერევა ხელოვნებაში და მას კატეგორიების გონებრივ სისტემაში მოსაქცევად განკუთვნილ ობიექტად აქცევს.

7

ინტერპრეტაცია, რასაკვირველია, ყოველთვის ყველაფერზე როდი ვრცელდება. თანამედროვე ხელოვნების უდიდესი ნაწილი სწორედ ინტერპრეტაციისგან გაქცევის მოტივად უნდა აღვიქვათ. ინტერპრეტაციის თავიდან ასაცილებლად ხელოვნება შეიძლება იქცეს პაროდიად, აბსტრაქციად, („უბრალოდ") დეკორატიულად ან ანტიხელოვნებად.

ინტერპრეტაციისგან გაქცევა განსაკუთრებით თანამედროვე ფერწერის თვისებად მიიჩნევა. აბსტრაქტული ფერწერა, ჩვეულებრივი გაგებით, საგნებისთვის შინაარსიის გამოცლის მცდელობაა. შინაარსის უქონლობა კი თავისთავად გამორიცხავს ინტერპრეტაციას. პოპ-არტის ნიმუშები საპირისპირო გზით იმავე შედეგს აღწევს. აქ საგნები იმდენად კონკრეტული, ცხადია, რომ ინტერპრეტაციის საშუალებას აღარ იძლევა.

თანამედროვე პოეზიის დიდმა ნაწილმაც, ფრანგული პოეზიის დიდი ექსპერიმენტებით დაწყებული (იმ მოძრაობის ჩათვლით, რომელსაც, შეცდომით, სიმბოლიზმს უწოდებენ), ლექსში სიჩუმის ესთეტიკის დავანებით და სიტყვის მაგიურობის აღდგენით, ინტერპრეტაციის უხეშ ჩარევას თავი დააღწია. თანამედროვე პოეზიაში ახლახანს მომხდარი რევოლუცია (რომელსაც სათავე დაუდო ელიოტმა და კულმინაციამდე მიიყვანა პაუნდმა) ძველი გაგებით შინაარსისგან პოეზიის გამიჯვნას გულისხმობს. ეს რევოლუცია წინდაუხედავი ნაბიჯი აღმოჩნდა, რამაც თანამედროვე პოეზია კომენტატორების მსხვერპლად აქცია.

მე, რასაკვირველია, უმთავრესად ამერიკაში მომწიფებულ სიტუაციაზე გესაუბრებით. ინტერპრეტაციის სენი განსაკუთრებით სუსტ და უმნიშვნელო ავანგარდულ მიმართულებებს — პროზას და დრამას — შეეყარათ. ამერიკელი მწერლებისა და დრამატურგების უმრავლესობა ან ყოფილი ჟურნალისტია, ან სოციოლოგი, ან ფსიქოლოგი. ისინი პროგრამული მუსიკის ეკვივალენტურ ლიტერატურას ქმნიან.

იმდენად უსულო და ინერტულია პროზასა და დრამაში ფორმის თვალსაზრისით ცვლილების შეტანის შეგრძნება, რომ მაშინაც კი, როცა შინაარსი არ არის უბრალო ინფორმაცია, „ახალი ამბები", ის მაინც ადვილად მისაწვდომია. რამდენადაც თანამედროვე ამერიკულ რომანებსა და პიესებში – პოეზიის, მუსიკისა და ფერწერისგან განსხვავებით — სულაც არ იგრძნობა დაინტერესება ფორმის ცვლილების თვალსაზრისით, ამიტომაც ისინი კვლავაც ინტერპრეტაციის თავდასხმის ობიექტებად რჩებიან.

მაგრამ პროგრამული ავანგარდიზმი – რომელიც უმეტესად შინაარსის ხარჯზე ფორმალისტურ ექსპერიმენტებს გულისხმობს – მხოლოდ ხელოვნების ინტერპრეტაციის თავდასხმისგან დაცვა როდია. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ. ასეთ შემთხვევაში ხელოვნება მუდმივად მოუხელთებელი იქნებოდა (ის სწორედ ფორმასა და შინაარსს შორის სხვაობას უკვდავყოფს, რაც საბოლოოდ მხოლოდ ილუზიაა და მეტი არაფერი). იდეალურ შემთხვევაში, გამაბეზრებელ კრიტოკოსთა თავიდან მოშორება სხვა გზით, ხელოვნების ისეთი ნიმუშის შექმნით შეიძლება, რომელიც გარეგნულად სუფთა და უნიფიცირებულია, რომლის ინერციაც სწრაფია, რომლის მიმართულებაც ისე პირდაპირია, რომ ნამუშევარი შეიძლება იყოს... სწორედ ის, რაც არის. და ნუთუ შესაძლებელია დღეს ეს ყოველივე? ჩემი აზრით, ამგვარი რამ ახლა მარტო ფილმებს ძალუძთ. ამიტომაცაა ამჟამად კინო ყველაზე ცოცხალი, ყველაზე ამაღელვებელი, ხელოვნების ყველა ფორმაზე მეტად მნიშვნელოვანი. შესაძლოა ხელოვნების ესა თუ ის ფორმა მაშინაა ცოცხალი, როდესაც მასში დაშვებული შეცდომების მიუხედავად, მაინც ხარისხიანია. მაგალითად, ბერგმანის რამდენიმე ფილმი – თუმცა გავსებულია უსარგებლო შენიშვნებით თანამედროვე ადამიანის სულიერი მდგომარეობის შესახებ და ამის გამო მთელი რიგი ინტერპრეტაციებისთვის ღიაა – მაინც იმარჯვებს მისი რეჟისორის პრეტენზიულ ჩანაფიქრზე. „ზამთრის სინათლე"-სა და „სიჩუმე"-ში გამოსახულების სილამაზე და ვიზუალური დახვეწილობა ჩვენს თვალწინ ანგრევს ამბისა და ზოგიერთი დიალოგის უმწიფარ ფსევდო-ინტელექტუალობას (ამგვარი წინააღმდეგობრიობის ყველაზე ნათელი მაგალითია დევიდ უორენ გრიფიტის ფილმი). კარგ ფილმებში ყოველთვის არის უშუალობა და პირდაპირობა, რაც ინტერპრეტაციის სურვილისგან სავსებით გვათავისუფლებს. ჰოლივუდის არაერთი ძველი ფილმი (მაგალითად, კიუკორის, უოლშის, ჰოუქსის და სხვა რეჟისორების ფილმები) სწორედ ამგვარი ანტი-სიმბოლურობით ხასიათდება, ისევე როგორც ახალი ევროპელი რეჟისორების საუკეთესო ნამუშევრები – ტრიუფოს „ესროლე პიანისტს" და „ჟიული და ჯიმი", გოდარის „უკანასკნელ ამოსუნთქვაზე" და „იცხოვრე საკუთარი ცხოვრებით", ანტონიონის „თავგადასავალი" და ოლმის „საცოლე და საქმრო".

ის ფაქტი, რომ ფილმებს განმმარტებლების საოპერაციო დანა ჯერ კიდევ არ შეხებია, ნაწილობრივ იმის გამოცაა, რომ კინო ჯერ კიდევ ახალი ხელოვნებაა. აქ კიდევ მნიშვნელოვანია ის ბედნიერი შემთხვევა, რომ ფილმები დიდი ხნის მანძილზე მასობრივი ხელოვნების ნაწილად აღიქმებოდა, მაღალი ხელოვნების საპირისპიროდ და ინტელექტუალების დიდი ნაწილი მას ყურადღების ღირსად არ თვლიდა. ამასთანავე, კინოში ყოველთვის არის რაღაც უფრო მეტი, ვიდრე შინაარსი. კინო, რომანისგან განსხვავებით, ფლობს ფორმის აურაცხელ მარაგს – კამერის მოძრაობის, მონტაჟის და კადრის კომპოზიციის ექსპლიციტურ, კომპლექსურ ტექნოლოგიას, რაც ფილმის შემადგენელი ნაწილებია.

8

და ხელოვნების რა სახის კრიტიკა ან კომენტარია დღეს სასურველი? ის, რაც ზემოთ ვილაპარაკე, როდი ნიშნავს თითქოს ხელოვნების ნიმუშები ენით აუწერელნი იყვნენ, რომ მათი განმარტება ან პერიფრაზირება შეუძლებელია. რასაკვირველია, არა. მაგრამ როგორ უნდა გავაკეთოთ ეს? როგორი უნდა იყოს კრიტიკა, რომ მხოლოდ ხელოვნების ნიმუშს ემსახუროს და მისი ადგილის უზურპაცია არ მოიწადინოს.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა უფრო მეტი ყურადღება ფორმის მიმართ. მაგალითად, თუკი ინტერპრეტაცია თავს *შინაარსზე* განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით იწონებს, ფორმის შესახებ მსჯელობა ჩრდილში ექცევა. ამიტომაც საჭიროა ნაწარმოების ფორმისთვის განსაზღვრული ლექსიკონი – უფრო აღწერილობითი და არა დირექტივების მიმცემი. საუკეთესო კრიტიკულ ნაშრომში, რაც იშვიათია, შინაარსისა და ფორმის შესახებ მსჯელობა ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. ფილმთან, დრამასა და მხატვრობასთან დაკავშირებით ერვინ პანოვსკის ესე „სტილი და საშუალება კინოფილმებში" მახსენდება. ასევე, ნორთროპ ფრაის „დრამატული ჟანრების კონსპექტი" და პიერ ფრანკასტელის „პლასტიკური სივრცის ნგრევა". როლან ბარტის წიგნი „რასინის შესახებ" და ორი ესეი რობ-გრიიეზე ერთი ავტორის ნაწარმოების მიმართ გამოყენებული ფორმალური ანალიზის ნიმუშებია. (ერიხ აუერბახის „მიმესისშიც" საუკეთესო ესეები ამ ტიპისაა, მაგალითისთვის „ოდისევსის იარაც" საკმარისია). ერთდროულად ჟანრისა და ავტორის მიმართ გამოყენებული ფორმალური ანალიზის შესანიშნავ ნიმუშად შეგვიძლია დავასახელოთ ვალტერ ბენიამინის ესე „მთხრობელი: მოსაზრებები ნიკოლაი ლესკოვის ნაწარმოებთა შესახებ".

ასევე ღირებულია ისეთი კრიტიციზმი, რომელიც ხელოვნების ნიმუშის ფორმის დახვეწილ, ზუსტ, მართლზომიერ აღწერას შემოგვთავაზებს. ამის გაკეთება ჩვეულებრივ ანალიზზე უფრო რთული ჩანს. ამ იშვიათ მაგალითებს შორისაა მენი ფარბერის კინოკრიტიკა, დოროთი ვან გენტის ესეი „დიკენსის სამყარო: ხედი ტოჯერების სახურავიდან", რენდოლ ჯერელის ესეი უოლტ უიტმენზე. ეს ესეები ნათელს ფენენ ხელოვნების მგრძნობიარე ზედაპირს და უმიზნო ანალიზისგან შორს დგანან.

9

გამჭვირვალობა დღეს ხელოვნებასა და კრიტიკულ აზროვნებაში უმაღლესი, ყველაზე ჯანსაღი ღირებულებაა. გამჭვირვალობა საგნის თავისთავადი სინათლის, საგნების რეალური ბუნების განცდას გულისხმობს. სწორედ ამის გამოა დიადი ბრესონის და ოზუს ფილმები, რენუარის "თამაშის წესები".

ოდესღაც (ვთქვათ, დანტესთვის) ალბათ რევოლუციური და შემოქმედებითი წინსვლის ტოლფასი იყო ისეთი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, რომელთა გაგებაც სხვადასხვა დონეზე შეიძლებოდა. დღეს ასე უკვე აღარაა. ამგვარი რამ ჭარბსიტყვაობის პრინციპს განამტკიცებს, რაც თანამედროვე ცხოვრების მთავარი ნაკლია.

ოდესღაც (მაშინ, როცა მაღალი ხელოვნება იშვიათი იყო), ხელოვნების ნიმუშების ინტერპრეტაცია, შესაძლოა, რევოლუციური და შემოქმედებითი წინსვლის მაჩვენებელი იყო. ახლა ასე აღარ არის. ახლა ყველაზე ნაკლებად გვჭირდება ხელოვნების ქცევა აზროვნებად, (ან კიდევ უარესი) კულტურად.

ინტერპრეტაცია ითვალისწინებს ხელოვნების ნიმუშის მგრძნობელობით გამოცდილებას და მისი ამოსავალი წერტილიც ესაა. დღეს ეს შეუძლებელი გახდა. გავიხსენოთ ხელოვნების ნიმუშების მარტივი გამრავლების ტენდენცია, რამაც ის თითოეული ჩვენგანისთვის ადვილად მისაწვდომი გახადა. ამას დავუმატოთ ურბანული გარემოს ურთიერთსაპირისპირო გემოები, სურნელები და ხედები, რაც ჩვენს გრძნობის ორგანოებს ყოველი მხრიდან უტევს. ჩვენი დღევანდელი კულტურა სიჭარბეს, ნამატ პროდუქციას ეფუძნება, რომლის შედეგიც ჩვენი შეგრძნებების გაუთავებელი დაბლაგვებაა. თანამედროვე ცხოვრების ყველა პირობა – მისი მატერიალური სისავსე, სიჭარბე – ერთობლივი ძალით ფიტავს ჩვენს მგრძნობელობით უნარს. სწორედ ჩვენი შეგრძნებების, შესაძლებლობების ამ მდგომარეობის (და არა სხვა ეპოქის) გათვალისწინებით უნდა შევაფასოთ კრიტიკოსის ამოცანა.

დღეს ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს შეგრძნებებს მოვუხმოთ. ჩვენ უნდა ვისწავლოთ უფრო მეტის დანახვა, მეტის გაგონება, მეტის აღქმა.

ჩვენი ამოცანა არ არის ხელოვნების ნიმუშში შინაარსის ძებნა ან მეტის დანახვის სურვილი, ვიდრე თავისთავად არის მასში. ჩვენი მიზანია ძველი შინაარსის მნიშვნელობა ისე შევკუმშოთ, რომ მთლიანობაში დავინახოთ საგანი.

დღეს ხელოვნების ნიმუშის ნებისმიერი ინტერპრეტაციის მიზანია ხელოვნების ნიმუშისთვის (და, შესაბამისად, ჩვენი გამოცდილებისთვის) უფრო მეტი ავთენტურობის მინიჭება. კრიტიკამ უნდა აჩვენოს, რატომ *არის საგანი ისეთი, როგორიც არის,* ან ეს *არის საგანი თავისთავად* და არა ის, თუ *რას ნიშნავს ეს საგანი.*

10

ჰერმენევტიკის ადგილას ჩვენ ხელოვნების ეროტიკა გვჭირდება.

1964

თარგმნა გიორგი კეკელიძემ

ლიტერატურული გალა-დღესასწაული

წლის წიგნი -
როსტომ ჩხეიძე

სამაგიდო წიგნი -
მერი ტიტვინიძე

წიგნის მხატვრობა -
ნატაშა ბაბუნაშვილი

თარგმნილი წიგნი -
სიბილა გელაძე

საბავშვო წიგნი -
ზაზა თვარაძე

წლის პროექტი -
კახმეგ კუდავა

მწერლის ცხოვრებაში რამდენიმე გამორჩეული დღესასწაულია, რომელიც მის შემოქმედებით საქმიანობაზეც აღიბეჭდება. არაფერი შეედრება იმ გრძნობას, ლექსის თუ მოთხრობის, რომანისა თუ თარგმანის დასრულებას რომ მოსდევს ხოლმე, მაგრამ, ალბათ, განსაკუთრებული სიხარული მაშინ იბადება, როცა უკვე მკითხველისთვის გამზადებული წიგნი აღიარებას ლიტერატურულ კონკურსზე ჰპოვებს. მაშინ სხვაგვარი სიამაყე იჩენს თავს. სამწუხაროდ, ქართველი მწერლები ამგვარი ლიტერატურული კონკურსების სიმრავლით არ არიან განებივრებულები და ამიტომაც გამორჩეული ადგილი დაიკავა მათ ცხოვრებაში 3 წლის წინ დაარსებულმა ლიტერატურულმა პრემიამ „გალა“.

ამ ლიტერატურული პრემიის დაარსების იდეა მწერალ ზაალ სამადაშვილს გაუჩნდა. ორგანიზატორობაც თავად ითავა და წელს უკვე დაჯილდოვების ცერემონიალი თბილისის მერიის დახმარებით ნამდვილ დღესასწაულს დაამსგავსა.

23 ოქტომბერს ფილარმონიის ახალგარემონტებულ ფოიეში ლამაზად გაწყობილ მაგიდებთან ისხდნენ ადამიანები, რომლებიც ქმნიან ქართულ ლიტერატურას, ამდიდრებენ მას თარგმანებით, აფორმებენ მხატვრულად, ხოლო გვერდით იყვნენ ისინი, ვინც ამ ყველაფრით სულდგმულობს და ვისთვისაც ლიტერატურა ყველაზე და ყველაფერზე მაღლა დგას.

ეს დღე თბილისობის დღესასწაულის საუკეთესო დასაწყისი აღმოჩნდა. ნიკა მემანიშვილისა და მისი ორკესტრის მუსიკალურმა გაფორმებამ ლიტერატურული პრემიის გადაცემის ცერემონიალზე მყოფი ადამიანები ამაღლებულ განწყობაზე დააყენა. სიახლე აღმოჩნდა ისიც, რომ ნომინანტები ფართო ეკრანიდან წარადგენდნენ საკუთარ თავსა და იმ წიგნს, რომელმაც მათ ცხოვრებაში ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. პომპეზურობას მატებდა ისიც, რომ ლიტერატურული პრემიის სიმბოლოს, კოლხური ცულის ასლის გარდა, გამარჯვებულებს წელს უკვე 4000 ლარი გადაეცემოდათ.

ლიტერატურული პრემიისადმი - „გალა“- ინტერესის გაზრდაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ საკონკურსოდ 120 წიგნი იყო წარდგენილი, საიდანაც სპეციალურმა ჟიურიმ 17 ნომინანტი შეარჩია და მათგან საუკეთესოები სწორედ 23 ოქტომბერს დაჯილდოვების ცერემონიალზე გამოავლინა. ნინო ქაჯაიამ (მთარგმნელი, ჟიურის თავმჯდომარე), ივანე ამირხანაშვილმა (ლიტერატორი), თამაზ ვასაძემ (კრიტიკოსი, ლიტერატორი), უჩა შერაზადიშვილმა (ლიტერატორი, მთრგმნელი) და ბაჩა მალაზონიამ (მხატვარი) 6 საუკეთესო წიგნი ამ დღეს დაასახელეს.

წლის საუკეთესო სამაგიდო წიგნად მიგელ დე უნამუნოს ესეები აღიარეს, რომელიც მერი ტიტვინიძემ თარგმნა, წლის წიგნის ტიტული როსტომ ჩხეიძის „აგვისტოს შვილებმა“ მოიპოვა, ლუი ფერდინან სელინის „მოგზაურობა ღამის დასალიერში“ თარგმნისთვის საუკეთესო აღმოჩნდა სიბილა გელაძე, ფრენკ ბაუმის „ოზის ჯადოქარის“ მხატვრულად გაფორმებისთვის ფულადი ჯილდო და კოლხური ცულის ასლი გადაეცა ნატაშა ბაბუნაშვილს, საუკეთესო საბავშვო წიგნი ზაზა თვარაძის „მონტებულსუ ანუ ელის არაჩვეულებრივი თავგადასავალი“ აღმოჩნდა, პრემია გარდაცვლილი მწერლის მეუღლეს გადაეცა. ხოლო წლის საუკეთესო ლიტერატურულ პროექტად „ნობელის პრემიის ლაურეატები“ დასახელდა, რომლისთვისაც პრემია გამომცემლობა „ინტელექტის“ დამაარსებელმა კახმეგ კუდავამ მიიღო.

გამარჯვებულებს წარმატება ქალაქის მერმა გიგი უგულავამაც მიულოცა და კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაში წიგნს მართლაც შეუცვლელი ადგილი უჭირავს. მისთვის განსაკუთრებულად სასიამოვნო აღმოჩნდა ის, რომ ლიტერატურული პრემია „გალა“ თბილისობის შემადგენელ ნაწილად იქცა, რამაც ამ დღესასწაულს სულ სხვაგვარი ელფერი შესძინა.

საღამო ტორტის გაჭრით დასრულდა. მწერლები და მკითხველები კიდევ დიდხანს ისხდნენ მაგიდებთან და უკვე მომავალ „გალაზე“ საუბრობდნენ. მომავალ წელს, მომავალ თბილისობის დამდეგს ქართული ლიტერატურის მორიგი დღესასწაული გველოდება!



ლიტერატურული გაზეთი
გამოდის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტები **ხათუნა ალხაზიშვილი, თამარ ჟურული**

ტელ.: 292196; მობ. ტელ.: (877)742277; (899)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com